# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული დაიჯესტი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 44 (133) ◆ 3–9 ნოემბერი 1997 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




...პრეზიდენტს ნახევარი თბილისი გაჰყვა. ქვანია ბათუმში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პირველს ხვევნა-კოცნით შეეგება, მეორეს მხოლოდ ხელი ჩამოართვა და მესამეს — აკოცა.

გვ. 4

...თამაზ ხარაზს აქვს ურეკში გამართული საუბრის აუდიოჩანაწერი, საიდანაც, როსტომ დოლიძის მჭერმეტყველებასთან ერთად, ფიგურირებს... ზურაბ ქვანიას ხმაც.

გვ. 2

...დარტყმა რომ ნამდვილად იქნება, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

საქართველომ ჩრდილო კავკასიიდან ნასროლი მეგობრობის ხელთათმანი რომ არ აიღოს, შეცდომა იქნება, თუმცა, ამას დიდი სიფრთხილე სჭირდება და მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაშია შესაძლებელი.

...საქართველოს ხელისუფლებას ჩეჩნეთის სახით უძლიერესი კოზირი უპყრია ხელთ, მაგრამ თამაშში ჩავერთვებით სულ ბოლოს.



გვ. 3

### დაკარგული ბიჭები

ისინი კულინარიელების უბანში, იგორ გიორგაძის მეზობლად ცხოვრობდნენ... 1995 წლის 4 მარტს, საღამოს 21.20 სთ-ზე ალექსანდრე (კუსა) თოხმაიძე და ბექა რეხვიაშვილი ეზოდან გავიდნენ და უკან აღარ მობრუნებულან... შემდეგ ლისის ტბის მიდამოებში იპოვეს სახელდახელო საფლავებში... ამ მკვლელობასა და მიებაში ბევრია იდუმალება...



გვ. 9


ჩრდილების თეატრალიზებული შოუ-რესტორანი "IRRATIONAL" გვ. 17


პარლამენტმა, როგორც იქნა, დაამტკიცა ომბუდსმენის პოსტზე წარმოდგენილი დავით სალარიძის კანდიდატურა

...ნუგზარ შევარდნაძეს თავისი გვარი უწყობს ხელს, მაგრამ მაგრამ მე დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, — გამორიცხულია, ედუარდ შევარდნაძემ ვინმეს დაავალოს, — აბა, მიმიხედეთ ჩემს ნათესავებსო, მაგრამ არსებობს მეორე ხელშემწყობი გარემოება, — ნუგზარ შევარდნაძეს გაყვლეფას ვერ უბედავენ; თუ ბიჭი ხარ, აბა, დაუჯექი და შეაწერე ფული, ვინც გინდა, ის იყავი...

...მოქალაქეთა ერთმა „გენიოსმა“ ქალბატონმა, როცა აფხაზეთის კომისიის თავმჯდომარეობის საკითხი წყდებოდა, ბრძანა, — რჩეულიშვილი ნიჭიერი კაცია, მაგის მიღწევები აფხაზეთის საკითხში სოციალისტებს მიეწერება და მომავალ არჩევნებში ჩვენ რაღა ვქნათო.

*ვახტანგ რჩეულიშვილი*

გვ. 6

...პოლიტიკური ღერძი — **კიევი-თბილისი-ბაქო** მართლაც რეალურია.

...თქვენ წარმოიდგინეთ, უკრაინის არმიასაც სჭირდება საქართველოში დამზადებული იარაღი — Су-25 და მისი უახლესი მოდიფიკაციის მოიერიშეები.

...ორივე ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა საიდუმლო ნამუშევარი საჯაროზე გამოიტანეს — შეიქმნება საქართველო-უკრაინის ერთობლივი ბატალიონი, რომელსაც ტრანსკავკასიური დერეფნის დაცვა დაევალება.

გვ. 9

...რა მანძილია სიხარულამდე?
ალბათ იმდენი,
რაც სიკვდილამდე.
...
ახლა სხვამან აღაშენოს
სვეტიცხოვლის ტაძარი,
და ლაშქარი დაძრას დიდგორს,
როგორც ერთხელ დავძარი!



პირველი პრეზიდენტის ქვრივმა, ქალბატონმა მანანამ ბოლო 10 წლის მანძილზე მომხდარი ყველა უბედურება შევარდნაძეს დააბრალა; ვაიძულოთ, რომ წავიდეს, აღვადგინოთ უზენაესი საბჭო, — მოუწოდა წვიმაში თავშეყრილ ორი ათასამდე კაცს.

ცნობილი ორატორის, ავთო რცხილაძის შეძახილებს: „პოლიტიკური ნაგვები“, „ნაძირალები“, „საქართველოს გამყიდველები“ დიდი წარმატება ხვდა წილად.



გვ. 2


EURO-AMERICAN

SECOND HAND

ტანსაცმელი მხოლოდ „ევრო-ამერიკანში“

ფასების მნიშვნელოვანი დაკლება

ძალზედ მოსახერხებელი 25 კგ-იანი ფუთებით, გაზრდილი ასორტიმენტით, საუკეთესო ხარისხით და ყველაზე დაბალი ფასებით. ყველა დასახელების საქონელზე მოხდა ფასების მნიშვნელოვანი დაკლება.

*1 კგ. მინიმალური ფასი — 1 ლარი*

საქონლის რეალიზაცია შეგიძლიათ როგორც მაღაზიებში, ასევე შინიდანაც.

მის.: მ. „სამგორი“, სამგორის ჩიხი №4, საქბაკალეიის საწყობი

ტელ.: 71-77-42




### როცა ჩვენ გვძინავს...

ღამის თბილისში, ძველი კინოსტუდიის წინ, სამთავრობო დაცვის თანხლებით, **თემურ ბაბლუანი** იღებს ახალ ქართულ ფილმს...


ფირმა „ბერმუხა“

ყველაზე იაფად და დიდი ხნის მუშაობის გარანტიით

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, თბილისსა და სხვა ქალაქებში, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.

შევისყიდით ბიტუმს და მინაქსოვილს

მის.: წერეთლის პროსპ. №55, ბინა 53

ტელ.: 35-15-05; 63-55-77, 8-99-50-06-50


...მისი კოლექცია ნატიფი და დახვეწილია. ეს ქალბატონი მიეწევია „ლოგინებისა და მამაკაცების ცვლას“. „თავდაპირველად სნაიპერივით ეითელიდი პარტნიორებს, ორი ათასს რომ მიეაღწიე, თვლას თავი დავანებე“... მისი ყველა საყვარელი დაიღუპა და ყველა საბედისწერო ასაკში.

გვ. 20



საკვირაო ტელე-კინოაფიშა

3-9 ნოემბერი

გვ. 10

**ბედნიერ გიორგობისთვის გისურვებთ**

Неделя · საქართველოს რესპუბლიკა · Частная жизнь · Stern · За рубежом · Московские новости · Focus · Der Spiegel · Newsweek · Панорама недели · Комсомольская правда · საქართველო · Сегодня · Известия · Аргументы и факты · Совершенно секретно · Труд · Match · ТВ Парк · Le Figaro Magazine · Лица · Daily · Огонёк · Иностранец · Итоги

# კვირიდან — კვირამდე

**„კვირის პალიტრისთვის“** სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ თამაზ ხარაზს აქვს ურეკში გამართული საუბრის აუდიოჩანაწერი, სადაც როსტომ დოლიძის მჭე რმეტყველებასთან ერთად, ფიგურირებს... ზურაბ ჟვანიას ხმაც! იმავე წყაროს ცნობით, ჩანაწერი „საიმედო“ ადგილზე ინახება და მხოლოდ აუცილებელ და გადამწყვეტ მომენტში „აჟღერდება“. ეს გადამწყვეტი მომენტი კი შეიძლება დადგეს მომავალი არჩევნების წინ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ „მოქალაქეები“ გონს არ მოეგებიან...

**ბედის ირონიაა, პოლიტიკური თამაში, თუ სხვა რაღაც ჟანდაბა,** მაგრამ მოხდა ისე, რომ სწორედ თბილისსა და ბათუმს შორის ატეხილ ამჟამინდელ „მუშტი-კრივს“ დაემთხვა დიდი ქართველი მამულიშვილის, ასლან აბაშიძის პაპის, მემედ აბაშიძის მემორიალის გახსნა ბათუმში და მმართველი ელიტა, ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, რომ იტყვიან, დაუყოვნებლივ ჩავარდა ბათუმში. აღსანიშნავია, რომ ზურაბ ჟვანიამ ღირსეულად ჩააბარა „გამოცდა“ და ძეგლის გახსნის ცერემონიალზე წარბშეუხრელად დადგა მემედ აბაშიძის შვილიშვილის გვერდით. მანამდე კი, იყო თბილისის ოფიციალური დელეგაციის დახვედრა და მიღება ბათუმის აეროპორტში, ხვევნა-კოცნა და როგორც თვითმხილველები ამბობენ, ცრემლმორეული თვალები! თუმცა, კოკისპირულ წვიმაში, რითაც აჭარა შეხვდა ცენტრის წარმომადგენლებს, ალბათ, ძნელი იქნებოდა იმის კარგად გარჩევა, მართლა ცრემლი ბრწყინავდა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ თვალებზე თუ, ელემენტარულად, ციური „ცვარ-ნამი“ იყო დალექილი მათ ღაწვებზე.

„კვირის პალიტრა“ ამით არ ამთავრებს საუბარს „აჭარულ ცრემლზე“ და გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ ან უკვე გარდასულ, მაგრამ დღევანდელი ვნებათაღელვის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზზე და... სწორედ ცრემლზე!

**გასულ კვირას,** პარლამენტმა, როგორც იქნა, დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის პირველი სახალხო დამცველის, ომბუდსმენის პოსტზე ბოლო ერთი წლის მანძილზე პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი მესამე კანდიდატურა — დავით სალარიძე. პირველი ორი კანდიდატი, სანდრო კავსაძე და გიორგი ხუციშვილი პარლამენტმა განხილვის საწყის ეტაპზევე მოისროლა, თანაც ისე, რომ მანამდე კარგად ცნობილი ამ ორი პიროვნების სახელიც კი, დღემდე აღარსად გაჟღერებულა. რაც შეეხება ელენე თევდორაძეს, რომელმაც არცთუ უკანასკნელი როლი შეასრულა კავსაძისა და ხუციშვილის „მოსროლაში“ და, ალბათ, ყველაზე რეალური ფიგურა იყო დღემდე ომბუდსმენის თანამდებობაზე დანიშვნისა, თავისი მშობლიური „მოქალაქეთა კავშირის“ წყალობით, ისიც მოსროლილი აღმოჩნდა.

**საქართველოს** ზოგმა არასამთავრობო ორგანიზაციამ კი პროტესტი გამოთქვა სალარიძის დანიშვნის გამო და საკუთარი პოზიცია გაამაგრა შემდეგი არგუმენტით: „მაშინ, როცა ადამიანის უფლებები საქართველოში, პრაქტიკულად, დაუცველია და დამცველთა შორის ძირითადად სამართალდამცავი ორგანოები ფიგურირებენ, კომუნისტურ რეპრესიულ სტრუქტურებში დიდი ხნის მანძილზე ნამუშევარი სუბიექტების დანიშვნას ჩვენ ვაფასებთ როგორც ხელისუფლების მიერ მთელი ხალხის აბუჩად აგდებას. გვჯერა, რომ დავით სალარიძე ისეთივე „შემართებით“ იმუშავებს ომბუდსმენის პოსტზე, როგორითაც იგი გამოირჩეოდა საბჭოთა მილიციის რიგებში სამსახურისას. ამიტომ, მისი დანიშვნა ისეთ პოსტზე, რომელიც ქართული დემოკრატიის სავიზიტო ბარათია, ომბუდსმენის ინსტიტუტისა და, საერთოდ, ადამიანის უფლებების დაცინვას წარმოადგენს“, — ნათქვამია „თავისუფლების ინსტიტუტის“, „თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრის“, „მშვიდობისა და დემოკრატიის კავკასიური ინსტიტუტისა“ და სხვა ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ჯაბა იოსელიანსა და „ძმათა მისთა“** სასამართლო პროცესის დაწყების დრო და ადგილი უახლოეს დღეებში გადაწყდება, მაგრამ სასამართლო პროცესზე დასწრების მსურველთა რიცხვი კატასტროფულად დიდია. ყველას ჟურნალისტები სჭარბობენ, ამიტომ სასამართლო პროცესის გამრიგეებს განზრახული აქვთ, მათთვის განრიგის შემოღება. თუმცა, მე-5 იზოლატორიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, „კვირის პალიტრისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ჯაბა იოსელიანს, ამასთან დაკავშირებით, განუცხადებია: მზად ვარ, გარეთ დარჩენილ ჟურნალისტებს პროცესისას ჩემს გვერდით დავუთმო ადგილი, ზოგიც კი... კალთაში ჩავისვა(!). სამწუხაროდ, ბატონ ჯაბას არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი სქესის ჟურნალისტთა ჩასმას აპირებს კალთაში...

**ახლა კი, ერთი „ისტორიის მასწავლებლის“ მიმართვას გაგაცნობთ:** „ქვეყნის ხელმძღვანელებს ისტორიის სწავლების ნაცვლად, ისტორიის კეთება უწევთ. განგებამ ინება, რომ ბავშვებისთვის ისტორია არასოდეს მისწავლებია, მაგრამ ისტორიის მართებულად სწავლების მადლის ფასი სხვებზე ნაკლებად არ მესმის. ხშირად საკუთარ ტყავზე გამოვცდით ხოლმე, რა დამღუპველ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს ისტორიის გაყალბებულმა სწავლებამ, მცდარმა ისტორიულმა ორიენტირებმა და გამრუდებულმა ისტორიულმა ხედვამ. ჩვენ რომ თავის დროზე მართებულად გვესწავლებინა ისტორია, უკეთესი აწმყო გვექნებოდა...“

ეს წერილი ედუარდ შევარდნაძემ გაუგზავნა თბილისში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართული საერთაშორისო სემინარის მონაწილეებს, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსებთან ერთად მონაწილეობდა ქართული სამღვდელოებაც — ილია II-ის თავკაცობით, და საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სწავლების საჭირბოროტო საკითხებს ეძღვნებოდა.

**აფხაზეთში ძალით დაბრუნებისთვის მზადყოფნა** კვლავ დაადასტურა მიუნხენის კარდიოლოგიური კლინიკიდან დაბრუნებულმა თამაზ ნადარეიშვილმა (იქ იგი სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა). მისი თქმით, 25 ოქტომბერს არძინბას ხროვამ, კერძოდ, „პარლამენტმა“, შეაფასა რა 1992-93 წლების საომარი მოქმედებები აფხაზეთში, ოფიციალურად დაადასტურა, რომ ეს იყო საქართველოს აგრესია აფხაზეთის წინააღმდეგ და აფსუათა გენოციდი. აფსუები იქამდეც კი მისულან, რომ მკერდზე მჯიღით ამტკიცებდნენ, ქართველები ჩვენს წინააღმდეგ ბირთვული იარაღის(!) გამოყენებას აპირებდნენო. თამაზ ნადარეიშვილმა ჩვეული სიდინჯით უარყო ეს მონაჩმახი და დაბეჯითებით განაცხადა, რომ საქართველოს ბირთვული იარაღი არასოდეს ჰქონია... მეტიც, ომის დროს, ჩვეულებრივი იარაღის ხეირიანად გამოყენებაც არ ვიცოდითო. რომ იტყვიან, რაც მართალია — მართალია!

**ქართველ ლეიბორისტთა ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა** პრეს-კონფერენციაზე დაგმო განათლების მინისტრის ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს აწ უკვე საბავშვო ბაღების ნაწილობრივ თვითდაფინანსებაზე გადაყვანას, რომლის საფუძველზეც მშობლები იძულებულნი იქნებიან, თვეში გადაიხადონ 10-15 ლარი. ეს მაშინ, როცა კონსტიტუციის 35-ე მუხლში წერია, რომ სკოლამდელ დაწესებულებებს სახელმწიფო უზრუნველყოფს. ნათელაშვილის თქმით, ფრაქცია „ლეიბორისტმა“ ღია წერილი გაუგზავნა პრეზიდენტს, რომელშიც ითხოვს კვაჭანტირაძის ბრძანების გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმეს აღძრავს საკონსტიტუციო სასამართლოში.

**ჯანდაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის განცხადებით,** ლილოს სამხედრო ბაზაზე დასხივებულ-დაავადებული ქართველი ჯარისკაცები უკვე იმყოფებიან ევროპის ქვეყნების კლინიკებში სამკურნალოდ. ჯარისკაცთა მგზავრობა-მკურნალობისათვის ედუარდ შევარდნაძემაც გაიღო წვლილი საკუთარი ფინანსური რესურსებიდან (თუ რამდენი, უცნობია), საქართველოს მთავრობასაც არ დაუკლია დახმარების ხელი. ავადმყოფთა მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია.

**როგორც ცნობილი გახდა,** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძისათვის, თავის დროზე, ავტონომიის შემადგენლობაში გურიის მიერთება შეუთავაზებიათ. ასლან აბაშიძეს ამაში აჭარის ავტონომიის გაუქმების საფრთხე დაუნახავს. მისი აზრით, უფრო უპრიანი იქნებოდა სამცხე-ჯავახეთის მიერთება აჭარისათვის, რათა საქართველოს სამხრეთი მთლიანად ერთი მმართველობის ქვეშ ყოფილიყო.

**(პრაიმ-ნიუსი) თურქეთის პოლიციამ ფოტოფირები ჩამოართვა** და ქვეყნიდან გამოაძევა ქართველი კინოდოკუმენტალისტების ჯგუფი, რომელიც ქართული ისტორიული ძეგლების გადასაღებად იმყოფებოდა თურქეთში. გამოძევებულთა შორის აღმოჩნდნენ მსახიობი გოგი ხარაბაძე, მოსკოველი ჟურნალისტი იური როსტი და სხვ.

ინფორმაცია მომხდარის შესახებ საქართველოში თურქეთის საელჩომ დაადასტურა და ისიც აღინიშნა, რომ ფოტოფირებზე სწორედ საიდუმლო ობიექტებია დაფიქსირებული. ბ-ნმა გოგი ხარაბაძემ განაცხადა, რომ „ქართული დელეგაციის წევრებს არავითარი საიდუმლო გადაღებები არ უწარმოებიათ“. მათი მხრიდან კრიმინალის გამოსარიცხად ის ფაქტიც საკმარისია, რომ დელეგაციას ართვინის ვილაიეთის პოლიციელები ახლდნენ, რომლებიც ყველა გადაღებულ კადრს ამოწმებდნენ.

## ეს მოხდა წვიმიან ოქტომბერს

უკრაინის პრეზიდენტი თბილისს პირველი მრავალპარტიული არჩევნების 7 წლისთავზე ეწვია, — ეს დამთხვევა იყო!.. 1990 წლის 28 ოქტომბერს ხელისუფლებაში მოვიდა საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. მაშინაც და დღესაც, ყველა აღიარებს, რომ ბლოკის გამარჯვება განაპირობა მისმა ლოკომოტივმა — საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებამ „მრგვალი მაგიდა“ კოლხურ კოშკში გამართა მიტინგი, რომელსაც, მიუხედავად წვიმისა, დაახლოებით ორი ათასი კაცი ესწრებოდა. შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდა პირველი პრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია და თქვა, — სიმბოლურია 28 ოქტომბრის კოლხური კოშკის ეზოში აღნიშვნა, რადგანაც კოშკი ეროვნული მოძრაობის სულია; აქ იზრდებოდნენ ეროვნული გმირები — ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, ამიტომ ეროვნული მოძრაობა კოლხური კოშკის გარშემო უნდა გაერთიანდესო. ქ-ნმა მანანამ გაიხსენა, როგორ მიაღებინა გამსახურდიამ უზენაეს საბჭოს კანონი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ, როგორ გაიმარჯვეს „მრგვალებმა“ არჩევნებში, როგორ აირჩია უზენაესმა საბჭომ თავმჯდომარედ ზვიადი, რასაც მოჰყვა რეფერენდუმი და დამოუკიდებლობის გამოცხადება, შემდეგ კი, პრეზიდენტის არჩევნები... არჩვაძე-გამსახურდიამ გულისტკივილით მოიგონა 1991 წლის 2 სექტემბერი, კინოს სახლთან მოწყობილი მიტინგი. მისი თქმით, ე.წ. ოპოზიციამ იცოდა, რომ იმ დღეს პრეზიდენტი ორმოცამდე კონგრესმენს ხვდებოდა და ამ ფაქტს საგანგებოდ დაამთხვიეს პროვოკაცია, რათა მოსკოვს, ქართველებისავე დახმარებით, დასავლეთისთვის საქართველოს დიქტატორი ხელისუფლება ეჩვენებინა.

ქ-ნმა მანანამ თითქმის ზიზღით მოიხსენია „პრეზიდენტის მოღალატეები“ — ვაჟა ადამია, აკაკი ასათიანი, თედო პაატაშვილი, გიორგი ხოშტარია და სხვანი და სხვანი... განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამგზის პრემიერ სიგუაზე. პრეზიდენტის ქვრივმა ბატონ თენგიზს იანაევის დაკითხვის ცნობილი ოქმის წარდგენა შეახსენა, რომელშიც, თითქოსდა, გამსახურდია მოსკოვის პუტჩთან თანამშრომლობაში იყო მხილებული. რაღა თქმა უნდა, არჩვაძე-გამსახურდიას არც დღევანდელი მთავრობა დავიწყებია. მისთვის შევარდნაძე იყო, არის და იქნება ხუნტა, რომლის მშვიდობიანი გზით დასამხობადაც ამჟამად იბრძვის. ქ-ნმა მანანამ, რასაკვირველია, ბოლო 10 წლის მანძილზე მომხდარი ყველა უბედურება შევარდნაძეს დააბრალა, — „შევარდნაძემ გაანადგურა დიდი კონსტანტინეს ერთადერთი ძე, ხმა აღიმაღლეთ უკანონობის წინააღმდეგ. დადექით იქ, სადაც ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობაა. ვაიძულოთ შევარდნაძე, რომ წავიდეს, აღვადგინოთ უზენაესი საბჭო, ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება“, — ქვრივის ამ მოწოდებას მომიტინგეები ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა თითქმის ერთხმად აღიარეს, რომ ეროვნულ მოძრაობაში დაიწყო ახალი, გადამწყვეტი ეტაპი, ბრძოლის ლიდერად მანანა არჩვაძე-გამსახურდია გამოცხადდა.

დეპუტატმა გურამ ისაკაძემ იხუმრა, — ჩვენ 5 წლით აგვირჩიეთ, მაგრამ შევარდნაძემ გაგვიგრძელა ვადაო და მანაც ხუნტასთან ბრძოლისკენ მოუწოდა მომიტინგეებს. მოიშველია გამსახურდიას სიტყვები და 28 ოქტომბერი დიდგორის გამარჯვებას შეადარა. „ზვიადისტების“ ერთიანი გუნდიდან დაქსაქსულ ძალებს, მათ, ვინც ქალბატონი მანანას გარშემო არ გაერთიანდა, მოუწოდა, თავი დაანებონ შევარდნაძის გვერდზე დგომას, მის არჩევნებში მონაწილეობას, რადგანაც ამით 28 ოქტომბერს ვაუქმებთო. ცნობილმა ორატორმა ავთო რცხილაძემ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც პრეზიდენტ გამსახურდიას ოპოზიციაში ჩაუდგნენ, „პოლიტიკური ნაგვები“ უწოდა, ხოლო ახლანდელ მთავრობას — „ნაძირალები“ და „საქართველოს გამყიდველები“, მის ასეთ შეძახილებს დიდი წარმატება ხვდა წილად.

საერთოდ კი, მიტინგს ლაიტმოტივად გასდევდა: „28 ოქტომბერი კომუნისტური რეჟიმის დამხობის დღეა“, „შვიდი წლის წინ უსისხლოდ დაემხო კომუნისტური რეჟიმი“, „აღდგენილ იქნას კანონიერი უზენაესი საბჭო“, „ძირს ხუნტა“ და ა.შ. მოსალოდნელი იყო, რომ შეკრებილთ სიტყვით მიმართავდა გამსახურდიას უმცროსი ვაჟი, გიორგი გამსახურდია, რომელსაც შავი, ხშირი წვერი ამშვენებდა. მაგრამ გიორგიმ თავი შეიკავა.

ერთი სიტყვით, „ზვიადისტები“ ანუ „ზვიადაურები“, როგორც ისინი თავის თავს უწოდებენ, ბუნების რისხვამ ვერ დაშალა. მათ, წვიმისა და ასობით სამართალდამცავის თანხლებით, თავისებურად იზეიმეს საქართველოს თანამედროვე ისტორიაში პირველი მრავალპარტიული არჩევნების შვიდი წლისთავი.. საერთოდ, გემოვნებაზე არ დაობენ.

თომა რაჭველიშვილი

## ჩვენ გვწერენ



**ვთხოვ ყველას, პატარა ქეთევანის მდგომარეობაც გაითვალისწინონ!**

პატივცემულო რედაქცია! მინდა ჩემი გასაჭირიც გაგიზიაროთ და დახმარება გთხოვოთ. მე ვარ ლელა მგელიაშილი, ფათიჰ ჩევიქის, იმავე გიორგი ქეშელაშვილის პირველი კანონიერი მეუღლე. გიორგი ქეშელაშვილი ამჟამად საქართველოს მოქალაქეობას მოითხოვს, თავისი ბედნიერების მისაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებს. მე არსად არ ვმუშაობ და ძალიან მიჭირს ეკონომიურად. მას კი სულაც არ აღელვებს, თავისი შვილი მშიერია თუ ტიტველი. როდესაც დავურეკე და დახმარება ვთხოვე, მისი მეორე მეუღლე, მაია მაღლაკელიძე დაგვემუქრა, — აღარ შემაწუხო, თორემ, იცი, რას გიზამო?!

ნუთუ, სამართალი მხოლოდ მდიდრისთვის არის?

*ლ. მგელიაშვილი*

**რედაქციისგან:**

ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ, მოულოდნელი აღმოჩნდა რედაქციისათვის. საქმე ის არის, რომ ფათიჰ ჩევიქის ნაამბობით და დღევანდელი გასაჭირით არ დავრჩენილვართ გულგრილნი და „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ჩევიქის მიმართვა-თხოვნას ხელისუფლებისადმი, ფრიად გულისამაჩუყებელი მოწოდებით — „მაღირსეთ ქართველობა“, თან დავურთეთ ელენე თევდორაძისა და გურამ შარაძის საკმაოდ წონადი კომენტარები. იმედი გვქონდა, რომ პუბლიკაცია, გარკვეულწილად, დაეხმარებოდა ჩევიქს იმ საქმეში, რისთვისაც წლების მანძილზე იბრძვის, კერძოდ, საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად.

დიდად სამწუხაროდ, ფათიჰ ჩევიქმა გაზეთის კორესპონდენტს დაწვრილებით უამბო თავისი ამბავი, ერთადერთის გარდა, რომ მას საქართველოში უკვე მოუსწრია ერთი წყება ცოლ-შვილის გამოცვლა. თუ რა მიზეზით, ამის გარკვევა რედაქციის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ ფაქტია, რომ ჩევიქს ჰყავს ისეთივე კანონიერი პირველი შვილი — ქეთევანი, როგორიც მეორე მეუღლესთან შეძენილი — გიორგია. ბუნებრივია, იგი ვალდებულია, ყურადღება მიაქციოს თავის არასრულწლოვან პირველ შვილს, მით უმეტეს, რომ საკუთარი თავი საქართველოსა და ქართველი ერის სისხლხორცეულ ნაწილად მიაჩნია და ითხოვს საქართველოს მოქალაქეობას.

და კიდევ, გაირკვა, რომ არც იმ პარლამენტარებს სცოდნიათ მისი პირველი ოჯახის არსებობის შესახებ, რომლებიც ცდილობენ, ჩევიქს, შეძლებისდაგვარად, თანადგომა გაუწიონ. რომ იტყვიან, აქ უკვე კომენტარი ზედმეტია.

**საქართველომ კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება დაკარგა. ტკივილი ტკივილს, ცრემლი ცრემლს მიემატა**

თქვენ, ბატონო არჩილ, ჩვენთვის, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, დიდი მწერალი და საყვარელი თანაკურსელის — გიგის მამა იყავით. თავადაც ხომ ასე გიყვარდათ ახალგაზრდობა, — გვიმედებოდათ, რომ თქვენს აუხდენელ ოცნებებს აახდენდა.

ნათელი უოფილიყოს თქვენთვის სულეთში მიმავალი გზა, თავადაც ნათელო და ჰოეზიის მადლით ცხებულო კაცო!

*თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის 1976 წელს კურსდამთავრებულთა სახელით, ნატო ჩიმაკაძე-ფოფხაძე*

„კვირის პალიტრის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ არჩილ სულაკაურის ოჯახს და უერთდება საერთო მწუხარებას.

*„კვირის პალიტრის“ რედაქცია*

# „მოსკოვი ემზადება საპასუხო დარტყმისათვის!“

მამუკა არეშიძე

კიშინიოვში გამართულმა დსთ-ის წევრი ქვეყნების ლიდერთა მორიგმა სამიტმა ნათლად დაანახა პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულთ, რომ ისედაც ლპობაშეპარულ "თანამეგობრობას" საბოლოო გახრწნა და, შესაბამისად, სიკვდილი ელის. მაგრამ რუსეთი რომ იოლად არ შეელევა თავის „ პირმშოს" პოლიტიკური რუკიდან გაქრობას, ესეც აშკარაა და თუ საბჭოთა კავშირმა „კარის გაუჯახუნებლად" დაამთავრა არსებობა, დასავლელ ექსპერტთა თქმით, ამჯერად, რუსეთმა შეიძლება ისე გაიჯახუნოს კარი, რომ მთელი მსოფლიო თუ არა, ევროპის კონტინენტი და, უწინარესად, დსთ-ის სივრცე გვარიანადაც შეარყიოს. ხოლო, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ რყევას, ალბათ, ყველას კარგად გვაქვს გააზრებული. ამიტომაცაა, რომ შექმნილ ვითარებაში პოლიტიკოსებსა და სახელმწიფოთა მეთაურებს ისე, როგორც არასდროს, განსაკუთრებული პოლიტიკური ყნოსვა და ალღო მართებთ და უწინარესად იმ რეგიონის ლიდერებს, რომელსაც კავკასია ჰქვია. თავად კავკასია, განსაკუთრებით მისი ჩრდილო ნაწილი, ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ მოთუხთუხე ვულკანს შეადარა, რომელიც ამოფრქვევის შემთხვევაში, წალეკვით ემუქრება რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობას, შესაბამისად, საერთოდ, რუსეთის ფედერაციის არსებობას. მოხდა ისე (და ეს კანონზომიერია), რომ ბოლო დროს საქართველოც აქტიურად დაინტერესდა ჩრდილოკავკასიური პროცესებით, რაც, ბუნებრივია, სულაც არ ეხატება გულზე რუსეთს, ხოლო თუ რა შანსი აქვს ჩვენს ქვეყანას რეგიონში შექმნილი უმძიმესი და ფეთქებადსაშიში ვითარებიდან, ამჯერად მაინც, მიიღოს რაღაც პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდები, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც, უპასუხებს ინტერვიუ, რომელიც პარლამენტის კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარეს მამუკა არეშიძეს ჩამოვართვი.

**— კომენტარს უკეთებენ რა საქართველო-ჩეჩნეთის დაახლოებას, დასავლელი პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მოსკოვი ისე უყურებს თბილისსა და გროზნოს შორის გახშირებულ ყველა დონის კონტაქტს, როგორც ჩასაფრებული მელა საკენკს დახარბებულ ქათმებსო. რა კომენტარს დაურთავდი ნათქვამს, მით უმეტეს, რომ მოსკოვს დღემდე არ გამოუთქვამს ოფიციალური პროტესტი?**

— ოფიციალური პროტესტის გამოთქმა მოსკოვს ძალიან უჭირს, რადგან იგი ანალოგიურ ქმედებას სჩადის აფხაზეთთან მიმართებაში. ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს ერთი და იგივე სიტუაციაა აფხაზეთსა და ჩეჩნეთში. ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ მორალურ და ეთიკურ ნორმებს რუსი პოლიტიკოსები არღვევენ საქართველოსთან ურთიერთობაში. ამიტომ ერიდებიან პროტესტის გამოთქმას. გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოს ურთიერთობა ჩეჩნეთთან მიზნად ისახავს რეგიონული პრობლემების მოგვარებას, გაცნობით ურთიერთობებს, ვიდრე ამ ეტაპზე სერიოზულ პოლიტიკურ კავშირს. ამ მხრივაც მოსკოვს საპროტესტო არაფერი აქვს, მაგრამ, რასაკვირველია, მოსკოვი ჩასაფრებული გვყავს! როცა შენი დაუძინებელი მტერი — ჩეჩნეთი, შენს პოტენციურ მოკავშირესთან იჭერს საქმეს (და სწორედ ასეთ მოკავშირედ აღიქმება საქართველო მოსკოვში, ზედაპირულად მაინც) და ამ ურთიერთობას დღითიდღე აღრმავებს, ბუნებრივია, ეს არასასურველია მათთვის: რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, კრემლში დიდი გულისყურით ადევნებენ თვალყურს თბილისი-გროზნოს ურთიერთობის პროცესს და მოსკოვი ემზადება საპასუხო დარტყმის მოყენებისათვის.

**— ალბათ, ეს დარტყმა, ადრე თუ გვიან, განხორციელდება. საიდან და რა სახით უნდა ველოდოთ მას?**

— საქმე ის არის, რომ კავკასია მოსკოვისათვის უკვე იმ ძირმაგარად იქცა, რომელიც როდის გასკდება, კაცმა არ იცის. ამას კარგად ხვდებიან რუსები, მაგრამ, ჩემი ანალიზით, როგორი ნაბიჯები უნდა გადადგან, ჯერჯერობით, არ იციან. რუსეთის დიპლომატიას არა აქვს გამომუშავებული სწორი პოლიტიკა კავკასიისადმი და, აქედან გამომდინარე, ალბათ, არა აქვთ ბოლომდე ჩამოყალიბებული, თუ როგორი დარტყმა უნდა განხორციელდეს, მაგრამ დარტყმა რომ ნამდვილად იქნება, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. თანაც, მოსკოვისთვის ჩეჩნეთის გარდა, ახლა ყველაზე მტკივნეული წყლული ხდება დაღესტანი, სადაც ისე გართულდა ვითარება, რომ ღმერთმა ნუ ქნას და, თუ დაღესტანი აფეთქდა, ჩეჩნეთი მასთან შედარებით მონაგონი იქნება.

**— უკანასკნელი ინფორმაცია რა გვაქვს დაღესტნიდან, რა პროცესები მიმდინარეობს იქ?**

— დაღესტანში უკვე აშკარაა მძაფრი და უკომპრომისო დაპირისპირება ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ბარიკადების ერთ მხარეს დადგნენ ავარიელები და დარღოელები, მეორე მხარეს დანარჩენი ტომები: ლაკები, ყუმიხები, ლეკები და სხვები, რომლებიც თავს უსამართლოდ დაჩაგრულებად მიიჩნევენ და საკუთარი პოზიციების გასამაგრებლად ყველა ღონეს ხმარობენ. ამას კი, სერიოზული კონფლიქტი მოჰყვება. აღნიშნულ დომინანტურ ჯგუფს მიეკუთვნებიან რამაზან აბდულატიპოვი და დაღესტნის რესპუბლიკის ხელმძღვანელი მაგომედოვი, ხოლო დამცირებულ ეთნიკურ ჯგუფებში აღმოჩნდნენ ძმები ნადირ და მაგომედ ხაჩილაევები. ერთ-ერთი ძმა რუსეთის დუმის დეპუტატია. მათ აქვთ უძლიერესი ეკონომიკური კლანი, რომელიც აკონტროლებს თევზჭერას და რეალიზაციას კასპიის ზღვის დაღესტნის აკვატორიაში. ეს კი, უკიდურეს დაპირისპირებას იწვევს. დიდი ხნის მანძილზე გარკვეული სპეცსამსახურები ცდილობდნენ, ლეკების აგრესია მიემართათ აზერბაიჯანის წინააღმდეგ, რაც არ გამოუვიდათ და ახლა მთელი ეს დაგროვილი სიძულვილისა და ბოღმის ორთქლი ერთ ქვაბში აღმოჩნდა...

**— და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ „ქვაბის" გასკდომას?**

— ჯერ ერთი ის, რომ უდიდესი საფრთხე შეექმნება ჩეჩნეთის გვერდის ავლით დაღესტნის ტერიტორიაზე დაგეგმილი ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას. ეს ხელსაყრელია ჩეჩნებისთვის, რადგან ნავთობსადენი ის მექანიზმია, რომლის აფეთქების შანტაჟირებითაც მოსკოვი მუდმივი ზეწოლის ქვეშ ეყოლებათ, მითუმეტეს, რომ დაღესტანში უამრავი ჩეჩენი ცხოვრობს, რომლებიც აქტიურად ჩაებმებიან კონფლიქტში და განვითარდება ჯაჭვური რეაქცია. ეს კი ინგუშეთსაც ჩაითრევს და არ არის გამორიცხული, რომ ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად ცეცხლის ალში გაეხვიოს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ დაღესტნის მეზობლად ყალმუხები ცხოვრობენ, მათ შემდგომ კი თათრები, რომლებიც სულ უფრო დამოუკიდებელნი ხდებიან მოსკოვისაგან. ბუნებრივია, ვერც ყალმუხეთი და თათრეთი დარჩებიან კონფლიქტის მიღმა და არ არის გამორიცხული, რომ დაღესტნის აფეთქებამ რუსეთის სამხრეთი საზღვრები ზემოთ ასწიოს და მოსკოვმა დაკარგოს ეს ტერიტორიები. ამის საშიშროებას მოსკოვში კარგად გრძნობენ, მაგრამ მე ვერ ვხედავ, რომ რუსები რაიმე ქმედით პოლიტიკას ატარებდნენ მის ასაკვეთად.

**— შექმნილი ვითარება, ალბათ, საკმაოდ წონიანი კოზირია და დიდ შანსს აძლევს საქართველოს საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის...**

— რასაკვირველია, ამ ვითარების გამოყენება საქართველოს შესანიშნავად შეუძლია. ჩვენს ხელისუფლებას ხელშეკრულება აქვს რუსეთთან გაფორმებული თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ, რომლის რატიფიცირებასაც რუსეთის დუმა არაფრით არ ახდენს. ამიტომ, თუ გვერდიდან შევხედავთ ჩვენი ხელისუფლების პოზიციას, შეიძლება ითქვას, რომ იგი ნაწყენია, რადგან მოსკოვს ჩვენთან მეგობრობა და თანამშრომლობა არ უნდა. ეს კი, გარკვეულწილად, ხელ-ფეხს უხსნის საქართველოს თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს რუსეთში და მის სამხრეთ საზღვრებთან შექმნილი ვითარება, მითუმეტეს, რომ ამ რესპუბლიკებმა, განსაკუთრებით, ჩეჩნეთმა, თავად აღიარეს საქართველო დომინანტად რეგიონში. ისინი საქართველოს უკვე განიხილავენ როგორც ისტორიულ მოკავშირესა და ძმას, რომელიც მათ მსოფლიოსკენ გზას გაუხსნის. ამიტომ **საქართველომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ნაწრილი მეგობრობის ხელთათმანი რომ არ აიღოს, შეცდომა იქნება, თუმცა, ამ ხელთათმნის აღებას დიდი სიფრთხილე სჭირდება და მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაშია შესაძლებელი.** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საქართველოს მხრიდან პოლიტიკური დემარშების გაკეთება და მოვლენების ფორსირება, რადგან იგი მოუმწიფებელ პროცესებს ნაადრევად ააფეთქებს და ცუდად შემოგვიბრუნდება, — თუ საქართველო აქტიურად ჩაერია, აუცილებლად მივიღებთ საერთოკავკასიურ კონფლიქტს და დიდ სისხლისღვრას.

**— ზემოთქმულის ფონზე, რა მნიშვნელობა ენიჭება ჩეჩენ ლიდერთა, ვთქვათ, არსანოვისა და ზაკაევის გახშირებულ ვიზიტებს თბილისში?**

— ჩეჩენთა დელეგაციების ვიზიტებს უკვე ველარ ვაკონტროლებთ. ყოველ მესამე-მეოთხე დღეს გროზნოს რომელიღაც ოფიციალური პირი ზის თბილისში. ზაკაევი კი, მგონი, საერთოდ „ჩაენერა" თბილისში, მას უშუალოდ აქვს დავალებული საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარება...

საგულისხმოა, რომ თუ ჩეჩნეთში მასხადოვი ფლობს რეალურ ძალაუფლებას, მისი მოკავშირე არსანოვი აკონტროლებს ქვეყნის ეკონომიკას, უწინარესად, ნავთობს. თბილისში ვიზიტისას, ვახა არსანოვმა გააკეთა ყველაზე მკვეთრი განცხადება, რაც კი ოდესმე მსმენია ჩეჩენი ლიდერებისაგან. მან ბრძანა: „ეს რეგიონი დამოუკიდებელი უნდა იყოს გარეშე ძალებისაგან და კავკასიას უნდა მართავდნენ კავკასიელები. ამასთან, კავკასია უნდა იყოს ერთიანი და ვერც ერთი რგოლის ამოგდებას ჩეჩნები ვერ და არ შეურიგდებიან (იგულისხმება აფხაზეთი). ამიტომ, ჩვენ არ მივცემთ აფხაზებს იმის საშუალებას, რომ ალიანსში შევიდნენ რუსეთთან". როცა შევეკითხეთ, თუ რა საშუალებითა და ხერხებით არ მისცემს ჩეჩნეთი აფხაზეთს რუსეთთან ალიანსის შეკვრის საშუალებას, არსანოვმა პირდაპირ განგვიცხადა: „ასეთ შემთხვევაში ჩვენ ხერხებს არ ავირჩევთ და მივმართავთ რადიკალურ ზომებს".

**— რამდენად სერიოზულად შეიძლება ჩაითვალოს ეს განცხადება?**

— ჩვენს მოსახლეობას, რომელიც მხოლოდ მასმედიის საშუალებით ეცნობა თბილისი-გროზნოს ურთიერთობების განვითარებას, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ჩეჩნები, რომლებმაც აფხაზეთში არაერთი ბოროტება ჩაიდინეს, ამჯერად მშველელად გვევლინებიან. მაგრამ ეს ასე არ არის: ჩეჩნეთს საქართველოს იქით სხვა გზა არა აქვს! ისინი უკვე მთხოვნელ-მომთხოვნელის როლში გვევლინებიან. მომთხოვნელობა გამომდინარეობს ისტორიული აუცილებლობიდან, კერძოდ, საქართველო ისტორიულად უფროსი ძმაა ჩეჩნეთისა და მისი ვალია მიხედოს მას, ხოლო მთხოვნელობაში იგულისხმება დახმარების გაწევა იმ უმძიმესი ეკონომიკური ბლოკადის პირობებში, რომელშიც მოსკოვმა მოაქცია ჩეჩნეთი. აღსანიშნავია, რომ ჩეჩნები „უფროს ძმად" აღარ აღიქვამენ თურქეთს, რადგან მშვენივრად იციან, რომ თურქეთი ჩაყლაპავს და გაათურქებს მთელ ჩეჩნეთს, როგორც ეს მოჰაჯირებს დამართა. მოკლედ, საქართველოს ხელისუფლებას, ჩეჩნეთის სახით, უძლიერესი




კოზირი უპყრია ხელთ, მაგრამ თამაშში ჩავერთვებით სულ ბოლოს!

**— ამ კოზირს, ალბათ, კიდევ უფრო აძლიერებს ოფიციალური გროზნოს ნეგატიური დამოკიდებულება არძინბას რეჟიმისადმი...**

— მე მაქვს ინფორმაცია, რომ ძალიან დაძაბული ვითარებაა გროზნოსა და სოხუმს შორის. ამას წინათ, გროზნოში ჩასული ე.წ. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები, ელემენტარულად, კაბინეტიდან გამოყარა ვახა არსანოვმა, რომელმაც პირდაპირ მიახალა მათ: „ჩვენ, ჩეჩნებმა, ვიცით, რომ არის ასეთი რესპუბლიკა — აფხაზეთი, მაგრამ ისიც ვიცით, რომ იქ არ უნდა არსებობდეს საგარეო საქმეთა სამინისტრო! ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მხოლოდ მასთან გვაქვს ლაპარაკის სურვილი..."

ერთი სიტყვით, მრავალი ფაქტორი მუშაობს ჩვენს სასარგებლოდ და, საგულისხმოა, რომ ვახა არსანოვმა ჩვენთან დაიწყო ჩივილი ყაბარდოელების საქციელის გამო, კერძოდ, „ყაბარდოელები ჩეჩნეთის სატვირთო ტრანსპორტს აჩერებენ, ტვირთებს გვპარავენ და გვიკარგავენ, მძღოლებს აპატიმრებენ და ა.შ." თავისთავად, სასაცილოა, რომ ჩეჩნები ჩვენთან ჩივიან ამის თაობაზე, რადგან მშვენივრად იცის არსანოვმა, რომ ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ყაბარდოელებს ვერაფერს ვუზამთ, მაგრამ გასაგებია, რომ არსანოვი ამ ფაქტის დეკლარირებას ახდენს თავის ძმასთან, რომ საერთოკავკასიურ ოჯახში, ვთქვათ, მეორე ძმა ცუდად იქცევა. აქვე ვიტყვი, რომ არსანოვი საკმაოდ გონიერი და სერიოზული კაცი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბოლო „თანამდებობა" იყო... ავტოინსპექციის უფროსი ლეიტენანტი...

**— არსანოვის ბეირუთში გამგზავრება რას ისახავდა მიზნად?**

— ჩეჩნეთის ოპოზიცია იანდარბიევის მეთაურობით, სერიოზულ ნაბიჯებს დგამს გავლენის გასაძლიერებლად. იანდარბიევი მექაში მოგზაურობის შემდეგ, შეიხის ტიტულით დაბრუნდა ჩეჩნეთში და მას მხარს უჭერს აზიის მრავალი რელიგიური მოღვაწე. იმისათვის, რომ მომხრეები წაართვან იანდარბიევს, საჭიროა ოფიციალური გროზნოს წარმომადგენელთა საპასუხო ვიზიტები საუდის არაბეთში, ლიბანში, თურქეთში. ამიტომაც ჩაფრინდა არსანოვი ბეირუთში.

**— რელიგია ვახსენეთ და, ამ მხრივ რა ვითარებაა ჩრდილოეთ კავკასიაში, ცნობილია, რომ, იქ მომრავლდნენ ისლამური სექტები.**

— ჩეჩნეთში შემოვიდა ახალი ისლამური სექტანტური მიმდინარეობა — ვაჰაბიზმი, რომელმაც ასევე უამრავი მომხრე შეიძინა დაღესტანშიც და, წარმოიდგინე, რომ მისი ნიშნები გამოჩნდა საქართველოშიც, კერძოდ მარნეულსა და სხვა რაიონებში. ვაჰაბისტები იბრძვიან უფრო მეტი რელიგიური თავისუფლებისათვის და, პრაქტიკულად, თალიბების იდეოლოგიის აღმსარებლები არიან. ხოლო, თუ ვინ არიან და რას წარმოადგენენ თალიბები, ყველამ კარგად ვიცით. რამდენიმე თვის წინ ვაჰაბისტებმა გროზნოს მთავარი მოლა იახიევი მოკლეს დღისით-მზისით, რამაც უკიდურესად დაძაბა ვითარება, მაგრამ ხელისუფლებამ შესძლო, აღეკვეთა მოსალოდნელი შედეგები. დაღესტანში კი ცდილობენ, ვაჰაბისტების აგრესია ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართონ და თუ ეს მოხდა, იგი წალეკავს ყველაფერს. ვაჰაბისტებისთვის არ არსებობს უმცროს-უფროსობა, უხუცესთა საბჭო და ა.შ. მათი მოქმედება, ფაქტობრივად, არ ექვემდებარება კონტროლს. აი, ასეთი ვითარებაა...

**— ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ გროზნოს ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების თაობაზე...**

— დიახ, არსანოვის ვიზიტისას, ამ თემაზე საუბარს მათი მხრიდან დაზვერვის სახე ჰქონდა, დაახლოებით, ასეთი: „ჩვენ თუ თბილისის მარშრუტს ავირჩევთ, როგორი იქნება თქვენი პოზიცია?" ქართული მხარის პასუხი კი ასეთი იყო: „ეს წინადადება კარგი და მისაღებია, მაგრამ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას..." ცნობილია, რომ ჩეჩნეთს უმაღლესი ხარისხის ნავთობის 25 წლის მარაგი აქვს და თუ ამ ეტაპზე დაუყოვნებლივ დავეთანხმებით ჩეჩნებს, ბუნებრივია, სერიოზულ ბერკეტს ჩავიგდებთ ხელში, მაგრამ სერიოზულ და დაუძინებელ მტერსაც შევიძენთ...

**— მოსკოვის სახით?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვიდრე ამ, და სხვა ნაბიჯებს გადავდგამდეთ, მოსკოვს ვაძლევთ კიდევ ერთ შანსს — გონს მოვიდეს და ვითარება მოაგვაროს რეგიონში, უწინარესად კი, ნათლად ჩამოაყალიბოს და განახორციელოს თავისი პოლიტიკა საქართველოსთან, როგორც პარტნიორ და მეგობარ სახელმწიფოსთან მიმართებაში. თუ ვინმეს კიდევ ჭკუა შემორჩა, ის კარგად უნდა ხვდებოდეს, რომ კავკასიის სამართავად, გეოგრაფიული და სტრატეგიული თვალსაზრისით, სწორედ რომ თბილისსა და საქართველოს ენიჭება დიდი მნიშვნელობა. ამიტომ, ჩვენი ფაქტორის უგულებელყოფა მოსკოვს შეიძლება ძვირად დაუჯდეს. ხომ აშკარაა უკვე, რომ სწორედ ამ ფაქტორის გამოყენებას შეუდგა დასავლეთი ბოლო დროს.

**— რეზიუმეს სახით, რა პერსპექტივა აქვს რეგიონში სასიკეთო პროცესების განვითარებას და რა შეიძლება მოხდეს ყველაზე უარესი?**

— უდავოდ, სიკეთის მომტანი იქნება რაიმე საერთოკავკასიური პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. უხეშად რომ ვთქვათ, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ სალაყბო, სადაც „ორთქლის გამოშვება" მოხდება ან შეიძლება შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ კონფლიქტების მოგვარებაზე იმუშავებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნები წინააღმდეგნი არიან, ჩემი აზრით, მოსკოვი აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ამ ორგანოში, რადგან სჯობს, იქ ისხდნენ მოსკოვის ოფიციალური წარმომადგენლები და იქ ხდებოდეს დავა-კამათი. ჩეჩნები დღეს ამის მნიშვნელობას ვერ ხვდებიან, მაგრამ, ვფიქრობ, მოვა დრო და ჩეჩნები დათანხმდებიან. ძალიან კარგი იქნება, თუ შეიქმნება საერთოკავკასიური ეკონომიკური სივრცე მოსკოვის მონაწილეობით. რა თქმა უნდა, კრემლმა იცის, რომ მსგავსი საერთოკავკასიური სტრუქტურების შექმნა (მათ შორის, კავკასიური უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა, რაზედაც ვმუშაობთ უკვე), სადაც თვითონაც იქნება წარმოდგენილი, შეასუსტებს მის გავლენას კავკასიაზე, მაგრამ ვერ ვიტყვი, რატომ არ სჯერა საკუთარი ძალებისა კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. ჩვენ კი ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს სტრუქტურები შეიქმნას, რომელთა შტაბ-ბინაც უეჭველად თბილისში იქნება.

ყველაზე უარესი კი არის, ვიმეორებ, დაღესტნის აფეთქება, რომლითაც, საუბედუროდ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურები არიან დაინტერესებულნი, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც კასპიის ნავთობის ბიზნესში ხელი მოეცარათ. ამიტომ, იქ იმდენი ძალა მოინდომებს მღვრიე წყალში თევზის დაჭერას, რომ ამას გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება.

**— გმადლობთ.**

P.S. ინტერვიუ ასაწყობად მზად იყო, როცა დაღესტნიდან მოვიდა ინფორმაცია, რომ იქ მდგარ რუსეთის საჯარისო ფორმირებებში ტერორისტებმა ბომბები ააფეთქეს! ვითომ, იწყება უკვე?!

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# აჭარაში პირველი — „პატარა ბაბუა“ ანუ მიმდინარეობს ჟვანიას „დაძირვა“

ღვინობისთვის მიწურულს ბედკრული საქართველოს ყურადღება ყველასათვის საყვარელი ბათუმის ბულვარისკენ იყო მიპყრობილი. ზღვის სანაპიროზე მემედ აბაშიძის ძეგლი გაიხსნა. წიგნით ხელში მჯდომარე ეროვნულ გმირს თეთრი საბურველი „ორმა ბაბუმ“ ჩამოხსნა.

პრეზიდენტს ქათქათა ბათუმში ნახევარი თბილისი გაჰყვა. თვითმფრინავის ტრაპზე მასთან ერთად ჩამოაბიჯეს ნიკო ლეკიშვილმა და ზურაბ ჟვანიამ, რომელიც ბათუმის ექს-მერმა თამაზ ხარაზმა, იმავე „ბაცინკამ“, როსტომ დოლიძესთან ერთად, აბაშიძის წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხილა.

დედაქალაქში თითქმის ყველამ აღიარა, ჟვანიას ბათუმში ჩასვლა თამაშგარე მდგომარეობის დამადასტურებელიაო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აბაშიძე ასე არ ფიქრობდა.

ბათუმის აეროპორტში, მიწაზე ფეხის დადგმისთანავე, პრეზიდენტს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ხვევნა-კოცნით შეეგება, ჟვანიას ხელი ჩამოართვა, ნიკო ლეკიშვილი კი გადაკოცნა. „პატარა ბაბუმ“ „დიდი ბაბუ“ წინ გაიძღოლა, მერე ლეკიშვილს ხელით ანიშნა, — მიჰყევიო; ბოლოს ჟვანია რჩებოდა. სახელმწიფო მინისტრმა „მეორე კაცობას“ პარლამენტის თავმჯდომარის გულისმოგება არჩია და გზა ბატონ ზურაბს დაუთმო.

თეთრ საბურველზე იმედებს ამყარებდნენ, — მანდილის ფუნქციას შეასრულებსო, მაგრამ ამაოდ.

გალუმპული ელიტა უღიმღამოდ შეჰყურებდა სახელოვანი „ბაბუის“ კიდევ უფრო სახელოვან ბაბუას, ჟვანია კი გაბუტული [illegible] იდგა.

ასლან აბაშიძე ყველანაირად ცდილობდა, რომ პროტოკოლით გათვალისწინებული პროცედურა როგორმე გაეჭიანურებინა, რაშიც კოკისპირულმა წვიმამაც შეუწყო ხელი. საზეიმო კონცერტი ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა. თურმე, პარტერში [illegible] პირველ რიგში დაჯდებოდა პრეზიდენტი, მერე აბაშიძე, მერე ლეკიშვილი და ბოლოს ჟვანია. ლეკიშვილმა თბილისის წყენინებას პრეზიდენტის უკან ჯდომა არჩია, „დაჩაგრული“ ჟვანია „ბაბუების“ წინა რიგში აღმოჩნდა.

კონცერტი დამთავრდა. სიტყვით გამოსულები ქათინაურებით მხოლოდ შევარდნაძესა და აბაშიძეს ამკობდნენ. სკანდალის „მონაწილე“ ჟვანია არავის გახსენებია, რომ აღარაფერი ვთქვათ, დედაქალაქელ პოლიტიკურ ელიტაზე. მერე თვალციმციმა ქალიშვილმა ხმალი გამოიტანა — ეს წელზე ღირსეულს უნდა ერტყასო და ასლან აბაშიძეს გადასცა. მემედ-ბეგის ბადიშმა ხერხი იხმარა და ნაჩუქარი ორლესული პრეზიდენტს მიართვა. „გახარებულმა“ შევარდნაძემ დიდი წინაპარი გულთბილად გაიხსენა და აჭარას აღუთქვა, მემედ აბაშიძის ძეგლი სულ მალე აღიმართება თბილისში, როგორც ერთიანი საქართველოს სიმბოლოო.

ოთხთა შეხვედრის თემატიკა მისახვედრია, მაგრამ დეტალები მაინც იდუმალებითაა მოცული. პრეზიდენტმა დაძაბულობაში ყველაზე დიდი ბრალი ჟურნალისტებს დასდო. აჭარის ლიდერმა კი აღნიშნა, აჭარა საქართველოს ერთიანობისთვის იბრძვისო.

როგორც ცნობილი გახდა, აბაშიძემ შევარდნაძეს ჟვანიას მამხილებელი დოკუმენტები გადასცა (თუმცა, ამ ფაქტის კომენტარისგან ორივე ლიდერმა თავი შეიკავა). „ამაღორძინებელი“ გოგიტიძე კი თავისას არ იშლიდა, — ჟვანია ურჯუკის შეხვედრაში მონაწილეობდა. [illegible]

[illegible] ბათუმის „შერატონში“ — სასტუმრო „ინტურისტის“ [illegible]

ბათუმის შეხვედრამ ბურუსი ვერ გაფანტა. [illegible]

*უტა ჩალაძე*
*ბათუმი-თბილისი*

# სმკა-ის ფიქრები: სმკელი ვიქნები



### დაგვიანებული ყრილობა და ჰიტლერიუგენდი

15 ოქტომბერს დაგეგმილი „მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის“ მე-4 ყრილობა ერთი კვირის დაგვიანებით, 23-ში გაიმართა დიდი შოთას სახელობის კინოთეატრში. როგორც ამბობენ, თარიღის გადაწევა რუსთავში „ლეიბორისტებთან“ შერკინების კრახით დამთავრებამ განაპირობაო. ამდენი სმაკელის ერთად დანახვისას, გაგახსენდებოდათ მისიკვდილებული პოლიტიკოსის, აკაკი ასათიანის სიტყვები — ამათ რომ ვუყურებ, მეშინია, 37-ში რომ მაუზერიანი კომკავშირლები დარბოდნენ, იმათ გვანანო. ვიღაცამ ისიც თქვა, ამათ შემხედვარეს ფილმი „კაბარე“ და გერმანელი ბიჭუნას ომახიანი სიმღერა მახსენდებაო.

მოკლედ, როგორც არის.

23-ში, დილით, რუსთაველის კინოთეატრის ახლომახლო ქუჩები ზესტაფონიდან, მარნეულიდან, ლანჩხუთიდან, ზუგდიდიდან, რუსთავიდან და ა.შ. ჩამოსულ „ახალგაზრდა მმართველთა“ ავტობუსებით გაიჭედა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სმაკელებმა რაიონული ორგანიზაციები, რეალურად თუ არარეალურად, ყველგან დააარსეს, სვანეთისა და რაჭის გარდა.

### დამირეკე, ტელეფონო!

დღის წესრიგი დაირღვა და სტუმრის სტატუსით მოწვეული პარლამენტის თავმჯდომარე „ახალგაზრდებს“ დათქმულ დროზე ადრე მიესალმა. ჟვანიას გამოსვლის შემდეგ, შესვენება გამოცხადდა, რომლის დროსაც, პროვინციელი „ახალგაზრდები“ თვალყურს ადევნებდნენ „პარტიულ ბოსებს“, როგორ აწკრიალებდნენ მობილურ ტელეფონებს და გულთბილად ეხვეოდნენ ძველ პარტიულ ამხანაგებს. გადაიღეს სამახსოვრო სურათები, ბევრი იცინეს და იკისკისეს.

### ოდეს გშიოდეს და გწყუროდეს

შესვენების შემდეგ, ე.წ. დებატები გაგრძელდა, მაგრამ დელეგატთა და სტუმართა 600 კაციანი არმიის ნაცვლად, ამფითეატრის რიგებს 300-ოდე შემორჩენოდა. სად წავიდნენ სმაკელები? ზოგი ფოიეში გასართობი ავტომატით იქცევდა თავს, ზოგი შენობის წინ მზესუმზირას აკნატუნებდა, მაგრამ „ახალგაზრდათა“ ყველაზე დიდი თავყრილობა გუდიაშვილისა და ვაჩნაძის ქუჩების კუთხეში, საკონდიტრო „სიამასთან“ მოხდა. გოგო-ბიჭები აჭარული ხაჭაპურის რიგში თავისთავს დასცინოდნენ, — როგორ დაშალა შიმშილმა ყრილობაო. პუშკინის სკვერიდან ქაშუეთის ეკლესიამდე მრავლად შეხვდებოდით სმაკელებს, რომლებიც „წყურვილის გრძნობას ემორჩილებოდნენ“ და „სპრაიტსა“ და „კოკა-კოლას“ ხარბად არაკრაკებდნენ.

### ეროტიკა, ცეკვა, მაკარევიჩი

საღამოს 6 საათისთვის ყრილობა დამთავრდა, თუმცა დარბაზში დარჩენილ პოლიტიკოსებს გარეთ გამოსვლა აღარ უნდოდათ — ერთმანეთს შთაბეჭდილებებს თუ უზიარებდნენ, მაგრამ ლიმიტი ამოიწურა. 18 სთ-ზე ფართო ეკრანზე მორიგი ეროტიკული ფილმი აციმციმდა.

მეორე დღესაც ვერ გამოვიდნენ სმაკელები ყრილობის ეიფორიიდან. 24 ოქტომბერს დიდ საკონცერტო დარბაზში დაიხურა ქართული ეროვნული ქორეოგრაფიის პირველი ფესტივალი. მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი სმაკ-იც იყო. სცენის თავზე თავს იწონებდა ფესტივალ „საჩუქრის“ ემბლემა — ცისარტყელას ფონზე ფრთაგაშლილი საყვირიანი ანგელოზი. სმაკ-ის თავმჯდომარის ლევან ალავიძის მოადგილეს, ზაქარია შერაზადიშვილს ემბლემა არ მოეწონა, ჩამოხსნა და ცოტა ხანში სცენა დაამშვენა თეთრ ტილოზე ცისფრად ამოტვიფრულმა ტრანსპარანტმა — „საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი მიესალმება ფესტივალის მონაწილეებს“.

როგორც ხედავთ, სმაკ-მა, ყველაფერთან ერთად, ხელოვნებაშიც მოსინჯა ძალა.

იქნებ კულინარიაშიც ივარგოთ, დაუკავშირდით ანდრეი მაკარევიჩს!

### ჯარში მივდივარ...

„ახალგაზრდა მოქალაქეთა“ თავმჯდომარე, ამავდროულად, პარლამენტის ახალგაზრდობის საქმეთა ქვეკომიტეტს განაგებს. ის კარგა ხანია, ქართული ჯარის აღორძინებისა და ჯარისკაცთა უფლებებისთვის იბრძვის და ამ ბრძოლაში მანდილოსნებიც ამოიყენა გვერდში. ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ეროვნული საბჭოს კოლეგიის წევრმა ნინო ასათიანმა და ახალგაზრდული ორგანიზაცია „გალათეას“ პრეზიდენტმა ეკა ერგემლიძემ სამხედრო ნაწილებში ნდობის ფოსტის გახსნა გადაწყვიტეს, რათა ჯარისკაცებმა თავიანთი საწუხარი ფარულად მაინც თქვან. ალავიძე შეწუხებული ყოფილა ჯარში გამეფებული კორუფციით — კომისარიატიდან კორუფციის ბუდემ იმ კომერციულ სასწავლებლებშიც გადაინაცვლა, რომლებიც ყოველი ბუჩქის ძირას გაიხსნაო.

უსახელო ორგანიზაციის მიზანია, დაიცვას ქართველი ჯარისკაცის უფლებები. მისმა თავკაცებმა განიზრახეს, სამხედრო ნაწილს ეწვიონ და ჯარისკაცებთან ერთად გაუსინჯონ გემო წვნიანს.

*მათე კირვალიძე*

# ლისის ტბის საიდუმლოება,

## რომელიც ძიებამ კიდევ უფრო გაასაიდუმლოვა

ბიჭები, რომელთა გაუჩინარების ისტორია, ორწლიანი ძიების მიუხედავად, დღემდე საიდუმლოებით არის მოცული, კულინარიელების უბანში, იგორ გიორგაძის მეზობლად ცხოვრობდნენ. დაკარგულთაგან ერთ-ერთის — ბექა რეხვიაშვილის — მამა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი იყო. გიორგაძე პირადად იცნობდა და გულშემატკივრობდა ოჯახს, რის ნიშნადაც მცხეთის პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე საკუთარ უწყებას გადააბარა, დახმარების სათხოვნელად მისულ მშობლებს კი ურჩია, შინიდან ფეხი არ გაედგათ და მოვლენების განვითარებას მშვიდად დალოდებოდნენ.

მოვლენები არცთუ სახარბიელოდ ვითარდებოდა. გაურკვეველი იყო ბიჭების შესაძლო გატაცების პრეისტორია, მიზეზები, გამტაცებელთა ვინაობა. ეჭვს ბადებდა ძიების მიერ ოფიციალურად მიჩნეული ვერსიაც, რომლის თანახმად, 1995 წლის 4 მარტს, საღამოს 21 სთ-სა და 20 წუთზე, 18 წლის კუსა თოხმაიძე და 14 წლის ბექა რეხვიაშვილი მზესუმზირის საყიდლად კრონშტადტის ქუჩისკენ გაემართნენ. მზესუმზირით მოვაჭრის სახლთან უცხოური მარკის წითელი ავტომანქანა დახვდათ. მანქანაში ამერიკულ სამხედროფორმიანი ჭაღარა კაცი იჯდა. კაცი ბიჭს გამოელაპარაკა. კუსა ეზოში შევიდა. უკან მობრუნებული, ბექასთან ერთად სალონში მოკალათდა. მანქანა ადგილიდან დაიძრა...

1995 წლის 4 მარტს, საღამოს 21 სთ-სა და 20 წუთზე, კუსა თოხმაიძე და ბექა რეხვიაშვილი მართლაც გავიდნენ ეზოდან და უკან აღარ მობრუნებულან. ზუსტად 40 დღის შემდეგ, ლისის ტბის მიდამოებში ჯოგის სამწყემსად გამოსულმა გლეხმა გზის გადაღმა უცნაური მიწაყრილები შენიშნა. მიწაყრილიდან ადამიანის ფეხი მოჩანდა. უდავო იყო: გლეხი სამარის პირას იდგა. საფლავი სამგან გაეჭრათ. ერთი ცარიელი იყო, ორში მიცვალებულები ესვენა, სახეები არ ეტყობოდათ, ტანი დაცხრილული ჰქონდათ. ერთს სხეულზე სამი, ხოლო მეორეს თოთხმეტი ნატყვიარი დაუთვალეს. აქედან, 9 გულის არეში მოხვედროდა. სასიკვდილო ტყვიას მარცხენა ძუძუს დვრილი გაეხვრიტა, თუმცა, მიცვალებულის თავქვეშ ამოდებულ ნივთებს, თვით გულის ჯიბეში შენახულ საბუთსაც სისხლის კვალი არ აჩნდა.

მეორე ღამეს რეხვიაშვილებმა და თოხმაიძეებმა სამგლოვიარო ცნობა მიიღეს: უგზო-უკვლოდ დაკარგულ კუსასა და ბექას გვამები თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მორგში ესვენა. მეზობლის ბიჭებმა გვამები პირადი ნივთების მიხედვით ამოიცნეს. მშობლები ამოცნობას არ დასწრებიან. მათ ხელმეორე ექსგუმაცია წლების შემდეგ მოითხოვეს, საიდუმლოებით მოცული დეტალების გასარკვევად.

ამბავს იდუმალება ტანსაცმლის გაქრობის ფაქტმა შესძინა. ტანსაცმელი მიცვალებულების მორგში გადასვენებისთანავე დაიკარგა. წესით, იგი მცხეთის პროკურატურაში უნდა მოეკითხათ: პროკურატურის თანამშრომელი თენგიზ მესხი კუსასა და ბექას მკვლელობასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იძიებდა. საქმეს ნივთმტკიცებებიც ერთვოდა. მესხს ნივთმტკიცებები არ აღმოაჩნდა, რადგან საქმის აღძვრიდან ორიოდე კვირაში მასალები რესპუბლიკის პროკურატურას გადაეგზავნა.



პროკურატურის წარმომადგენლების მტკიცებით, მცხეთიდან მიღებულ დოკუმენტებს ტანსაცმლის ნუსხა არ ახლდა. შესაბამისად, ვერც კუსასა და ბექას ნივთებს მიაკვლიეს. მათივე მტკიცებით, თოხმაიძის ქუდი, ცხვირსახოცი, მოწმობა და გატეხილი ჯვარი თენგიზ მესხის გარდაცვალების შემდეგ, მის სეიფში აღმოაჩინეს, რითაც თითქოს ნივთმტკიცებების გაქრობის საიდუმლოს ფარდა აეხადა.

**თამარ გარსევანიშვილი, კუსა თოხმაიძის დედა:** „შეითხზა ვერსია, თითქოს გამომძიებელმა სამოსი გაშრობის მიზნით მცხეთის პროკურატურის ეზოში ბუჩქებზე გადაფინა, მერე კი მას ველარსად მიაგნო(?!)“.

მესხის ვაჟის, გიორგის განმარტებით კი, რომელიც პირადად დაესწრო სეიფის გახსნას, გამომძიებლის კაბინეტის დათვალიერების ოქმში ოფიციალური დოკუმენტაციის გარდა, არაფერი აღუნუსხავთ, რადგან სეიფში კუსა თოხმაიძის ნივთები არ იდო. მესხის გვარი, უბრალოდ, გამოიყენეს. მან დღევანდელი გამოძიებისათვის ხელსაყრელი ალიბის როლი შეასრულა. გამოძიებას უფლება აქვს მოიხსნას პასუხისმგებლობა ნივთების გაუჩინარების გამო, მოტივით: მთავარი მოქმედი გმირი — თენგიზ მესხი — ერთი წლის წინათ გარდაიცვალა.

ეჭვს, რომ ლისის ტბის მიდამოებში კუსასა და ბექას ნაცვლად, გამოძიებისათვის უცნობ პირთა გვამებს მიაგნეს, ხელახალი ექსგუმაციის შედეგებიც ამძაფრებს. მიცვალებულთა სიმაღლე და სისხლის ჯგუფი არ ემთხვევა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ აღწერილობას. შეუსაბამოა პირველი და მეორე ექსგუმაციის შემდეგ მოპოვებული მონაცემებიც. ხელმეორე ექსპერტიზა ბიჭების დახვრეტის ფაქტს გამორიცხავს. დასკვნის მიხედვით, გვამები მთელია, ნეკნები დაუზიანავი და ა.შ.

ჩანს, გიორგაძის დაპირება ფიქცია იყო. ექვსთვიანი ლოდინის შემდეგ, რეხვიაშვილის მშობლები ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ: ექს-მინისტრმა საქართველო დატოვა. საქმეს რესპუბლიკის, მოგვიანებით კი, თბილისის პროკურატურის სახით, ახალი „პატრონები“(!) გამოუჩნდა. თუმცა, ეს პროცედურა მხოლოდ ხელიდან ხელში, ინსტანციიდან ინსტანციაში დოკუმენტების დასტის გადანაცვლებით ამოიწურა. რეალურად, საქმეს წინსვლა არ დასტყობია. არ დადგენილა ლისის ტბაზე ნაპოვნი გვამების ვინაობა, მკვლელობის მოტივაცია, დამნაშავეთა ადგილსამყოფელი. არავინ გასამართლებულა. არავინ აღმოჩენილა ეჭვმიტანილის როლში, იოსებიძელი ბუბუტეიშვილისა და ვინმე ყველაშვილის გარდა, რომლის იარაღიდან ნასროლი ტყვიის მასრები ლისის ტბის მიდამოებში იპოვეს. ვერსია არ დადასტურდა. მსვლელობა არ მიეცა კულინარიელთა მისამართით გამოთქმულ ეჭვსაც. ეჭვი კუსასა და ბექას გაუჩინარებისთანავე გაჩნდა, მიზეზით: კუსა კულინარიელი იყო. მოგვიანებით სამეგობრო წრეს ჩამოშორდა და პოლიციის თანამშრომლებს: ზაზა ბარკალაიას, ირაკლი ალასანიას, თემურ ავიძბას დაუახლოვდა. სამივე თოხმაიძის მეზობლად ცხოვრობდა. სამივეს მამა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი იყო. კუსამ არჩევანი ახალი მეგობრების წაბაძვით გააკეთა. სკოლის დამთავრების შემდეგ, პოლიციის აკადემიაში თავისუფალ მსმენელად მოეწყო. მართალია, ამის გამო ძველი მეგობრები არ განაპირებიან, მაგრამ ფარული გალიზიანების საბაბი არსებობდა: ბარკალაია კულინარიელებს არ სწყალობდა. უბანში ამბობდნენ, ზაზა კულინარიელებს დაერიაო.

ბექა რეხვიაშვილის დედის, მანანა რეხვიაშვილის განმარტებით, ზაზა უბნელებს ნარკოტიკებს სძალავდა (თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ ბიუროში მუშაობდა). ნარკოტიკს ფულად აქცევდა. ნაწილს ჯიბეში იდებდა, ნაწილი უფრო ზევით მიჰქონდა. კულინარიელები წინააღმდეგობას უწევდნენ. ზაზა შანტაჟს მიმართავდა. შანტაჟი ამართლებდა, რადგან ბარკალაიას ზურგს უკან სერიოზული ძალა იდგა. კულინარიელებს კი მფარველი არ ჰყავდათ: 1995 წელი იდგა.

შესაძლოა, კუსა თოხმაიძე ძველ და ახალ სამეგობრო წრეებს შორის გავლენის სფეროების გადასანაწილებლად გაჩაღებულ ბრძოლას შეეწირა. ბარკალაიას აქტიურობით გაღიზიანებულმა კულინარიელებმა ჯოხი თოხმაიძეზე გადატეხეს. ბექა რეხვიაშვილი კი მოიშორეს, როგორც ანგარიშსწორების უნებლიე მოწმე.

ბარკალაია თითქოს ელოდა ამას. 21 სთ-სა და 20 წუთზე კუსა და ბექა მზესუმზირის საყიდლად წავიდნენ... 22 საათზე ზაზას ბინაში, მანანა რეხვიაშვილის თქმით (ეს ამბავი უფროსი ვაჟისგან გაიგო), დაახლოებით მსგავსი შინაარსის საუბარი შედგა: ბარკალაიას ძმამ, კარტის თამაშის დროს, მეგობარს ჰკითხა: „ბიჭო, კულინარიელები ხომ არაფერს უზამენ კუსას?“ „არა, რა უნდა უქნან“.

თავად ქალბატონი მანანა და კუსას დედა, თამარ გარსევანიშვილი ხელს ბარკალაიას, ალასანიასა და ავიძბას ადებენ. მიიჩნევენ, რომ ბიჭები მათ გაწირეს. გამტაცებლებმა კუსასა და ბექას მოკვლით (მოტივი გაურკვეველია), ბარკალაიას სამეგობრო წრეზე იძიეს შური. დაღუპულთა ახლობლების სუბიექტური და ოფიციალურად დაუსაბუთებელი ვერსია ერთხელ უკვე უარყო გამოძიებამ. ეჭვმიტანილები, ისევე როგორც ნივთმტკიცებები, ამ საქმეში არ არსებობენ.

*შორენა ლებანიძე*

# ედუარდ შევარდნაძის სახელობის უნებური მოგონებები

თითქმის 7 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა. მაგრამ ახლალა გაიხსენა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს თავკაცობის დროს, სურდა, იაპონიისათვის გადაეცა კურილიის კუნძულები. შევარდნაძის ეს აღიარება რატომღაც არა თავად შევარდნაძემ, არამედ ამომავალი მზის ქვეყნის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ნაკაიამამ გაახმიანა, რომელსაც შევარდნაძე 1989-1991 წლებში ხვდებოდა. გავლენიანი სააგენტო „კიოდო ცუსინისათვის" მიცემულ ინტერვიუში ნაკაიამამ, თითქოსდა შევარდნაძის სახელით განაცხადა, რომ მას (შევარდნაძეს) არ შეეძლო ერთპიროვნულად ამ საკითხის გადაწყვეტა. ნაკაიამასავე თქმით, მიხაილ გორბაჩოვი და საბჭოთა ხელისუფლების მაშინდელი სხვა წარმომადგენლები კი ვერ დაითანხმა. ამიტომაც, ეს მწვავე პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

ასეთი ნაღვლიანი აღიარების ავტორის დადგენაც კი სულ მარტივი საქმე არ არის. თუმცა, განა საქმე ეს არის? აქ სხვა რამაა უფრო საინტერესო. წარსულის „გაცოცხლება", რატომღაც, ბ. ელცინისა და რ. ჰასიმოტოს კრასნოიარსკში შეხვედრის წინ დასჭირდათ. მართალია, სამიტს ოფიციალური ხასიათი არ ექნება, ე. ი. არანაირ ქაღალდს ხელს არ მოაწერენ, მაგრამ დიდჩინოსანი შუაკაცები თავიანთი მოგონებებით ორ ხელმძღვანელს გადაკვრით მიანიშნებენ, სასაუბროდ რომელი თემა აირჩიონ. მაგრამ, კარნახის გარეშეც, ტერიტორიული პრობლემა, ასე თუ ისე, წამოიჭრება კრასნოიარსკში.

*კომერსანტ დეილი №178*

# მაშინ, რას ვერჩით?..



ზურაბ წერეთელზე არათუ წერის, ლაპარაკის უნარიც აღარ შეგწევს ადამიანს. არადა, ვერსად გაექცევი უზომო სიმახინჯეს, ქვეცნობიერებაში რომ გიძვრება და ძილშიც არ გასვენებს. ერთი სიტყვით, მან მაინც მიაღწია თავისას, გინდა კაცს მისი დავიწყება, მაგრამ არ არის საშველი. ეტყობა, ამას ჰქვია ნიუსმეიქერობა.

ისევ წამოიწყეს ლაპარაკი იმ ტვირთზე, დაუოკებელმა ხუროთმოძღვარმა რომ უნდა ჩამოიხსნას. ალბათ, ჩათვალა, რომ მოსკოვი „მოაწყო" და ახლა სრულიად რუსეთს, უფრო სწორად, რუსულ დისნეილენდს მიჰყო ხელი. რას იზამ, ჩანს, ასეთია ბედი ჩვენი...

როდესაც გაეცნობი ამაყად ჩამოთვლილ დოლარებს და ჰექტრებს, ესთეტიურ პრეტენზიებზე ხმასაც ველარ ამოიღებ. მშენებლობა 2,5 მილიარდი დოლარი ჯდება და 375 ჰექტარზე გაიშლება. როდესაც ვკითხეთ, ვინ იქცევა სამამულო დისნეილენდის სიმბოლოდ, — მეტრმა ეშმაკურად ჩაიღიმა და — ალბათ, რუსული ზღაპრის გმირიო. ეტყობა, ივანუშკა დურაჩოკს გულისხმობს.

ღვარძლიანი ოპონენტების მისაყუჩებლად, მოქანდაკის კოლეგები, თავისი პატრონის ქმნილების საბოლოო დაკანონებისათვის მოიხმობენ შეუმცდარ ავტორიტეტს, უდავო ჭეშმარიტების მქადაგებლის, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ანდრეი გრომიკოს აზრს — რომელიც, თითქოსდა, ზურაბ წერეთელს „მსოფლიოს მთავარ მხატვარს" უწოდებდა. თუ გრომიკო ასე ეძახდა, რაღა გვეთქმის...

*იტოგი №42*

# გრძელდება ქართულ-აფხაზური კონტაქტები

ახლო მომავალში საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენლები რუს კოლეგებთან ერთად აფხაზეთს გაემგზავრებიან, რათა შეისწავლონ აუღიარებელი რესპუბლიკის რკინიგზის მდგომარეობა და განსაზღვრონ, რა არის საჭირო მის აღსადგენად. აფხაზეთის რკინიგზის სიგრძე (საქართველო-აფხაზეთის საზღვრიდან რუსეთ-აფხაზეთის საზღვრამდე), დაახლოებით 200 კმ-ია. თბილისსა და სოხუმს შორის დაწყებულმა პირდაპირმა დიალოგებმა ხელი გაუხსნა ეკონომიკურ კონტაქტებს, რამაც შეიძლება შეასუსტოს პოლიტიკური დაპირისპირება. აფხაზეთის რკინიგზის აღდგენაში დაინტერესებულია რუსეთიც და სომხეთიც. ქართველი ექსპერტების აზრით, ამ გზით წელიწადში 1 მლნ ტ ტვირთი გაივლის. საქართველოს ვარაუდით, გზების აღდგენა ხელს შეუწყობს აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნებას.

*სეგოდნია №223*

# ჭინ. აფხაზეთისკენ!..

რევოლუცია ყველგან ფოსტისა და ტელეგრაფის აღებით იწყება, აფხაზეთიდან ლტოლვილები კრწანისში, სახელმწიფო რეზიდენციის აღებას აპირებენ. დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს პოლიტიკური ორგანიზაციისა და ცხინვალის რეგიონული საბჭოს წევრები საქართველოს მეთაურს, ედ. შევარდნაძეს შეხვდნენ და მოახსენეს, რომ აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელების შემთხვევაში, ისინი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრებენ. ლტოლვილთა ლიდერები კარგა ხანია, იმუქრებიან დაუმორჩილებლობით.

თუ რუსები ჯარების გაყვანას არ დაიწყებენ, აქაც მოვუწყობთ ტერაქტებს და თვით მოსკოვშიც, — განაცხადა ფრაქცია „აფხაზეთის" წარმომადგენელმა, აფხაზეთის განთავისუფლების კავშირის ლიდერმა ბორის კაკუბავამ. ფაქტობრივად, კაკუბავა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებს ხალხს. თუ დსთ ქვეყნების ლიდერები სამშვიდობო ძალთა მანდატს გააგრძელებენ, მაშინ საკოორდინაციო საბჭო 10 ნოემბრისთვის გეგმავს, 200 ათასი ლტოლვილით იერიშით აიღოს აფხაზეთი.

როგორც ჩანს, საქართველოში „ცხელი შემოდგომაა" მოსალოდნელი.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №202*

# საერთაშორისო მასშტაბის კონტრაბანდა

**ამ თემაზე ჩვენ უკვე ვწერდით, მაგრამ ახლა გთავაზობთ აზერბაიჯანულ პრესაში გამოქვეყნებული მასალის შემოკლებულ ვარიანტს.**

*დადგინდა სომხეთისთვის იარაღის უკანონო მიწოდების ფაქტები, ამ იარაღის დასახელება და ღირებულება.*

*დაირღვა საერთაშორისო სამართლისა და რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია.*

*გენერლები საკუთარი ჯიბისთვის ილვწოდნენ.*

*„ტუნგუსკა" ხანკენდშია განლაგებული.*

*ამიერკავკასიაში სამხედრო პარიტეტი უნდა აღდგეს.*

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰ. ალიევის რუსეთში ვიზიტის დროს, სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, განიხილეს სომხეთისათვის რუსული იარაღის უკანონო მიწოდების საკითხი. სწორედ მაშინ შეიქმნა რუსეთ-აზერბაიჯან-სომხეთის სახელმწიფოთაშორისო კომისია, რომელიც შეისწავლიდა იარაღის უკანონო მიწოდების ფაქტს. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები უარყოფდნენ გოსდუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ლ. როხლინის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სომხეთს რუსეთმა გადასცა 80 ტანკი, 50 БМП-2 და ა.შ. სადღეისოდ დადგენილია არა მარტო მიწოდების ფაქტი, არამედ იარაღის რაოდენობა, მისი დასახელება და ღირებულება.

სომხეთისთვის მილიარდზე მეტი დოლარის ღირებულების იარაღის უკანონოდ მიწოდებამ სრულიად დაარღვია ამიერკავკასიაში სამხედრო პარიტეტი სომხეთის სასარგებლოდ. აგრესორი ქვეყნისათვის იარაღის ასეთი უანგარო (დამტკიცდა, რომ ფედერალურ ხაზინაში არაფერი გადაურიცხავთ) მიწოდება არამარტო წინასწარგანზრახული პოლიტიკური აქციაა აგრესორი ქვეყნის თანამედროვე იარაღით აღსაჭურვად, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაც. სომხეთს გადაეცა შემტევი იარაღი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე თავდასასხმელად. ომს კი მოჰყვება ნგრევა, ადამიანების დაღუპვა, ლტოლვილები. მიზანი ცხადია: სომხეთი იმპერიული გეგმების შემსრულებელი ხდება. იარაღის საერთაშორისო კონტრაბანდისტებმა დაარღვიეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია — იარაღი რფ თავდაცვის ყოფილი გენერლის პ. გრაჩოვის, გენერალ მ. კოლესნიკოვის, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდლის ფ. რეუტის მითითებითა და დავალებით გადასცეს. რუსეთს ამაში ერთი კაპიკიც არ მიუღია, ფინანსურმა დანაკარგმა მლრდ დოლარი შეადგინა. ეს კი, როგორც ამას რუსეთის პრესა აღნიშნავს, რუსეთის შეიარაღებლად გამოყოფილი თანხის 50%-ია.

ვასახელებთ სომხეთისათვის (1993-96 წლებში) გადაცემული იარაღის ზოგიერთ სახეობას: ПУ ОТР — 8 ერთეული, რაკეტები Р-17 — 32 ერთეული, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Круг-27 ერთეული, ЗРК-ს რაკეტები 389 ერთეული, ტანკები Т-72 — 84 ერთეული, БМП-2 — 50 ერთეული, დანადგარი „Град" — 18 ერთეული. დიდი რაოდენობით ნაღმტყორცნები, რაკეტები, ტყვიამფრქვევები, პისტოლეტები, ხელყუმბარები, პატრონები, აგრეთვე კოსმოსური კავშირის სადგურები, კავშირგაბმულობის კომპლექტები, მიზნის აღმომჩენი სადგურები, ტანკის ძრავები და ა.შ.

შეიარაღება ეშელონებით მიდიოდა არა-მარტო სომხეთსა და საქართველოს ГРВЗ-ს სამხედრო ბაზებიდან, არამედ რუსეთის ქალაქებიდან — აქტიუბინსკიდან, მოზდოკიდან, ივანოვოდან, ომსკიდან, ულიანოვსკიდან. სატვირთო თვითმფრინავებით (Ил-76) 139 რეისი განხორციელდა, სატრანსპორტო ხარჯმა 7 მლრდ 950 მლნ რუბლი შეადგინა.

სომხეთისათვის მიწოდებული იარაღის დიდი ნაწილი მთიან ყარაბაღში სომხეთისთვის შესაიარაღებლადაა გამიზნული. 1994 წელს სომხეთს გადაეცა, აგრეთვე საქვემეხო-სარაკეტო კომპლექსი „ტუნგუსკა", რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენაერთებსაც კი არა აქვთ.

ამიერკავკასიაში სამხედრო პარიტეტი სომხეთის სასარგებლოდ დაირღვა — ეს უკვე მსოფლიოსთვისაა ცნობილი, ისევე, როგორც ის, რომ მათ იარაღი უკანონოდ მიეწოდებოდათ.

დღეს, რუსი გენერლების წყალობით, სომხეთს აქვს რაკეტები, რომელთა მოქმედების რადიუსი 300 კმ-ია (РК-17). ამ იარაღის მოქმედების რადიუსი მოიცავს არა მარტო აზერბაიჯანს, არამედ საქართველოს, თურქეთს.

სამხედრო პარიტეტის აღსადგენად ან უკანონო შეიარაღება უნდა დაუბრუნდეს პატრონს, ან აზერბაიჯანი და საქართველო უზრუნველყონ შეიარაღების ანალოგიური კომპლექტით.

*ბაკინსკი რაბოჩი*

სამხრეთ ოსეთიდან დევნილებმა, რომლებიც ვლადიკავკაზში იყვნენ გახიზნულნი და შინ დაბრუნებას აპირებდნენ, განზრახვაზე ხელი აიღეს, ამის მიზეზია რუსეთის ენერგეტიკოსთა მიერ ცხინვალის რეგიონში დავალიანების გამო ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა.

აფხაზეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნეს აფხაზეთში ომის დროს დაღუპულთა სია. ამ წყაროების მიხედვით, 1992-93 წლებში აფხაზთა მხრიდან 5 ათასი ადამიანი დაღუპულა, მათგან 1500 — ჩრდილო კავკასიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნის წარმომადგენელია, რომლებიც აფხაზეთის მხარეზე იბრძოდნენ.

რუსეთმა აზერბაიჯანს გაუგზავნა 20 დამნაშავე, რომლებსაც დიდი ხანია, ეძებდნენ. რუსეთის გენერალური პროკურატურის კანცელარიის ცნობით, ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტრო ეძებს აზერბაიჯანის 200 მოქალაქეს; დაკავების შემდეგ მათ მაშინვე ბაქოში გადააგზავნიან.

*ნეზავისიმაია გაზეტა №201*

# მას ცხარე კერძები უყვარდა



სტალინის პირადი ცხოვრების, მისი გემოვნების შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ თითქმის არავინ იცის, რომელი კერძები უყვარდა, რომელ ღვინოს თუ მინერალურ წყალს ანიჭებდა უპირატესობას...

1907 წლამდე, სანამ საქართველოში ცხოვრობდა, სტალინი, ცხადია, ეროვნული კერძებით იკვებებოდა, ბაქოში გადასვლის შემდეგ აზერბაიჯანულს შეეჩვია.

ღარიბი ქართველების რაციონში შედიოდა: ლობიო, ფხალი, შემწვარი და ნიგვზიანი ბადრიჯანი, მაწონში ჩაშუშული მწვანე ლობიო. ხორციანი კერძებიდან კი ბატკანი, ინდაური ან მწვადი. ამ უკანასკნელს ღარიბი კაცი ვერ მისწვდებოდა, იგი მხოლოდ სადღესასწაულო სუფრისთვის იყო განკუთვნილი.

სტალინი ძალზე მალე შეეგუა რუსულ წრეს და რუსულ კერძებს. მჟავე „შჩის", „უხას", „პელმენს", მოხარშულ ხორცს და თევზს, კენკროვანებს; ღვინო რუსულ სუფრას არ უხდებოდა და დიდი ხნითაც მიივიწყა.

სტალინთან დაახლოებული ვერც ერთი პირი ვერ იხსენებს, რომ სტალინს ქართული კერძები მონატრებოდეს. სტალინმა ძალზე ადრე მოიპოვა, თანაც შეგნებულად, რუსი პოლიტიკური მოღვაწის იმიჯი და ფრიად უფრთხილდებოდა მას.

დასავლეთევროპული კერძების მიმართაც ფრთხილი იყო, უცხოურ სამზარეულოს კარგად იცნობდა და თავს ისე გრძნობდა, თითქოს მთელი ცხოვრება ასე იკვებებოდა. არ იყო პროვინციელი და ნაციონალური ჩვევებით შეზღუდული.

კავკასიელი მამაკაცებისგან განსხვავებით, სტალინს არ უყვარდა, არც იცოდა და არც სურდა საჭმლის მომზადება, — მამაკაცის შესაფერის საქმიანობად არ თვლიდა.

20-იან წლებში კრემლის სასადილოში იკვებებოდა. ცოლის სიკვდილის შემდეგ, სადილს დაქირავებული მზარეული უმზადებდა. მენიუ მეტად უბრალო იყო. ხორციანი წვნიანი მჟავე კომბოსტოთი, კარაქიანი ნინიბურას ფაფა და ძახველის კისელი ან ჩირის კომპოტი.

ნასადილევს, 5 საათზე — ლიმონიანი ჩაი, ნამცხვარი ან ფუნთუშა. ეს საბჭოთა დასასვენებელი სახლების მენიუ იყო.

ომის დროს უფრო ხშირად პოლიტბიუროს წევრებთან ერთად აგარაკზე სადილობდა. ჩანს, სადილობისას სიმარტოვეს ვერ იტანდა, — ეს ქართველების დამახასიათებელი თვისებაა.

სადილი ერქვა, თორემ ღამის 10-11 საათზე რანაირი სადილი უნდა ყოფილიყო?! სუფრა ყოველთვის 15-20 კაცისთვის იშლებოდა.

ფარეშები წვნიანს ფართო, დიდი ფაიფურის ჭურჭლით მიართმევდნენ, ხოლო თევზის ან ხორცის კერძები დიდი ლანგრებით მოჰქონდათ. ვისაც რა სურდა, იმას იღებდა. 30-იან წლებამდე მხოლოდ ბორჯომსა და ნარზანს სვამდნენ, მერე ალკოჰოლური სასმელებიც გამოჩნდა — ძალიან უყვარდა ქინძმარაული, ხვანჭკარა, ნაფარეული, წინანდალი, საფერავი.

სტალინი თვითონ ხსნიდა თავის ბოთლს და მარტო სვამდა, ოღონდ ცოტ-ცოტას, სამაგიეროდ, სხვებს აძალებდა.

1944 წლიდან უფრო აღმოსავლურ კერძებს ეტანებოდა. ქართული სამზარეულოს დაბრუნებას თან მოჰყვა ქართული სუფრის ტრადიციები. მისი უცვლელი თამადა 1942 წლიდან სსრკ სახალხო არტისტი მიხეილ ჭიაურელი იყო.

მენიუც ქართული გახლდათ — ხარჩო, საცივი, ლობიო, ჩანახი, ჩიხირთმა, ჩახოხბილი, მწვადი, ტაბაკა, საწებელი, სულგუნი, ფხალი.

1945 წლიდან სტალინის სამზარეულოში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ევროპულმა დიპლომატიური სამზარეულოს კერძებმა, რასაც რუსული შავი და წითელი ხიზილალაც დაემატა.

სტალინი ძალზე ცოტას ჭამდა. მისთვის საკვების მიღების ნორმალური დრო იყო 17.00 ან 20.00, ასევე 22.00-23.00. ასეთმა არაჯანსაღმა კვების რეჟიმმა მის ჯანმრთელობაზეც იმოქმედა. ეს რამდენიმე ფაქტორმაც გამოიწვია; ჯერ ერთი — სტალინის მენიუდან გაქრა წვნიანი კერძები. მეორეც — ღამის საათებში საკვების მიღებამ დატვირთა არა მარტო საჭმლის მომნელებელი, არამედ გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემა. შუადღეზე გაღვიძებულს ჭამა არ სურდა, მხოლოდ 17 საათზე შივდებოდა. ამ დროს ჩაი და ბუტერბროდები მოჰქონდათ, ხოლო „ნამდვილი სადილი" ავტომატურად 20 საათზე ან 22-23 საათზე გადადიოდა. 1953 წლამდე პოლიტბიუროს 3-4 წევრი ესწრებოდა მის სუფრებს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უნდობლობა და ეჭვიანობა, მოწამვლის შიში იმდენად მოერია, რომ ზოგჯერ ელექტროქურაზე თვითონ იმზადებდა სადილს, რაც სტალინის მძიმე ფსიქოლოგიურ კრიზისზე მეტყველებს.

ასე რომ, 5 მარტის ინსულტი სავსებით ბუნებრივი იყო...

*ოგონიოკი №42*

## ვ. რჩეულიშვილი: „თუ ბიჭი ხარ, აბა, დაუჯექი ნუგზარ შევარდნაძეს და... შეაწერე ფული!“

„საქართველოში მეწარმეს ახრჩობენ, ზღუდავენ, გასაქანს არ აძლევენ და ა.შ.“ მსგავსი გამოთქმები ხშირად გვესმის მასმედიიდან, საქმიანი წრეებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. თუმცა, არიან ერთეული ბიზნესმენები, რომლებისთვისაც მართლაც რომ „გაუხროლია „აჟრორას“ და სწორედ მათი კეთილდღეობისთვის დამაშვრალა დღემდე მთელი ერი... ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, დღეს ეს ადამიანები საზოგადოებაში მეტწილად ცნობილნი არიან, როგორც ე.წ. შევარდნაძის კლანის წარმომადგენლები და თუ ცოტა ხნის წინ ერიდებოდნენ საჯაროდ მათი სახელების ხშირად მოხსენიებას, დღეს ამის თქმის ტენდენცია ძლიერდება და ალბათ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, არნახულ მასშტაბებსაც მიაღწევს. თუმცა, ეს ვერაფერი შეღავათია სხვა ბიზნესმენებისა და მეწარმეთათვის. თუ რატომ, ამ, და სხვა აქტუალურ საკითხებზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს სოციალისტური პარტიისა და საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარი — საქართველოს რეგიონების“ თავმჯდომარეს ვახტანგ რჩეულიშვილს.



— რამდენიმე ძლიერი ფირმაა, რომლებიც ნავთობისა და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზაციაზე მუშაობენ და, რასაკვირველია, უნდა ვთქვათ, ნუგზარ შევარდნაძე ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენია. ამაში კი, გარკვეულწილად, ხელს უწყობს თავისი გვარი. მაგრამ ვიტყვი, რომ თუ ვინმე კარგად იცნობს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, მათ შორის, ერთ-ერთი მეც ვარ, შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო: გამორიცხულია, მან ვინმეს დაავალოს: აბა, მიმიხედეთ ჩემს ნათესავებსო... მაგრამ არის მეორე, ნუგზარ შევარდნაძისთვის ყველაზე დიდი ხელშემწყობი გარემოება, რომლის წყალობითაც ნუგზარს შეუძლია სხვებზე უფრო მეტი წარმატებით იშოვოს ფული. ეს იმიტომ, რომ მას, ელემენტარულად, გაძარცვასა და გაყვლეფას ვერ უბედავენ მაკონტროლებელი და საგადასახადო ორგანოები. მიდი თუ ბიჭი ხარ, აბა, დაუჯექ ნუგზარ შევარდნაძეს და შეაწერე ფული, ვინც გინდა, ის იყავი, გინდა საგადასახადო, გინდ სამართალდამცავი და გინდაც მაკონტროლებელი ორგანო. რაც კანონით არის გათვალისწინებული, იმას, რა თქმა უნდა, იხდის, მაგრამ კაციშვილი ვერ უბედავს ზედმეტი თანხის მოთხოვნას. ეს არის რეალობა, ხოლო სხვა ბიზნესმენების შემთხვევაში, კარგად მოგეხსენებათ, როგორი მდგომარეობა გვაქვს მთელი საქართველოს მასშტაბით: ბიზნესი რომ აწარმოო, ყველას უნდა უხადო ნაღდი ფული, ხელიდან ხელში. ნუგზარი კი, ამისგან თავისუფალია და ეს გარემოება დღეს უკვე დიდი პრივილეგიაა. მოკლედ, რაც ყველა მეწარმესა და ბიზნესმენს უნდა ჰქონდეს, ის აქვთ მხოლოდ მაგათ...

**— ამ აღებ-მიცემობას როდის შეიძლება დაესვას წერტილი?**

— საერთოდ, ამ სფეროში არსებული კანონმდებლობა ამკრძალავია, რაც აძლევს კიდეც შესაძლებლობას საგადასახადო და მაკონტროლებელ სტრუქტურებს, დაახრჩონ ნებისმიერი მეწარმე. არადა, ყველა უნდა ჩააყენო თანაბარ მდგომარეობაში და ყველას უნდა მისცე შესაძლებლობა, აკეთოს საქმე. თუ ეს მოხდა, ბიუჯეტში ბევრად მეტი თანხა შევა, ვიდრე დღეს შედის.

**— როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ეს არ მოხდება, მაგრამ, ვთქვათ, სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რას გააკეთებდით ამ მხრივ და, საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რა შანსი გაქვთ, რომ მომავალ არჩევნებში გაიმარჯვოთ?**

—ამ კითხვაზე პასუხისას წინააღმდეგობაში ვვარდები ხოლმე საკუთარ თავთან. ერთის მხრივ, სოციალისტური პარტიისათვის არჩევნებში გასამარჯვებლად უმჯობესია, რასაც ესენი, ანუ „მოქალაქეები“, თავიანთი უცოდინრობითა და არასწორი პოლიტიკით მეტ საქმეს გააფუჭებენ: მაშინ სოციალისტები გაცილებით იოლად მოვალთ ხელისუფლებაში. მით უმეტეს, რომ ხალხმა უკვე კარგად დაინახა გასული ორი წლის მანძილზე: მმართველი გუნდი არ არის რეალურად საქმის გამომსწორებელი და თუ კიდევ ბევრ საქმეს ჩააფლავებენ, ჩვენთვის ადვილი იქნება არჩევნების მოგება! მაგრამ მეორე მხრივ, თუ დარჩენილ ორ წელიწადში საქმის გაფუჭების ტენდენცია გაგრძელდა, საქართველოსთვის ეს იქნება უზარმაზარი დარტყმა. ამიტომ მე სხვა სტრატეგია მაქვს არჩეული, რის გამოც შეიძლება გამიჭირდეს ხელისუფლებაში მოსვლა. მირჩევნია, და ამას გულწრფელად ვაცხადებ, რომ შევარდნაძემ შეასრულოს თავისი საპრეზიდენტო პროგრამა, „მოქალაქეთა კავშირმა“ შეასრულოს პირობა — შექმნას მილიონი სამუშაო ადგილი და აამაღლოს მოსახლეობის ცხოვრების დონე, აი, ეს მირჩევნია, ვიდრე ის, რომ მე ხელისუფლებაში მოვიდე... მაგრამ დიდი შიში მაქვს იმისა, რომ ამ კურსით, მეწარმეობისათვის დამღუპველი კანონმდებლობით, კერძოდ, საგადასახადო და საბაჟო კოდექსით, მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით, ვერ შეიქმნება ნორმალური ცხოვრებისა და ბიზნესის წარმოების პირობები. მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია გავჩუმდე და დაუცადო, როდის გააფუჭებენ საბოლოოდ საქმეს, მაინც ვთავაზობ რეკომენდაციებსა და კანონ-პროექტებს და ვცდილობ, დღესვე შევაცვლევინო ეს დამღუპველი პოლიტიკა. მაგალითად, მოვახერხეთ საკითხის დასმა და გატანაც ინვესტიციების რეგულირების საბჭოს შექმნის შესახებ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაგვეგო, თუ სად მიდის შემოსული ინვესტიციები. უკვე არსებობს რეგულირების ერთი ორგანო, რომელიც გააკონტროლებს იმას, რომ ინვესტიციები მავანთა ჯიბეში კი არ მოხვდეს, არამედ მოხმარდეს პრიორიტეტული პროექტების განვითარებას. „მოქალაქეებსაც“ სულ იმას ვუჩიჩინებ, რომ გაიზიარონ ის წინადადებები, რაც სოციალისტებს კარგი გვაქვს, თანამდებობაზე დანიშვნას ხომ არ ვთხოვ? ისინი კი, აცხადებენ: არა, „იდეოლოგიურად“ არ ვეთანხმებით რჩეულიშვილსო. ხოლო, თუ როგორ ვიწროპარტიული ინტერესებით არიან გამსჭვალულნი „მოქალაქეები“, ერთ ფაქტს მოგახსენებთ: რჩეულიშვილის საკითხი როცა წყდებოდა აფხაზეთის კომისიის თავმჯდომარეობის შესახებ, ჩემი თანდასწრებით გამობრძანდა „მოქალაქეთა“ ერთი „გენიოსი“ ქალბატონი დეპუტატი და აი, რა ბრძანა: „რჩეულიშვილი ნიჭიერი კაცია, წარმატებებს მიაღწევს აფხაზეთის საკითხებზე მუშაობისას, შესაბამისად, სოციალისტურ პარტიას მიეწერება ეს მიღწევები და ჩვენ რაღა ვქნათ მომავალ არჩევნებშიო? (!!!) წარმოგიდგენია, რა თქვა?

**— რა უპასუხეთ?**

— ვუთხარი, როგორ გეკადრებათ, ჟვანიას სურათს ჩამოვკიდებ ოთახში, ოღონდ თქვენ აფხაზეთში რაიმე გააკეთეთ-მეთქი! აი, ეს ვიწროპარტიული ინტერესები „მოქალაქეებს“ აუცილებლად დაღუპავს, მაგალითად, ჩემს მიერ შექმნილ ეკონომიკურ ფორუმში კი, სპეციალისტები, ეკონომისტები, იურისტები, მეცნიერები მოვიწვიე, არა პარტიული პრინციპით (ფორუმში უპარტიოებიც არიან და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებიც, ზოგს კი საერთოდ არ უნდა პარტიის გაგონებაც კი), არამედ ერთადერთი მიზნით: ერთობლივად შევიმუშავოთ საქართველოს ალტერნატიული განვითარების კონცეფცია, რომელიც შეცვლის საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით აღებულ კურსს. მთავარია, შენი თანამოაზრე ეძებო არა მარტო პარტიაში, არამედ იმ უზარმაზარ გამოცდილებაში, რაც მთელ ერს აქვს დაგროვილი. ჯგუფური ინტერესები კი, მხოლოდ დაღუპავს საქართველოს!

**— გმადლობთ.**

*ზურაბ მჭედლიშვილი*

## ქართული პრესის დაიჯესტი

### არძინბას მაინც ეტყობოდა დაძაბულობა

აფხაზური წყაროს ცნობით, სოხუმში შეხვედრისას ვიცე-პრემიერ ახმედ ზაკაევსა და ვლადისლავ არძინბას შორის იმაზე მეტი ითქვა, რაც ოფიციალურად გამოცხადდა. კერძოდ, დახურული კარის მიღმა სტუმარმა ზაკაევმა მასპინძელ არძინბას მაგიდაზე ხელი ურტყა და გადადგომა მოსთხოვა, რაზეც საკმაოდ მოტეხილი არძინბა გამომტყდარა — მეშინია, მომკლავენო. მაშინ არ გეშინოდა, ომს რომ იწყებდიო? — უპასუხია ზაკაევს. არძინბას თავის სიკვდილის გარდა, ცოლ-შვილის ანიოკებისაც შინებია, რაზეც ზაკაევმა ცოლ-შვილის ჩეჩნეთში გახიზვნა შესთავაზა, ჩვენ შევიფარებთ და დავიცავთო. საბოლოოდ კი შეხვედრა მუქარით დაუმთავრებია ზაკაევს — „მიქარული“ გაქვს და გამოასწორე, თორემ აფხაზეთში ჩეჩნების სისხლია დაღვრილი და ამას არ შეგარჩენთ“. ზაკაევი, თურმე, აღაშფოთა რუსების მიერ არძინბას არაკავკასიურმა მოტეხილობამ და მისივე თანდასწრებით ჩეჩნურად განუცხადებია: „რა აქვს ახლა ამას კავკასიელის, სახელი თუ მამის სახელიო?“

რაც შეეხება ოფიციალურ შეხვედრას, აქ სტუმარ-მასპინძელი გაწონასწორებული, მშვიდი იერით გამოიყურებოდნენ, თუმცა, არძინბას მაინც ეტყობოდა, თურმე, ცუდად დაფარული დაძაბულობა.

*პირისპირ №16*

### სენსაციური ვარაუდები

### უზენაეს სასამართლოში ჯაბა იოსელიანის საქმის ნაწილი დაიკარგა

მთელი საქართველო (თუ მთელი არა, უმეტესობა მაინც) ელოდება არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ქვეყნის ერთ-ერთი მეთაურის, ამავდროულად, „მხედრიონის“ თავის — ჯაბა იოსელიანის სასამართლო პროცესის დაწყებას... და ამ დროს ირკვევა, რომ იოსელიანის სისხლის სამართლის საქმის მრავალტომეულის ერთ-ერთი ტომი უზენაესი სასამართლოს შენობიდან დაიკარგა.

ჯაბა იოსელიანის საქმის ერთ-ერთი ტომის გაქრობას არაპირდაპირ ისიც ადასტურებს, რომ იოსელიანის საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა (იურისტებმა) საინფორმაციო საშუალებებს ვერ დაუსახელეს ის მიზეზი, რის გამოც ვერ ან არ იწყებენ იოსელიანის სასამართლო პროცესს.

სხვათა შორის, არცთუ ისე შორეულ წარსულში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმის მასალების დაკარგვის გამო, თავაზიანად დაითხოვეს თანამდებობიდან საქართველოს მაშინდელი პროკურორი ბორის ფურცხვანიძე.

თუ ყველაფერი მართალი გამოდგა, წესით, ჯაბა იოსელიანის საქმეზე პასუხისმგებელ პირებს უზენაეს სასამართლოში — დაწყებული თავმჯდომარით, დამთავრებული ყველაზე დაბალჩინოსნით — თავისი წილი ცოდვა-ბრალი უნდა მოეკითხოს.

გამორიცხული არც ის არის, უზენაეს სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით „პოლიტიკური ორთაბრძოლა“ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ — „თამაში“ მიმდინარეობდეს. ამას ის ცნობებიც ადასტურებს, რომელიც მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის კულუარებიდან მოდის. როგორც შინაური „ხმები“ იუწყებიან, უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელებსა და ზოგიერთ მოსამართლეს შორის, პოლიტიკოსთა მსგავსად — წინასაარჩევნო ციებ-ცხელება შეინიშნება. ამას მიანიშნებს ამასწინანდელი გახმაურებული ინციდენტიც — მთაწმინდის რაიონის მოსამართლე ლომსაძესთან დაკავშირებით. უზენაეს სასამართლოში, კულისებს მიღმა ბევრნი საუბრობდნენ იმაზე, გასცემდა თუ არა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სანქციას საკუთარი ამქრის ერთ-ერთი წევრის დაპატიმრებასა თუ დაკავებაზე. ამ დროს მინდია უგრეხელიძე გერმანიაში იმყოფებოდა. მის მოვალეობას კი მისი პირველი მოადგილე ჯიმი ყიფიანი ასრულებდა.

როგორც ამბობენ, პირადად იგი დაუკავშირდა სასამართლოს თავმჯდომარეს (უცხოეთში), მიიღო მოსამართლის დაკავების ნებართვა-თანხმობა, იმედოვნებდა რა, რომ ამ გადაწყვეტილებას მისი ფაქტობრივი გამცემი (მინდია უგრეხელიძე) დაადასტურებდა დაპატიმრების სანქციის გაცემითაც. ჯიმი ყიფიანს იმედი გაუმტყუნდა. სერგო ლომიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ეს იმას მიანიშნებს, რომ მინდია უგრეხელიძემ დაპატიმრებაზე უარის თქმით საგამოძიებო ორგანოებს და იმავდროულად, თავის პირველ მოადგილეს მოსამართლეთა მთელი კორპუსი დაუპირისპირა.

ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ თვით უზენაეს სასამართლოშიც კი, მოსალოდნელი სასამართლო რეფორმის კვალობაზე ბევრი რამ ისე არ არის, როგორც ერს, ბერს და თუნდაც, საქართველოს პრეზიდენტს ჰგონია. იოსელიანის საქმის უმნიშვნელო ნაწილის დაკარგვაც კი, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ისევ ბრალდებულის ინტერესებში შედის, მაგრამ როგორც საქმის ვითარებით ირკვევა, ეს ინტერესები არც უზენაესი სასამართლოსთვის უნდა იყოს უცხო.

*დილის გაზეთი №231*

### მოპარული(?) ქანდაკებები მძახლის დუქანში

*გავრცელდა სკანდალური ინფორმაცია, რომ რუსთაველის თეატრის დირექტორი სასტუმრო „თბილისის“ კუთვნილი სტატუეტების მითვისებაში ამხილეს. გთავაზობთ ნაწყვეტს ინტერვიუდან რუსთაველის თეატრის დირექტორთან ბატონ გია თევზაძესთან.*



**— ბ-ნო გია, როგორ აღმოჩნდა სასტუმრო „თბილისის“ კუთვნილი ქანდაკებები თქვენთან?**

— დეკემბრის მიწურული იყო. ფაქტიურად, დამწვარი იყო სასტუმრო „თბილისის“ შენობა. ერთ „მშვენიერ“ დღეს, საღამო ხანს, ვნახე, რომ სასტუმროს წინ ორი ფიგურა ეგდო. მე თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ და სასტუმრო „თბილისში“ მილიონჯერ ვყოფილვარ. ფაიფურის ვაზები რომ ყოფილიყო დაყრილი, იმას არ ავიღებდი არავითარ შემთხვევაში. ეს ფიგურები ჩემთვის რაღაცას ნიშნავდა, ჩავთვალე ხელოვნების ნიმუშად. წარმოიდგინეთ, მაშინ დაჭრილი და დახოცილი ხალხი ეყარა იქ. ამ დროს ეს ფიგურები იმიტომ ავიღე და შემოვიტანე, ტანკები და ბეტეერები დადიოდნენ. მე არც ჩემი თავი მახსოვდა, არც ჩემი ოჯახის წევრები. ამან განაპირობა ის ნაბიჯი, რაც მე გადავდგი. მაშინ მარტო ფიგურების კი არა, ნახევარი სასტუმროს შემოტანას შევძლებდი, რომ მდომებოდა, იმიტომ, რომ მომკითხავი არავინ იყო.

**— ვინ შეაფასა 50 ათას ლარად და როგორ აღმოჩნდა „ბაჩის დუქანში?“**

— ეს „ბაჩის დუქანი“ ანტიკვარული მაღაზიაა და მისი მფლობელი ჩემი მძახალია, ჩემი შვილის დედამთილი. მე გავიტანე იქ შესანახად.

**— რა ბედი ეწევა ხვალ იმ ქანდაკებებს? დაბრუნდება თუ არა თეატრში?**

— იცით, მე არ ვიცი, დაბრუნდება თუ არა ის ქანდაკებები, რადგან ის ნივთები ამოღებულია და არის პოლიციაში. მოხარული ვიქნები, თავის პირვანდელ ადგილს — სასტუმროს დაუბრუნდეს, მაგრამ არა მგონია, ასე მოხდეს.

*ივერია-ექსპრესი №44*
*იბეჭდება შემოკლებით*

### ნალჯის ჩაიონში საეჭვო ამბები ხდება

1993 წლიდან მოყოლებული წალკის რაიონის სოფლები ნახევრად დაცარიელდა. რაიონის ბერძნულმა მოსახლეობამ ისტორიულ სამშობლოში არჩია ცხოვრება. მათ ნასახლარებზე არავინ დასახლებულა...

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ხშირად საუბრობდნენ ნასოფლარების „გაცოცხლების“ აუცილებლობაზე. ამის შესახებ მხოლოდ რაიონის გამგებელი, გიორგი კვალიაშვილი დუმდა.

ისეთი ძლიერი ოპოზიციური გუნდი, როგორიც გიორგი კვალიაშვილს ჰყავდა, სხვა რაიონებში, შეიძლება, არც ყოფილიყო. ყოველ მათგანს გამგებელთან თავისი ანგარიშები ჰქონდა, მაგრამ ერთ საკითხში ისინი ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ — მათი მტკიცებით, გამგებელი შეგნებულად უშლიდა ხელს დაცარიელებულ სოფლებში სხვა რაიონებიდან გლეხების ჩასახლებას.

გიორგი კვალიაშვილი კი ამტკიცებს, წალკაში გლეხები იმიტომ არ სახლდებიან, რომ იქ ბუნებრივი პირობებია საკმაოდ რთული.

თუმცა, მის ოპოზიციას თუ დავუჯერებთ, უპატრონოდ დარჩენილი მიწების კარგა მოზრდილი ნაწილი უკვე ჩალის ფასადაა გაყიდული, ხოლო ფული, რა თქმა უნდა, ბიუჯეტის გვერდის ავლით, რამდენიმე თანამდებობის პირის ჯიბეშია გაუჩინარებული.

როგორც ამბობენ, კვალიაშვილს თავად მხარის თავკაცი — ლევან მამალაძე პატრონობს და მისი ნებართვის გარეშე გამგებელი არაფერს აკეთებს.

ასეა თუ ისე, წალკის ნასახლარები რეალობაა. გამგებლის პოზიცია — ბევრისთვის გაუგებარი.

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციიდან გამოსული ხმების თანახმად, წალკაში სხვა რაიონებიდან გლეხების ჩამოსახლებას რაიონის გამგებელი ყველანაირად შეეწინააღმდეგება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მას ბევრ მისთვის არასასურველ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

*კავკასიონი №189*
*იბეჭდება შემოკლებით*

### ქართველი კომუნისტები ზეიმისთვის ემზადებიან

მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები, — განაცხადა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერმა პანტელეიმონ გიორგაძემ.

მისი თქმით, ზეიმის ბოლო აკორდი იქნება დედა ენის ძეგლთან 7 ნოემბერს გამართული მიტინგი, რომელშიც 3 ათასამდე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

„თბილისის ყველა რაიონიდან კომუნისტები გაშლილი ტრანსპარანტებით მივლენ მიტინგის ადგილამდე“, — თქვა პანტელეიმონ გიორგაძემ. მან დარწმუნებით აღნიშნა, რომ „ვერავინ გაბედავს მომიტინგე კომუნისტების დარბევას, რადგან არ მოისურვებენ საქვეყნოდ შერცხვენას“.

*საქართველო №106*

## ჩვენ გამოვრიცხავთ სიტყვა „ავტონომიას"

**ინტერფაქსის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა მოსკოვში მყოფ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პრეზიდენტს არკადი გუკასიანს.**

*— თქვენს გამონათქვამზე დაყრდნობით, პრესაში გამოჩნდა მასალები, სადაც ნათქვამია, რომ ყარაბაღი მზად არის უფლებამოსილებათა ნაწილი აზერბაიჯანს გადასცეს. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?*

— ჩვენ იქიდან გამოვდივართ, რომ მთიანი ყარაბაღი დამოუკიდებელია დეფაქტოდ, ამიტომაც არ მოვითხოვთ აზერბაიჯანის მიერ დეიურედ აღიარებას, ამასთან, დღეს ეს შეუძლებელია. ვითხოვთ მხოლოდ ჩვენი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღიარებას. ამიტომაც, მზად ვართ, აზერბაიჯანთან საურთიერთობოდ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, დამოუკიდებლობის გარკვეული ელემენტების დათმობა მოგვიწევს. შესაძლებლად მიგვაჩნია ვთქვათ, ერთად განვახორციელოთ ეკოლოგიური, ფინანსური, ადამიანის უფლებათა დაცვის, ნარკობიზნესთან ბრძოლის პროგრამები. ზოგიერთი თავდაცვითი ამოცანის ერთად განხორციელებაც შეიძლება, თუკი ურთიერთნდობა იქნება. ეს ყველაფერი არ ეხება მთიანი ყარაბაღის ფაქტობრივ დამოუკიდებლობას.

*— თქვენ მიგაჩნიათ, რომ მთიანი ყარაბაღი აუცილებლად უნდა გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი?*

— აუცილებლად, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი რესპუბლიკისა და მისი ხალხის უსაფრთხოების დაცვა, მაგრამ მისაღებია შეზღუდული უფლებამოსილების საერთაშორისო სუბიექტის ვარიანტიც. აუცილებლად უნდა გვქონდეს სუვერენულ ქვეყნებში საელჩოები. შესაძლებლად მიგვაჩნია, აზერბაიჯანთან ვიქონიოთ თანასწორუფლებიანი ურთიერთობა. ერთი სიტყვით, მზად ვართ, ვეძებოთ მასთან ურთიერთობის ფორმები, მაგრამ სრულიად გამოვრიცხავთ იმას, რომ მთიანი ყარაბაღი ექვემდებარებოდეს აზერბაიჯანს. ჩვენ გამოვრიცხავთ ავტონომიას, ჩვენი მიზანია დამოუკიდებლობა.

*ინტერფაქსი*

## გამყინვარების ხანაში დარჩენილნი

მოსკოვი-მინსკის მატარებელი საინტერესო რამაა, მას შეუძლია (თუკი მოსკოვიდან მიემგზავრებით) ერთი წყობილებიდან მეორეში გადაგიყვანოთ და ცივი ომის გარემოში ამოგაყოფინოთ თავი. ბელორუსია ტიპური კომუნისტური ქვეყანაა, რომლის სახეც — დედაქალაქი მინსკი — კომუნიზმის საუკეთესო ტრადიციების გამოხატულებაა, ხალხი ცუდად ჩაცმულია, ნახევრადმშიერი, თვალებში შიში და უიმედობა ჩადგომიათ. ყველა მაღაზია სახელმწიფოს ხელშია, რაც ცარიელ დახლებს, უზარმაზარ რიგებს და დახლს ქვემოდან მოვაჭრე გამყიდველებს ნიშნავს. აქ არაფერი შეცვლილა, სუკი ისევ სუკად დარჩა, მხოლოდ პარტიული ფუნქციონერები არ დასრიალებენ შავი მანქანებით. როგორც ამბობენ, აქ სუკს განუსაზღვრელი უფლებები აქვს, ყველა და ყველაფერი ისმინება. ერთადერთი ადამიანი, ვისაც არ უსმენენ, პრეზიდენტი ლუკაშენკოა. საოცარია, მაგრამ გაუთლელმა, ყოფილმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, შესძლო არათუ პრეზიდენტის სავარძლის დაკავება, არამედ მკაცრად ცენტრალიზებული დიქტატორული რეჟიმის დამყარებაც.



მიუხედავად იმისა, რომ მას ოპოზიციაც ჰყავს, ლუკაშენკომ სუკისა და მილიციის მობილიზებით შესძლო შიშის დათესვა. ამიტომ ოპოზიციის საპროტესტო მიტინგებზე 3500 კაცი თუ იყრის თავს. მაგრამ ეს პოლიტიკურ ოპოზიციას ეხება. ისე კი, ერთი თვის წინ, ათასობით ბელორუსი გამოვიდა ქუჩებში ერთი მოთხოვნით — „უარი სიცივესა და შიმშილობას". ლუკაშენკოს მომხრეები შიშობენ, რომ სოციალურმა გამოსვლებმა შეიძლება მათი ხელისუფლება წალეკოს და ამას ვერც ის სუკი ალუდგება, რომელზეც ბელორუსიაში ამბობენ — „ძეხვზეც კი არ თქვათ რაიმე ცუდი — სუკი ისმენს ყველაფერს, — ქონის მაგივრად სასმენი აპარატურა აქვთ ჩამონტაჟებული".

*ნიუ ზურიხ, 27 ოქტომბერი*

## შამილ ბასაევი დაბრუნდა



სამი თვის შემდეგ, თავის პოსტზე დაბრუნდა ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი შამილ ბასაევი, რომელიც პრეზიდენტ მასხადოვის არყოფნის დროს პრემიერის მოვალეობას შეასრულებს, პრეზიდენტს კი დროებით ვიცე-პრეზიდენტი ვახა არსანოვი შეცვლის. მთავრობის ხელმძღვანელობა ბასაევს ასლან მასხადოვის გროზნოში დაბრუნებამდე დაეკისრება. იგი ოჯახთან ერთად თურქეთში გაემგზავრა თურქეთის რესპუბლიკის დღის ზეიმზე დასასწრებად და სამკურნალოდ. სხვათა შორის, „ინტერფაქსმა" ჩეჩნეთის ავიალაინერის ეკიპაჟის მეთაურის ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ გროზნოდან პრეზიდენტის თვითმფრინავი 3 საათის დაგვიანებით გაფრინდა, რადგან ფედერალურმა სასაზღვრო სამსახურმა მოითხოვა, რომ თვითმფრინავი რუსეთის ერთ-ერთ საერთაშორისო აეროპორტში დამჯდარიყო სასაზღვრო-საბაჟო კონტროლის გასავლელად. თავად მასხადოვმა „კომერსანტ დეილის" კორესპონდენტს განუცხადა, ასეთი მოთხოვნა არავის წამოუყენებია და გაფრენა „ჩვეულებრივი რუსული „ბარდაკის" გამო შეფერხდაო. თუმცა, მოგვიანებით მასხადოვის პრეს-მდივანმა ყ. ჰაჯიევმა „ნოვოსტის" შეატყობინა, რუსი მესაზღვრეები თვითმფრინავის დათვალიერებას ითხოვდნენ, მაგრამ ვიქტორ ჩერნომირდინი ჩაერია საქმეშიო.

*კომერსანტ დეილი №186*

## ჩეჩნეთის საზღვარი კვლავ ჩაკეტილია?!

26 ოქტომბერს, 8.45 სთ-ზე ჩაიკეტა ჩეჩნეთისა და დაღესტნის საზღვარი. ეს გადაწყვეტილება მიიღეს დაღესტნის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და ჩრდილო კავკასიის ოპერატიული დაჯგუფების უფროსმა, გენერალ-მაიორმა ანდრეევსკიმ. შეჩერდა მოძრაობა დაღესტნის ჰასავიურტის რაიონში, მთავარ მაგისტრალზე. დაღესტნის შსს-ის ცნობით, ამ ფაქტის მიზეზი გახლავთ ის, რომ 24 ოქტომბერს უცნობმა ჩეჩნებმა გაიტაცეს 8 ჰასავიურტელი მილიციელი, რომლებიც ადმინისტრაციულ საზღვარს იცავდნენ (ერთი მათგანი შეტაკების დროს დაიღუპა). დაღესტნის შსს-მ ეს ამბავი უმალვე შეატყობინა ჩეჩენ კოლეგებს. ისინი დახმარებას დაპირდნენ. მეორე დღეს ჰასავიურტის რაიონში აფეთქდა შინაგანი ჯარების БТР-ი, დაიჭრა 4 ჯარისკაცი. „არ შეიძლება ჩეჩენი ბოევიკების ბანდიტური გამოხდომების მოთმენა. ისინი ძარცვავენ მოსახლეობას, მძევლად აჰყავთ ადამიანები",— აცხადებს პოდპოლკოვნიკი მაგომედოვი.

როგორც მოსალოდნელი იყო, საზღვარზე ასობით ავტომანქანამ მოიყარა თავი, დოკუმენტების შეუმოწმებლად არავის უშვებდნენ. დაღესტნის ხელმძღვანელობა აცხადებს, აღნიშნული საზღვრები მანამ არ გაიხსნება, სანამ ჩეჩნები მილიციელებს არ დააბრუნებენო. ჩეჩნეთის პრეზიდენტის პრეს-მდივნის, ყაზბეგ ჰაჯიევის თქმით, ჩეჩნეთი ბლოკირებულია, რესპუბლიკაში ვერ შემოაქვთ მედიკამენტები. რაც მთავარია, საჭიროდ არ მიიჩნევენ, იჩქერიის ხელმძღვანელობას აუხსნან ბლოკადის მიზეზი. უნდა აღინიშნოს, რომ ხალხს იტაცებენ იმ რეგიონებიდან, სადაც ნავთობსადენი გადის; სწორედ იმ დროს, როცა სამხრეთის ნავთობკომპანია გაუქმდა, ჩეჩნეთის ნავთობსადენის მონაკვეთის რემონტიც დასრულდა და რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარიც გაიხსნა. ჩეჩნეთის ხელმძღვანელობა გვარწმუნებს, რომ მაგისტრალის კონტროლი შეუძლია, როგორც ჩანს, თუ მოისურვებს. შაბათს აზერბაიჯანმა ამ მაგისტრალით პირველი 40 ათასი ტ ნავთობი გაუშვა, წლის ბოლომდე 120 ათასი ტ გაივლის ნავთობსადენს. ბოლო დროს, ჩეჩნეთი მოითხოვს, რომ ამ ნავთობსადენში მათი ნავთობიც გაუშვან. მოსკოვში ჩეჩნეთის დელეგაციასთან, ამ საკითხთან დაკავშირებით, მოლაპარაკება მიმდინარეობს.

*იზვესტია №205*

**კვირის ფრაზა:**

**სელეზნიოვი გონიერი კაცია, სულ მე მეკითხება რჩევას.**
**გ. ზიუგანოვი**

## ხაკასეთში არჩევნებზე კომუნისტმა გაიმარჯვა

მას შემდეგ, რაც ალექსეი ლებედმა (გენერალ ლებედის ძმამ) გოსდუმაში თავისი პოსტი დატოვა — იგი ხაკასიის რესპუბლიკის მთავრობის მეთაური გახდა. დეპუტატის ადგილზე 12 კაცს ჰქონდა პრეტენზია. ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა ეროვნებით ხაკასმა, 49 წლის გ. მაიტაკოვმა. მას მხარს უჭერდა ეროვნული ელექტორატი და რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი განყოფილება.

*კომერსანტ დეილი №186*

## ტაჯიკეთი და უზბეკეთი ომის ზღურბლზე დგანან

ტაჯიკეთისა და უზბეკეთის საზღვარზე გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობს. უზბეკეთის ტერიტორიიდან დაიცხრილა ტაჯიკი მესაზღვრეების საკონტროლო-გამშვები პუნქტი. საპასუხო ცეცხლი გაიხსნა ტაჯიკეთის მხრიდანაც. ოფიციალურმა დუშამბემ განაცხადა: „ტაჯიკეთის სამთავრობო ძალები განაგრძობენ ინციდენტის სალოკალიზაციო ოპერაციებს. ეს ინციდენტი კი დუშამბეს მახლობლად, თურსუნზადეს რაიონში მოხდა, იქ სადაც ტაჯიკეთ-უზბეკეთის საზღვარი გადის. საბრძოლო მოქმედებებს წინ უძღოდა ოფიციალური დუშამბეს მიერ წაყენებული ბრალდება, რომლითაც უზბეკეთს ანტისამთავრობო შეიარაღებული ფორმირებების მხარდაჭერაში ადანაშაულებენ".

*სეგოდნია №237*

## რა საჭიროა დაბადების მოწმობაში მშობლების ჩაწერა?

ამიერიდან რუსეთში ბავშვის დაბადების მოწმობაში მშობლების ეროვნების მითითება არ არის საჭირო. სახელმწიფო დუმამ ამ საკითხის გადაწყვეტა თვით მშობლებს მიანდო: ჩაწერონ თუ არა შვილის დაბადების მოწმობაში თავიანთი ეროვნება. საქმე ის არის, რომ თუ მშობლები დოკუმენტებში თავიანთ ეროვნებას აღნიშნავენ, მაშინ შვილის ეროვნება ავტომატურად განისაზღვრება და პასპორტის მიღებამდე თავისი ეროვნების შერჩევას ვერ შესძლებს.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №202*

**ძალიან ვწუხვარ, რომ როცა ვთქვი, ბორის, მართალი არ ხარ-მეთქი, მართალი აღმოვჩნდი.**

**ე. ლიგაჩოვი**

**(მაინც არ აღმოჩნდით მართალი, ეგორ კუზმიჩ! იმ ყველასთვის სამახსოვრო პლენუმზე რომ გეთქვათ — ბორის, მართალი ხარო, ასეთი, ისიც თქვენი მიცემული რეკომენდაციით, პრეზიდენტად ელცინს ნამდვილად არავინ აირჩევდა).**

*არგუმენტი ი ფაკტი №44*

## თურქმენეთის გაზი ავღანეთის ომის ცეცხლს ჩააქრობს?

აშხაბადში გაზის საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომელშიც თურქმენეთის გარდა, შედის 6 სახელმწიფო კომპანია: ამერიკის „იუნიკაპი", საუდის არაბეთის „დელტა", სამხრეთ კორეის „ჰიუმდანი", იაპონიის „იტოჩუ" და „ინპექსი" და პაკისტანის „კრეფინგი". რუსეთის „გაზპრომმაც" მოისურვა ამ შეთანხმებაში მონაწილეობა, მაგრამ რატომღაც მისი წარმომადგენელი აშხაბადში არ ჩასულა, თუმცა იგი მაინც რჩება შეთანხმების პოტენციურ მონაწილედ. პროექტი 20 მლრდ დოლარად არის შეფასებული. მასში ავღანეთი არ არის წარმოდგენილი, თუმცა, მილების დიდი ნაწილი (1464კმ) მის ტერიტორიას, გაივლის. თალიბები დაინტერესდნენ გაზსადენის მშენებლობით და ხელისუფლებას მისი უსაფრთხოების გარანტიაც აღუთქვეს. ამ იდეას ვაშინგტონმაც დაუჭირა მხარი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიდი ბიზნესის გამო ავღანელებმა ომს თავი დაანებონ. პარალელურად, განიხილება გაზსადენის ახალი პროექტი: თურქმენეთიდან ირანისა და თურქეთის გავლით ევროპაში. მომავალში თურქმენეთ-პაკისტანის გაზსადენთან ერთად, იგეგმება ნავთობსადენის მშენებლობაც. სპეციალისტების აზრით, აშხაბადს შეუძლია, საზღვარგარეთი 100 მლრდ კუბ.მ გაზით მოამარაგოს. წელს მისი მოცულობა მხოლოდ 25მლრდ კუბმეტრი იყო.

*იზვესტია №205*

## უკანასკნელ საათს

**ნოვოჩერკასკში** გაიმართა დონის კაზაკთა ატამანების გაერთიანებული საბჭო. უპირველესი საკითხი, რომელიც საბჭოს სხდომაზე იხილებოდა, იყო გენერალ ალექსანდრ ლებედის დონის კაზაკთა გაერთიანებული ჯარის ატამანად არჩევა. დიდი შეხლა-შემოხლისა და სჯა-ბაასის შემდეგ, ლებედს ატამანობაზე უარი უთხრეს.

**კოკისპირულმა წვიმებმა სოჭში** ძალიან გაართულა კურორტის ელექტროენერგიით მომარაგება, დაიტბორა ქუჩები, წყლის დონე ადგილ-ადგილ საცხოვრებელი სახლების თითქმის მეორე სართულამდე ადიოდა.

**მოსკოვში** დააკავეს ვინმე რომან ბროვკინი. დედაქალაქის 850 წლისთავის იუბილეს ზეიმის დღეებში მან მილიციის რადიოტალღით ისარგებლა და უკანონოდ მიჰყავდა რადიოგადაცემა რუსეთის პრეზიდენტის სახელით.



**რუსეთისაგან** ორი საზღვრით გამოცალკევებულმა კალინინგრადმა შიდსის გავრცელების ტიტულის მოპოვებაში პირველობა არავის დაუთმო. აქ შეიქმნა ყოფილ საბჭოთა კავშირში შიდსით დაავადებულთა კოლონია, ის კი არა, ადგილობრივი ხელისუფლება პროსტიტუციის ლეგალიზაციას მოითხოვს.

**ტომსკელმა** ბომჟებმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს — რა უფლებით არ გვაძლევთ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რა მოხდა მერე, თუკი ერთი ნელინაძიც არ არის, რაც ტომსკის ოლქში ვცხოვრობთო (ცხოვრებაში, ალბათ, სარდაფებსა და სადგურში ღამისთევას გულისხმობენ).

**მახაჩყალის** საზღვაო პორტში მდგომ აზერბაიჯანის გემზე დეკლარაციაში მითითებული მინერალური წყლის, „ბორჯომის" ნაცვლად, 120 ტონა კონტრაბანდული სპირტი იპოვეს. სპირტი თბილისში რეგისტრირებული ფონდის „სანდო და კომპანიის" მიერ დაღესტანში მცხოვრები მოქალაქის სახელზე ყოფილა გაგზავნილი, რომელსაც ამის შესახებ არაფერი სცოდნია....

**მოსკოვის** მერმა ი. ლუჟკოვმა განაცხადა, რომ მაცხოვრის ტაძრის ინტერიერის გაფორმების ხარჯთაღრიცხვის პროექტი, რომელიც ზ. წერეთელმა წარუდგინა, სრულიად მიუღებელია და ახალ პროექტზე გამოაცხადა კონკურსი.

## „ყველაფერს კადრები წყვეტენ"

ჩეჩენმა დეპუტატებმა მიიღეს კანონი „პირველ პირთა შესახებ", ამ კანონის ძალით, თანამდებობიდან მოიხსნებიან ის პირნი, რომლებიც „მარიონეტულ რეჟიმთან" თანამშრომლობდნენ. მოღალატეთა და არასაიმედოთა გამოსამჟღავნებლად იმუშავებს ახალშექმნილი „კადრების წმენდის სახელმწიფო კომისია" რუსლან გელაევის ხელმძღვანელობით. კომისიაში შევიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელები, პროკურატურის წარმომადგენლები. ასლან მასხადოვმა განაცხადა, — „სიტუაცია საკადრო საკითხებში ოპერატიული ზომების მიღებას მოითხოვს, არ უნდა დაიკარგოს ძვირფასი დრო".

როგორც ინტერფაქსის სააგენტო იუწყება, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა თანამდებობიდან გაათავისუფლა ეკონომიკის დარგში მომუშავე მაღალჩინოსანთა ჯგუფი. გადაყენებულია ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერი მუსა დოშუკაევი, სამხრეთის ნავთობის კომპანიის მეთაური ხოჟ-აჰმედ იარხანოვი, ეკონომიკის მინისტრი — ისა ასტემიროვი და საგადასახადო ინსპექციის უფროსი — ოლეგ თურსაევი.

ასლან მასხადოვის აზრით, მმართველ ორგანოებში არიან ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან მდგომარეობის სტაბილიზაციასა და ნორმალურ მუშაობას.

*სეგოდნია №223*



## გმირი თუ მოღალატე?

პოლონელი ოფიცერი, რიჰარდ კუკლინსკი, 1972-81 წლებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთ ყველაზე მარჯვე ჯაშუშად ითვლებოდა. ეს არც არის გასაკვირი, ის ხომ გენერალ ვოიცეხ იარუზელსკის მრჩეველი გახლდათ და ცსს-ის 35.000 ზესაიდუმლო დოკუმენტი მიაწოდა, რომლებიც არამარტო პოლონეთის, არამედ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შეეხებოდა. 16 წლის წინ, კუკლინსკის გამოაშკარავების საფრთხე დაემუქრა და იძულებული შეიქნა, აშშ-თვის ეთხოვა მფარველობა. კომუნისტურ პოლონეთში კი, უპრეცედენტო ფაქტი მოხდა — სასამართლომ კუკლინსკის დაუსწრებლად დახვრეტა მიუსაჯა, რა თქმა უნდა, „სამშობლოს მოღალატის“ მუხლით. შემდეგ დროება შეიცვალა, კომუნისტები დემოკრატებმა შეცვალეს, მაგრამ კუკლინსკის მოღალატის „სტატუსი“ არ შეცვლილა. არც დახვრეტის მუხლი გაუუქმებია ვინმეს. და აი, ის საკუთარი თავის სარეაბილიტაციოდ ვარშავაში ჩავიდა. „მე ჩემი ქვეყნისთვის არ მიღალატია, ყოველთვის დემოკრატიის მომხრე ვიყავი და ჩემი საქმიანობა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული“, — აცხადებს კუკლინსკი. მაგრამ მისი, პირველ რიგში, სამხედროებს არ სჯერათ. მათთვის იგი მხედრული ფიცის გამტეხი, სამხედრო მუნდირის შემბღალავია. თუმცა, მემარჯვენენი კუკლინსკის ეროვნული გმირის მანტიითაც კი მოსავენ და ტოტალიტარიზმთან მებრძოლ ლეხ ვალენსასაც კი ადარებენ.

*ნიუზუიქ, 27 ოქტომბერი*



## დისიდენტი პრეზიდენტი გახდა

ბოსნიასა და ჰერცოგოვინას თავკაცს ალია იზეტბეგოვიჩს ძლიერი პიროვნებების აშკარა ნოსტალგია აქვს. ძლიერ პიროვნებათა შორის კი, ის უპირველეს ადგილს მარშალ იოსიფ ბროზ ტიტოს მიაკუთვნებს. ყოფილმა დისიდენტმა ა. იზეტბეგოვიჩმა, რომელიც ტიტოს წყალობით ორჯერ იჯდა ციხეში, ეტყობა, ახლა იგრძნო, რა ცეცხლიც დაანთო ბოსნიაში. ახლა სხვა ხმაზე ამღერდა, ტიტოს მაქებარი გახდა, — რა კარგი დრო იყო, როცა იუგოსლავია ერთი ადამიანის ავტორიტეტს ემყარებოდაო. აი, რას წერს ის: „მარშალმა ტიტომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შესძლო ეროვნული შუღლის ჩაქრობა. მისი სიკვდილის 10 წლის თავზე — 1980 წელს იუგოსლავია ისევ ეროვნული დაპირისპირების ქარცეცხლში გაეხვია და პატარა სახელმწიფოებად დაიყო, რომლებიც დასანახად ვერ იტანენ ერთმანეთს“. თავად იზეტბეგოვიჩმა ვერ შესძლო ტიტოს მაგალითის გამეორება — ბოსნიას — მინიიუგოსლავიად მიიჩნევენ, სამი ხალხი, სამი პრეზიდენტი, სამი პარლამენტი, სამი რელიგია, სამი ენა — თუმცა, ერთმანეთის მსგავსი. ჯერჯერობით, ერთიანი ბოსნია მხოლოდ დეიტონის სამშვიდობო მოლაპარაკებაში, ე.ი. ქაღალდზე არსებობს.

იზეტბეგოვიჩი 1991 წელს გახდა პრეზიდენტი. ამას მოჰყვა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება და 1992 წლის ტრაგიკული აპრილი, როცა სერბებთან და ხორვატებთან დაიწყო სამოქალაქო ომი, 1994 წელს კი — მხოლოდ სერბებთან. ამ ომებს 250 ათასი კაცი შეეწირა და მხოლოდ დეიტონის მოლაპარაკების შედეგად შეწყდა.

1996 წელს ალია იზეტბეგოვიჩი, რომელიც თანდათანობით დემოკრატიდან ფუნდამენტალისტად იქცა, მუსულმანური ბოსნიის მხარდაჭერით კიდევ ორი წლით ხელისუფლების სათავეში მოექცა.

*ინტერფაქსი*

## ავღანეთს ახალი სახელი აქვს

თალიბების ხელისუფლებამ ავღანეთის სახელმწიფოს სახელი შეუცვალა. ახლა მას ავღანეთის ისლამური საამირო ჰქვია. პაკისტანში, ავღანეთის საელჩოს პირველმა მდივანმა მაულვი აბდულ ვაჰაბმა განაცხადა, რომ ახალმა სახელწოდებამ ოფიციალურად უნდა განამტკიცოს თალიბთა მთავრობის მეთაურის მულა მოჰამედ ომარის პოზიციები. სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, ავღანეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რომ მათ სახელმწიფოს ახალი სახელი აქვს. ვინც იცის, ორ ბანაკად გაიყვნენ — ახლის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ „ისტორიული სიმართლე“ აღდგა (წარსულში ქვეყანას ამირები მართავდნენ). საპირისპირო აზრის მომხრენი კი, ვარაუდობენ, რომ ამან შეიძლება ომარს ავტორიტარული მმართველობისაკენ უბიძგოს.

*კომერსანტ დეილი №187*

## ლატვიის პრეზიდენტმა უარყო ელცინის წინადადება



ლატვიის პრეზიდენტმა გუნტის ულმანისმა მიუღებლად მიიჩნია რუსეთის წინადადება, ბალტიის ქვეყნების უსაფრთხოების გარანტიის შესახებ. ეს წინადადება ბ. ელცინმა მოსკოვში ლიტვის პრეზიდენტის, ალგირდას ბრაზაუსკასის ვიზიტის დროს წამოაყენა. ულმანისის თქმით, „კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს, სინამდვილეში რა დგას რუსეთის ამ წინადადების უკან.“

*კომერსანტ დეილი №182*

## ერონებათა თანამეგობრობა კვლავ ბრიტანული გახდა



ერონებათა თანამეგობრობის (რომელიც ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებს აერთიანებს) სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენცია უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში პირველად გაიმართა ბრიტანეთის მიწაზე — ედინბურგში. პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ ოცნებობს ერონებათა თანამეგობრობა თავისი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან იარაღად აქციოს. დიდ ბრიტანეთში სამიტის ჩატარების ფაქტს ბლერის ხელისუფლება განიხილავს, როგორც მსოფლიოში ქვეყნის გავლენის ზრდის ფაქტორს. ამასთან, დაუნინგ-სთრითზე ცდილობენ, არ დაივიწყონ, რომ ედინბურგში სამიტის ჩატარების გადაწყვეტილება ორი წლის წინ მიიღეს, როცა დიდ ბრიტანეთს კონსერვატორები მართავდნენ.

*კომერსანტი №39*

## იტალია შენგენის შეთანხმებას შეუერთდა

შენგენის შეთანხმების მიხედვით, იტალიის მოქალაქეებს ამ შეთანხმების წევრ სახელმწიფოებში (ბელგია, გერმანია, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, საფრანგეთი) თავისუფალი მიმოსვლის უფლება აქვთ.

შენგენის სახელმწიფოების ავიარეისები ქვეყნის შიდარეისების თანაბარია. არც მგზავრებს სჭირდებათ საბაჟოებზე საგანგებო დოკუმენტების წარდგენა. იტალიის მთავრობას, ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩასართველად, 25 მლნ დოლარის გამოყოფა დასჭირდება.

გაისად შენგენის შეთანხმებას ხელს მოაწერს ავსტრია და საბერძნეთი.

*ნეზავისიმაია გაზეტა №204*

## პალესტინელთა დონორი

გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა გასულ კვირას, ბონში მიიღო პალესტინელთა ლიდერი იასირ არაფატი და შეშფოთება გამოთქვა ახლო აღმოსავლეთში მოლაპარაკებების შეჩერების თაობაზე. კოლმა განაცხადა, რომ გერმანიისა და ევროპის საბჭო კვლავ უჭერენ მხარს სამშვიდობო პროცესს, მაგრამ რაიმე ახალი ინიციატივის თაობაზე არ ულაპარაკია.

ამჟამად გერმანია პალესტინელთა ყველაზე დიდი დონორია. ამა წლის დამლევისათვის მას განზრახული აქვს, პალესტინას მილიარდი მარკით დაეხმაროს.

ამ განცხადების გაკეთების შემდგომ, ისრაელის ელჩმა, ავი პრიმორმა მოუწოდა ბონს, ანალოგიური დახმარება გაუწიოს ისრაელსაც.

*ზიუდდოიჩე ცაიტუნგი*

## თურქეთის არმია ერაყში რჩება

თურქეთმა დაადგინა, ჩრდილო ერაყში საბუფერო ზონა შექმნას, — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჩემმა. ამჟამად, ამ რეგიონში დაახლოებით 8 ათასი თურქი ჯარისკაცი იმყოფება. ერაყში თურქეთის სამხედრო ძალის შენარჩუნება განიხილება, როგორც ისრაელსა და თურქეთს შორის 1995 წლის სამხედრო-ტექნიკური ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესრულების ფაქტი. თურქული ზონა აღიჭურვება აშშ-ისა და ისრაელის წარმოების ელექტრონული თანამგზავრის მოწყობილობით. ბაღდადმა უკმაყოფილება გამოთქვა ამ დადგენილების გამო და შუამდგომლობისათვის ეგვიპტეს მიმართა. ეგვიპტე ცდილობს, არაბულ სახელმწიფოთა ლიგის დახმარებით რეგიონში სიტუაციის მოწესრიგებას.

*ნეზავისიმაია გაზეტა №201*

## გარემოს დამცავები — „კასინის“ წინააღმდეგ



როგორც იქნა, შეერთებული შტატების აეროკოსმოსურმა სააგენტო „ნასამ“ გამოაცხადა, რომ იწყებს სატურნის გამოკვლევის პროგრამას, რაც პლანეტაზე კოსმოსურ ხომალდ „კასინის“ გაშვებას ითვალისწინებს. თითქოსდა, ამაში სახიფათო არაფერი უნდა იყოს, პირიქით, ეს მისასალმებელიც არის. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. გარემოს დამცველმა ორგანიზაციებმა „კასინის“ სატურნზე გაშვების წინააღმდეგ გაილაშქრეს. არა, მათ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო კოსმოსური გამოკვლევებისა, გარემოს დამცველები „კასინის“ ტვირთმა შეაშფოთა. კოსმოსურმა ხომალდმა სატურნზე მისაღწევად რადიაქტიული საწვავი — პლუტონიუმი უნდა გამოიყენოს. საჭიროა 72 ფუნტი. მიუხედავად იმისა, რომ „ნასას“ მესვეურები ამტკიცებენ, უსაფრთხოების ყველა ზომა დაცულიაო, გარემოს დამცველები აცხადებენ, რომ არ არის გამორიცხული გაშვებისას კოსმოსური ხომალდის დაზიანება. მით უფრო, რომ ბოლო წლებში „ნასას“ ხომალდების გაშვება ხშირად იშლება ტექნიკური უწესრიგობის გამო. სერიოზული არგუმენტია ისიც, რომ მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხოდ მიჩნეული რუსული კოსმოსური სადგური — „მირი“, თითქმის კატასტროფის პირას არის მისული.

*ნიუზუიქ, 20 ოქტომბერი*

## ტოგოს პრეზიდენტს მარქსისტები არ უყვარს



ტოგოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, შეიფაროს უსავარძლოდ დარჩენილი პრეზიდენტები. წლეულს, ზაფხულში, განსინგბე ეიადემმა შეიფარა კონგოს რესპუბლიკის (ყოფილი ზაირი) დიქტატორი მობუტუ. ახლახანს კონგოს ჩამოგდებულმა პრეზიდენტმა პასკალ ლისუბუმაც ისარგებლა ტოგოს სტუმართმოყვარეობით. თუმცა, ამას პრაქტიკული ახსნაც მოეძებნება. ტოგოს პრეზიდენტს გულზე სულაც არ ეხატება კიდევ ერთ აფრიკულ სახელმწიფოში მარქსისტული რეჟიმის დამყარება. ამიტომ გადაწყვიტა, ლისუბუს მოვიწვევ, დავითათბირებ და კონგოელ მარქსისტთა წინააღმდეგ ბრძოლას გავაახლებინებო.

*კომერსანტი №39*

## სამხედრო გადატრიალების მცდელობა

ზამბიაში ნაციონალური არმიის პირველმა ბრიგადამ ალყა შემოარტყა პრეზიდენტის სასახლეს, საერთაშორისო აეროპორტს და ტელერადიოცენტრს. მეამბოხეთა ლიდერი გახლავთ ვინმე კაპიტანი სოლო, რომელმაც რადიოთი პრეზიდენტ ფრედერიკ ჩილუბის გადაყენება და ქვეყნის მთავრობის დროებითი რევოლუციური კომიტეტის ხელში გადასვლა მოითხოვა. ქვეყნის მეთაურს ბრალად დასდო უცხოელებისათვის „სახელმწიფო ქონების მიყიდვა“.

კაპიტანმა სოლომ ჩილუბი გააფრთხილა, რომ წინააღმდეგობის გაწევისთანავე დახვრეტდა.

როგორც იქნა, ზამბიის პრეზიდენტმა მოახერხა ეთერში გასვლა და თანამემამულეებს სიმშვიდისაკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას და პუტჩს მალე მოეღება ბოლო.

გამორიცხული არ არის, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა დამყარდეს.

*იზვესტია №206*

## პლანეტის მაჯისცემა



*რუსეთ-ლიბანის* ვაჭრობისა და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთთანამშრომლობის სამთავრობოთაშორისო კომისიის სესიამ მუშაობა დაასრულა. შეათანხმეს გათბობისა და ენერგეტიკის, კულტურის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის პროექტები.

*აშშ* ფინანსთა სამინისტრომ ა.წ. 27 ოქტომბრიდან შემოიღო ახალი 50-დოლარიანი ბანკნოტი და ეს მთელ მსოფლიოს ამცნო.

*თორმეტწლიანი* შესვენების შემდეგ, აშშ-ს ეწვია ჩინეთის ლიდერი ძიან ძემინი. მან განაცხადა, რომ ჩინეთსა და აშშ-ის შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება. აშშ-ის დედაქალაქში ჩინეთის სახელმწიფო მეთაურს ჩინეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ მებრძოლთა დიდი ჯგუფი დახვდა.

*მუშაობას* შეუდგა ნორვეგიის ახალშექმნილი სამთავრობო კაბინეტი, პრემიერ ჰელენ ბენდევიკის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ ახალი კაბინეტის ნახევარი მშვენიერთა სქესის წარმომადგენელია.

*ბრიტანეთის* „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ამერიკელი ებრაელები აღარანაირ დახმარებას აღარ გაუწევენ ისრაელს. საქმე ისაა, რომ ისრაელის მთავრობა, ბენიამინ ნეთანიაჰუს ხელმძღვანელობით, ულტრაორთოდოქსული პარტიის მიმდევარია. ხოლო ისრაელის რაბინებს ევალებათ განსაზღვრონ, ვინ არის ჭეშმარიტი ებრაელი. ამერიკელ ებრაელთა უმრავლესობა კი, იუდაიზმის რეფორმისტულ შტოს ეკუთვნის და ამდენად, სავსებით სამართლიანად შიშობენ, რომ ამიერიდან ისრაელში „მეორეხარისხოვან ადამიანებად“ ჩაითვლებიან. თუ ისრაელი მიიღებს კანონს ამის შესახებ, მსოფლიო საზოგადოებრიობა მას დემოკრატიულ სახელმწიფოდ აღარ მიიჩნევს.

# კიევი-თბილისი — სამხედრო-პოლიტიკური ღერძი

გასულ კვირას უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს.

იმ ფაქტმა, რომ უკრაინა-საქართველოს მორიგი ოფიციალური შეხვედრა უმაღლეს დონზე, სწორედ კიშინოვის სამიტის დასრულებიდან რამდენიმე დღეში შედგა, მართლაც დიდი როლი ითამაშა დსთ-ის მასშტაბებით ძალთა გადანაწილებაში.

უკრაინის პრეზიდენტს არც კი დაუმალავს, რომ პოლიტიკური ღერძი — კიევი-თბილისი-ბაქო — მართლაც რეალურია, რისიც ასე ეშინიათ მოსკოვში.

თანდათანობით ნათელი ხდება, რომ ოფიციალური თბილისი, კიევის სახით პოულობს იმ სტრატეგიულ პარტნიორს, რომელმაც მკვეთრად უნდა შეამციროს რუსეთის, როგორც მოკარნახის, ზემოქმედება საქართველოზე.

არადა, ეს პოლიტიკური კურსი თავად მოსკოვმა წამოიწყო, რომელსაც სურდა და კვლავ სურს, შემოიმტკიცოს, ხშირად ძალითაც კი, ცენტრისკენ მიმართული პოსტსაბჭოური, ამჟამად დამოუკიდებელი ძალები.



ქართული Су-25T

უკრაინის პრეზიდენტმა თბილისში ვიზიტისას სწორად განსაზღვრა, რომ მოსკოვის ასეთი მოქმედება დსთ-ის სხვა ქვეყნების უკუქმედებას, ცენტრიდანული ძალების წარმოქმნას განაპირობებს.

სწორედ ამ პოლიტიკური ღერძის — უკრაინა-თბილისი-ბაქოს ერთ-ერთ მთავარ გამაძლიერებელ გარემოებად, ეკონომიკური ფაქტორის გარდა, სამხედრო თანამშრომლობაც უნდა იქცეს.

ჯერ კიდევ 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მაშინ, როდესაც, საქართველოსი არ იყოს, აზერბაიჯანსაც უჭირდა ყარაბაღის ფრონტზე, გიგანტური სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით „რუსლანებით" უკრაინიდან აზერბაიჯანში რამდენიმე ათეული T-55 ტიპის ტანკი ჩაიტანეს. ასევე ეხმარებოდნენ უკრაინული შვეულმფრენების ეკიპაჟები ლტოლვილებს აფხაზეთის სვანეთის მთებში.

დღეს, ასეთი სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები უკრაინასთან უფრო მაღალ დონეზე ადის. საქართველო-უკრაინას შორის უკვე ხელმოწერილია ხელშეკრულებები ჯარების სხვადასხვა სახეობას შორის თანამშრომლობის შესახებ. საქართველოს სასაზღვრო ჯარების სანაპირო დაცვამ უკრაინისაგან მიიღო „გრიფის" ტიპის სასაზღვრო-საპატრულო კატარღა — ერთი საჩუქრად, ორი შეღავათიან ფასად. თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს დაზვერვის ბატალიონი, სამხედრო-საზღვაო ძალების საზღვაო აკადემიის ოცეულები უკვე მონაწილეობდნენ უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე მრავალეროვნულ სამშვიდობო სამხედრო მანევრებში.

ხოლო 31 ოქტომბერს უკრაინაში გაემგზავრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო თავდაცვის ჯარების ოცეული, რომელიც სამი კვირის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებს ფეოდოსიაში მიმდინარე უკრაინის ПВО-ს მანევრებში.

ეს გადაწყვეტილება თითქმის სპონტანურად იქნა მიღებული უკრაინის თავდაცვის მინისტრის, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრ კუზმუკის საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ოფიციალური ვიზიტის დროს.

თუმცა, სხვა შეთანხმებებს, რომლებსაც ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა 29 ოქტომბერს მოაწერეს ხელი, სპონტანური ნამდვილად არ ეთქმის.

ოქმი, „ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ", ითვალისწინებს სამხედრო ტექნიკითა და აღჭურვილობით ვაჭრობას, მათი ბარტერული გაცვლის ჩათვლით.

უკრაინას გააჩნია მრავალი სახეობის სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა, რომელიც კატასტროფულად აკლია საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. თავის მხრივ, რა ძნელი წარმოსადგენიც არ უნდა იყოს მკითხველისათვის, უკრაინის არმიასაც სჭირდება საქართველოში დამზადებული იარაღი და, პირველ რიგში, თბილისის საავიაციო-საწარმოო გაერთიანების მიერ გამოშვებული Су-25 ტიპისა და მისი უახლესი მოდიფიკაციის მოიერიშეები.

...ორმოციოდე წუთში ალექსეი მაგომეტი და საშა დონბასი პატარა კაფეში ისხდნენ და ლუდს წრუპავდნენ.

მერე საშა და ალექსეი ნება-ნება მიჰყვებოდნენ ქუჩას და გამვლელებს ყურადღებით ათვალიერებდნენ — საკბილოს ეძებდნენ. ბოლოს არჩევანი ორ რესპექტაბელურ, კარგად ჩაცმულ მამაკაცზე შეაჩერეს და ჟიჟურ გაეშურნენ მათკენ.

— გამარჯობათ... მოსკოველები ჩანხართ, — დაიწყო ალექსეიმ და ისეთი ბალტიისპირული აქცენტი დაიჭირა, კაცს შეგშურდებოდა.

კაცები შეჩერდნენ, ორივე შეათვალიერეს, მერე ერთმა მათგანმა, როგორც იქნა, ამოღერღა:

— ჰო, დიახ, მოსკოველები ვართ.

— მე და ალგისი კი — ტალინელები, — მაგომეტი საშას მიუბრუნდა, — ალგის, მოდი აქ.

დონბასს ბევრი არ უფიქრია და ესტონური სიტყვების ისეთი კორიანტელი დააყენა, თქვენი მოწონებული. თუმცა აზრს, რა თქმა უნდა, ვერავინ გამოიტანდა.

— ვიცი, ბევრს არ ვუყვარვართ აქ... არ ვუყვარვართ... ჩვენ, ესტონელები... ნაციონალისტებს გვეძახიან.

ახლა საუბარში მეორე რესპექტაბელური მამაკაცი ჩაერია, აქამდე ქედმაღლურად, ზიზღნარევი ღიმილით რომ შეჰყურებდა მაგომეტს.

— არა, არა. ასე რატომ ფიქრობთ, ბევრჯერ ვყოფილვარ ტალინში, იქ ბევრი მეგობარი მყავს... სისულელეა ეს ყველაფერი. ესტონელები ძალიან კარგი ხალხია. ეს ახლა...

— დიახ, დიახ, — თავისას ერეკებოდა მაგომეტი, — ახლა... ცუდ დღეში ჩავვარდით... აქ, ახლოს, გამოფენასთან მანქანა დავაყენეთ, ჩვენ მხატვრები ვართ. ჰოდა, ხომ იცით, როგორ ამბობთ ხოლმე? — ჰო, ცოტა გადავკარით. მივედით, მანქანა აღარ არის. ინსპექციას წაუყვანია, ახლა იქ დგას, იმ ქუჩაზე... რა ჰქვია? ჰო, რიაბინოვკაზე... დგას და რვაასორმოცდაათ ათასს თხოულობენ. ჩვენ კი.... ეგ ფული... რუსული რუბლი, რუბლი, ხომ? ჰოდა, არა გვაქვს რუბლი, რომ ტალინში დავრეკოთ და ფულის გამოგზავნა ვთხოვოთ... ოცდათვრამეტი ათასი რუბლია საჭირო, სამი წუთი... ოცდათვრამეტი ათასი, ან მე, ან ალგისი პასპორტს დაგიტოვებთ... ტალინში... უნდა დავრეკოთ...

მწვანეპალტოიანმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ძვირფასი ტყავის საფულე გახსნა და ორმოცდაათათასიანი კუპიური გაუწოდა ალექსეის.

— აიღე, ძმაო, დარეკე ტალინში. ნუ გგონია, რომ ესტონელები არ გვიყვარს.

ალექსეიმ სწრაფად გადაულოცა ბანკნოტი საშას.

— მისამართი ჩამაწერინეთ... ფული უნდა დაგიბრუნოთ... — მწვანეპალტოიანმა ხელი ჩაიქნია, — სისულელეა, ეს რა ფულიაო.

რესპექტაბელური მამაკაცები, კმაყოფილები, რომ ასე იოლად გადარჩნენ და რუსული სულის სიდიადე და გულუხვობა დაანახეს პროვინციელ ბალტიისპირელებს, სწრაფი ნაბიჯით გაშორდნენ მათ.

ალექსეი თავმომწონედ შეჰყურებდა საშას.

— რა ვქნათ ახლა, ვიკაიფოთ?

— იქნებ დაგველია?

მაგომეტი დაფიქრდა.

— რა ვიცი, ეს არ გვეყოფა, ერთი ამდენი კიდევ დაგვჭირდება... თუმცა, იცი რა... დალევაც რომ მინდა? როდის ვიკაიფეთ?

— როდის და... გუშინ!

— მაშინ დღეს აღარ გვინდა, — გადაწყვიტა ალექსეიმ, — ყოველდღე არ შეიძლება, ყოფა გვეტირება. ჯობია, წავალ, კიდევ ვინმეს ფულს შევაწერ და სადმე ჩავსხდეთ... შინაც ხომ უნდა მივიტანო რამე...

— როგორც გინდა, — თავი დაუქნია დონბასმა, — დღეს დავთვრეთ და... მაკდონალდსში წავიდეთ!

— წავიდეთ!

ბიჭები გახალისდნენ, ნაბიჯს აუჩქარეს, თითქოს ეშინოდათ, გულუბრყვილო გამვლელები არ დავკარგოთო — ეს ხომ მათი ყოველდღიური სტაბილური შემოსავლის წყარო იყო. ისეთი დღეებიც ჰქონიათ, როცა აღარ იცოდნენ, სად წაეღოთ, როგორ დაეხარჯათ ფული. დახარჯვა კი გულით უნდოდათ ხოლმე, იმიტომ, რომ ხვალ ახალი დღე თენდებოდა და ახალი გასართობი უნდა ეძებნათ. საკუთარი ღირსებით აღვსილნი ყიდულობდნენ იშვიათ დელიკატესებს, ნარკოტიკებს, ძვირფას სასმელს, ეგზოტიკურ საჭმელს და დაცინვით შეჰყურებდნენ ქუჩაში სამათხოვროდ გამოსულ, ჩამობრანძულ თანამოქალაქეებს.



ალექსეი სწრაფად მიუახლოვდა ორი ხელჩანთით მიმავალ ასაკოვან მანდილოსანს და მოჰყვა თავისას. ქალი ყურადღებით უსმენდა.

— გასაგებია, მე ლიტერატურის მასწავლებელი ვარ, სწორედ დღეს ავიღე ხელფასი, ასე რომ, გაგიმართლათ... რატომ გგონიათ, რომ მოსკოველები ნაციონალისტებად მიგიჩნევთ? მე ვყოფილვარ ტალინში, ძალიან ლამაზი ქალაქია... მაგრამ, იცით... მხოლოდ 50 ათასის მოცემა შემიძლია... ხომ იცით, მასწავლებლებს დიდი ვერაფერი შემოსავალი გვაქვს...

— რას ბრძანებთ, ამაზეც დიდად მადლიერი ვიქნები, — ალუღლუღდა ალექსეი და, ალბათ, პირველად მოერია სირცხვილი.

— აიღეთ, რაიმე ხომ უნდა ჭამოთ... ალბათ, მშივრებიც ხართ, აი, ორცხობილა მაქვს, — ქალმა ჩანთა გახსნა და ქაღალდის პარკი ამოათრია.

ალექსეი თავს უხერხულად გრძნობდა.

— გმადლობთ... როგორ გეკადრებათ... ნუ წუხდებით, — ალექსეი ისე დაიბნა, ლამის დაავიწყდა ესტონური აქცენტით რომ უნდა ელაპარაკა, ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა ამ გულუხვ მასწავლებელს, ლამის ლუკმის გაყოფას რომ სთავაზობდა თაღლითებს.

— ჩვენ წავალთ... — ალექსეიმ ხუთი ცალი ათიათასიანი საშას მიაწოდა, — კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას... იქ, ტალინში, ყველას მოვუყვებით...

— ღმერთო ჩემო, რა არის მოსაყოლი, — დაიმორცხვა ქალმა, — აი, შინ რომ ვერ გეპატიჟებით... სულ ერთი ოთახი მაქვს...

— ოჰ, არა, ასე როგორ შეგაწუხებთ, — მაგომეტი აშკარად გაოცებული იყო.

— მაგარი ხარ, — შეაქო მაგომეტი აღფრთოვანებულმა საშამ.

— კარგი ერთი... გარეწრები ვართ ორივენი...

— ახლა მიხვდი ამას? — გაუკვირდა საშას, — ეს ხომ ისედაც ცხადი იყო...

— რას მიჰქარავ, უცხოელებს და ახალ რუსებს რომ ფულს დავაწერ, ის ფული მაგათთვის არაფერია, აქ კი...

— კარგი, რა! ჩვენ ვიღაცის სიკეთით ვსარგებლობთ, ვატყუებთ, რა მნიშვნელობა აქვს, მასწავლებელი იქნება ის, თუ „ვოლვოიანი" ბიზნესმენი, მაინც გარეწარი ხარ.

საშამ ქუჩას გახედა, უცებ მათ წინ ვერცხლისფერი „ვოლვო" გაჩერდა. მანქანაში ორი მოდურად ჩაცმული ახალგაზრდა იჯდა და საშასა და მაგომეტს უყურებდა.

მაგომეტი მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა „ვოლვოს". მძღოლის გვერდით მჯდომმა გაუღიმა და ფანჯრის მინა ჩამოსწია.

— უკაცრავად, თქვენ მოსკოველები ბრძანდებით?

— დიახ, მოსკოველები ვართ.

— ჩვენ კი კალინინგრადიდან ვართ... კენიგსბერგი გაგიგიათ? — მაგომეტი დაიქოქა — ისევ რიაბინოვკას ქუჩა... მანქანა... დარეკვა... „ვოლვოში" მსხდომნი ყურადღებით უსმენდნენ და რატომღაც გახარებულები ჩანდნენ. ბოლოს ერთმა მათგანმა თქვა:

— რაზეა ლაპარაკი, ბიჭებო? რა თქმა უნდა, დაგეხმარებით, მაგრამ ფული ჯიბეზე არ გვაქვს, აგერ ორიოდე კვარტალში მივდივართ მანქანით და... მილიონს მოგცემთ... ჩვენ ექიმები ვართ. მე კოლია მქვია, ეს ივანია.

მანქანა გრძელ, რუხ შენობასთან შეჩერდა.

— წამო, მოგცემთ მილიონს, გაგიმართავთ ხელს... — უშნოდ გაიღრიჯა ივანი.

ალექსეი უხალისოდ გადმოძვრა მანქანიდან, კარგად ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა... იქნებ არ ღირდა ამ ტიპების აყოლა? მაგრამ თუ მართლა აძლევენ მილიონს?..

— შედი, რისი გეშინია, შედი, — ხელი ნაჰკრა ივანმა, — ხომ არ შეგჭამთ!

ოთახში მინის კარადები იდგა, ათასგვარი სამედიცინო ინსტრუმენტითა და ამპულით სავსე. შუა ოთახში, მაგიდაზე კონიაკი და სამი ჭიქა ეწყო.

— დალევ? სომხური კონიაკია, 30 წლიანი, დაყნოსე, ნახე, რა მაგარია...

ალექსეიმ სირჩა ცხვირთან მიიტანა და მექანიკურად გადაჰკრა.

— კარგი რამეა... ოღონდ, რაღაც უცნაური გემო აქვს... თუ... მეჩვენება...

— არ გეჩვენება, — გამოსძახა მეორე ოთახიდან კოლიამ, — კონიაკში ყველაზე სწრაფი მოქმედების დასაძინებელი წამალია გარეული. გვაპატიე, ძმაკაც!

— რაო?

— რას გეტყვი, იცი? ყველას თავისი მეთოდი აქვს ფულის კეთებისა. შენ კალინინგრადით აკეთებ ფულს. ჩვენ კი, ხომ გითხარით, მე ქირურგი ვარ, ივანი — ანესთეზიოლოგი. მერედა, რას ვიღებთ, გროშებს. აი, თუ კარგი კლიენტი შეგვხვდა, როგორც ახლა... სასწრაფო შეკვეთა გვაქვს.

— მერე მე რა შუაში ვარ? — ენა დაება ალექსეის, თვალებში ნისლი ჩაუწვა.

— შენ? შენ სულაც არ გვჭირდები, იქნებ, კარგი ბიჭიც ხარ, მაგრამ... მოკლედ, შენი თირკმელი გვჭირდება.

— ნუ გეშინია, კი არ მოგკლავთ, ერთი თირკმლითაც მშვენივრად იცხოვრებ. ლამაზად გაგკერავთ.

... ალექსეიმ ძლივს გაახილა თვალი. მიხვდა, სკვერში იწვა ხის მერხზე. თავზე საშა დონბასი ადგა. მეხსიერება ნელ-ნელა ილვიძებდა, მერე ფეხზე წამოიჭრა, წელზე იტაცა ხელი.

— დაწყნარდი, — საშა გაღიზიანებული ჩანდა, — შენი თირკმელი აღარავის სჭირდება... მომისმინე, გაიხსენე, მე და შენ ერთი შპრიცით გაგვიჩხერია ოდესმე?

ალექსეის სიმშვიდე დაეუფლა, სიგარეტს მოუკიდა და თითქმის მხიარულად ჰკითხა საშას.

— შენ როგორღა მიპოვე? არა, რა ნაძირალები იყვნენ!

— ახლა ყველა ნაძირალა გახდა. მიპასუხე, მე და შენ ერთი შპრიცით გაგვიჩხერია ოდესმე?

— აქ საიდან გაჩნდი?

— მე მოგათრიე, უკან გამოგყევი, დავინახე, გარეთ როგორ დაგაგდეს. თან გამაფრთხილეს. რა, მილიციაში ჩავუშვებდი თუ რა? მილიცია აქეთ მეძებს.

— აუ... რა ბედი მაქვს. ასანთი მომეცი...

— მაგარი ბედი გაქვს... ანალიზი გაგიკეთეს...

— მერე, სისხლის ჯგუფი არ მოეწონათ?

— სისხლის ჯგუფი კი არა, შიდსი გჭირს...

— რა თქვი?

— რა ვთქვი და შიდსი გაქვს-მეთქი. ვერ გაიგე? შენი ნაგავი თირკმელიც არავის სჭირდება. მომისმინე, გაიხსენო იქნებ, მე და შენ ერთი შპრიცი ხომ არ გაგვირჭვია?.. ხვალვე წავალ, ანალიზებს გავიკეთებ...

— შაყირობ? — იმედიანად იკითხა ალექსეიმ.

— რას ვშაყირობ! ხელი მოისვი, ყველაფერი ადგილზე გაქვს... წავედი... ხვალ ანალიზებს გავიკეთებ...

ალექსეი წამოდგა, საშას მიაშტერდა, მაგრამ იგი სწრაფად გასცილდა იქაურობას და წამში ნისლში დაინთქა.

— მოიცა, მოიცა, — ალაპარაკდა ალექსეი, — ეს რა გამოდის, ესაა კარგი დღე იყო-მეთქი რომ ვამბობდი? შიდსიო... აბსურდია, სისულელე. მაგრამ თირკმელი ხომ ადგილზეა. ე.ი. არ გამქრეს...

ჩაბნელებული სკვერი ალექსეი მაგომეტის ხარხარმა შეძრა, გამვლელებმა შიშით შეხედეს ეულად მდგარ ახალგაზრდა კაცს, რომელიც სიცილით იხრჩობოდა. კაშკაშა მთვარე დაჰნათოდა ჩაბნელებულ სკვერს და სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ხალხს, რომელსაც მხოლოდ საკუთარი პრობლემები აღელვებდა და აფიქრებდა...

## შავი ორშაბათი ნიუ-იორკის ბირჟაზე

### დოუ-ჯონსის ინდექსი 554,26 პუნქტამდე დაეცა, რა არის დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსი?

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ეს ძირითადი მაჩვენებელი 1884 წელს ფინანსისტმა ჩარლზ დოუმ მოიგონა. იგი ყოველ საბირჟო დღეს ფიქსირდება და ამერიკის 30 უმსხვილესი სამრეწველო კომპანიის აქციების საშუალო ღირებულების მიხედვითაა გაანგარიშებული. ამ კომპანიათა შორისაა: „ბოინგი", „შევრონი", „კოკა-კოლა", „მორგანი", „ჯენერალ მოტორსი"... იზრდება კომპანიის აქციები, იზრდება დოუ ჯონსის ინდექსიც.

თუ ეკონომიკაში ან საფინანსო ბირჟაზე რაიმე ცვლილება ხდება, ინვესტორები ცდილობენ, თავი დაიცვან შესაძლო უსიამოვნებებისაგან და იწყებენ იმ გიგანტების აქციათა გაყიდვას, რომლის ფასი ეცემა. აქედან გამომდინარე, დოუ ჯონსის მაჩვენებელიც ქვევით მიექანება.

**რითია გამოწვეული ახლანდელი კრიზისი?**

საბირჟო პანიკის „ეპიდემიის კერა" ჰონკონგშია. იქაური ვალუტის საკურსო ღირებულებასთან დაკავშირებულმა მანიპულაციებმა ჰონკონგის ბირჟაზე არასტაბილურობა გამოიწვია. ინვესტორებმა გადაწყვიტეს — ვაითუ, აზიურმა ბაზრებმა განვითარება შეაჩერონ და ამერიკულმა კომპანიებმა ნაკლები შემოსავალი მიიღონო და დაიწყო აქციების თავიდან მოშორების გამალებული კამპანია.

**როგორ აისახება ეს კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაზე?**

ადამიანს, რომელსაც აქვს ამ კითხვის პასუხი, თავი მილიარდერად შეუძლია ჩათვალოს. ერთი მხრივ, პესიმისტები წინასწარმეტყველებენ — დოუ ჯონსის ინდექსი კიდევ უფრო დაეცემა, ეს გამოიწვევს ამერიკული კომპანიების შემოსავლისა და სამუშაო ადგილების შემცირებას. მსგავსი პროცესები შესაძლოა, სხვა ქვეყნებშიც განვითარდეს. მეორე მხრივ, ამერიკის ფინანსთა მინისტრმა რობერტ რუბინმა თანამემამულეები დაარწმუნა, რომ აშშ-ის ეკონომიკური საფუძვლები მყარია და ქვეყანას წინსვლის პერსპექტივა აქვს. რაც შეეხება რუსეთს, ეს აჟიოტაჟი, ალბათ, მას თითქმის არ შეეხება, რადგან ჯერ საკმაოდ სუსტად არის ჩაწერილი მსოფლიოს ეკონომიკურ პრობლემებში.

*კომსომოლსკაია პრავდა №200*

## მაკაო სუვერენიტეტის შეცვლას აპირებს



ჩინეთი დიდი საჩუქრის მოლოდინშია. ჯერ ჰონკონგის დაბრუნებით გამოწვეული სიხარული არ განელებია და უკვე ახალს ელის. მის მფლობელობაში შევა უკანასკნელი პორტუგალიური კოლონია მაკაო (აომინი). ჩინეთ-პორტუგალიის 1987 წლის შეთანხმების თანახმად, ეს პაწაწა ნახევარკუნძული ისტორიულ სამშობლოს 1999 წლის დეკემბერში დაუბრუნდება.

თითქოს გაუგებარია, რა ინტერესს უნდა წარმოადგენდეს უზარმაზარი ჩინეთისათვის ერთი ბეწო, ნახევარმილიონიანი მოსახლეობის მქონე მაკაო? 1557 წელს პორტუგალიელი ვაჭრებისა და მისიონერების მიერ შექმნილი ეს ანკლავი, მთელი აზიის მასშტაბით, ერთ-ერთი ფინანსური გიგანტია. საკმარისია ითქვას, რომ ჩინეთის ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობით, ის მხოლოდ ჰონკონგს, ტაივანს, აშშ-სა და იაპონიას უთმობს პირველ ადგილებს.

მაკაოს ეკონომიკა სათამაშო ბიზნესსა და ტურიზმს ემყარება. ბრიტანელებისგან განსხვავებით, რომლებსაც გაუჭირდათ ჰონკონგთან გაშორება, პორტუგალიელები, როგორც ჩანს, თავიანთ ხვედრს შეურიგდნენ, კუნძულის მცხოვრებლებიც მშვიდად არიან. პორტუგალიის პრესაში ხაზგასმით აღინიშნა, მაკაოს ძირეულ მოსახლეობას 50 წლის განმავლობაში შეუძლია ჰქონდეს ყოფილი მეტროპოლიის პასპორტები. ეს კი, მათ გაუადვილებს ცხოვრებას არა მარტო პორტუგალიაში, არამედ მთელ ევროპულ კავშირში.

*ფინანსოვიე იზვესტია №78*

## რა უნდა იცოდეს საზღვარგარეთ საქმეზე მიმავალმა მენარმემ

**დანია**

მოსახლეობა — **5,2 მილიონი**

სახელმწიფო წყობილება — **მონარქია**

რელიგია — **პროტესტანტიზმი**

დედაქალაქი — **კოპენჰაგენი**





დანიაში უქმე დღეები თითქმის იგივეა, რაც მთელ დასავლეთ ევროპაში, გამონაკლისი 1 მაისი და შობის მეცამეტე დღეა. შვებულებებს ივნისის დამლევიდან იღებენ, ამიტომ საქმიან შეხვედრებს ამ დროს ნუ დანიშნავთ, რა თქმა უნდა, არც შობის კვირას.

დანიელები მუშაობას დილის 8.30 სთ-ზე იწყებენ და 16.30 სთ-მდე აგრძელებენ. შესვენება არა აქვთ. სხვათა შორის, ლანჩს საუზმეს ეძახიან, რაც სტუმარმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. საუბარში ერთმანეთს ტიტულით არ მიმართავენ, მხოლოდ ძალიან მოხუცსა და დიდ მოხელეს მოიხსენიებენ ბატონობით. ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩაცმულობის სტილს აქ მაინცდამაინც ყურადღებას არ აქცევენ, მხოლოდ მაღალ საზოგადოებაში იცვამენ ეტიკეტის შესაბამისად. ამის მიუხედავად, დანიელი ითხოვს, რომ ჩასული სტუმარი ოფიციალური სამოსით გამოცხადდეს მოლაპარაკებაზე. უპირატესობას იმ მეწარმესა თუ ბიზნესმენს ანიჭებენ, ვინც მოლაპარაკების კარგად ორგანიზებას შესძლებს. ვახშამზე მხოლოდ მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ მიგიპატიჟებენ. გოლფი ძალიან გავრცელებულია, მაგრამ მხოლოდ საუკეთესო მეგობრებს ეთამაშებიან, თუ კლიენტს შესთავაზეს, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი პატივისცემის გამოხატვა სურთ.

თუ საქმიანმა პარტნიორმა შინ სადილად მიგიწვიათ, ყვავილები ან შოკოლადი წაუღეთ. პირველ მისვლაზე სასმელის მიტანა სასურველი არ არის. სადილობისას ნუ ილაპარაკებთ საქმეებზე, ეს მიღებული არ არის, არც ჯამაგირზე, რელიგიაზეა სასურველი საუბარი. სხვათა შორის, დანიელებს ძალიან არ უყვართ, როცა უცხოელი ეხუმრებათ, სამაგიეროდ, თვითონ მშვენივრად ეხუმრებიან და გულიანად იცინიან. სადილის ან ვახშმის შემდეგ დიასახლისს მადლობა გადაუხადეთ (ჯობს, წერილობით). თუ თქვენ ეპატიჟებით პარტნიორს, რესტორანში შეგიძლიათ ცოლით დაპატიჟოთ.

დანიელები ბევრ ლუდს სვამენ, თავისუფალ დროს მოგზაურობენ, გოლფს, ფეხბურთს თამაშობენ. ჭამა ძალიან უყვართ და როგორც კი მიზეზი გაუჩნდებათ, მაშინვე დღესასწაულს მართავენ, ვერცხლის ქორწილი ან პირველი ზიარების ზეიმი შეიძლება რამდენიმე დღეს გაგრძელდეს.

*კალეიდოსკოპი №42*

## მსოფლიო მნიშვნელობის პროექტი

სომხეთმა, საბერძნეთმა და ირანმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას ტელეკომუნიკაციის დარგში. ეს არის მსხვილმასშტაბიანი პროექტი — ერთიანი ბგერით-ციფრული ტელეკომუნიკაციის ქსელის შემუშავებაზე, რომელიც მსოფლიოს 100 ქვეყანას გააერთიანებს. პროექტის საწყისი ფასი 125 მლნ დოლარს აღწევს. ტელეკომუნიკაციის ქსელი გააერთიანებს ევროპასა და აზიას შემდეგი სქემით — მაინის ფრანქფურტი — შანხაი (ჩინეთი).

*სეგოდნია №223*

## სავიზიტო ბარათის სიდიდის კომპიუტერი

ელექტრონულ ბირჟაზე, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობდა ტაიბეეში (ტაივანი), წარმოდგენილი იყო მოწყობილობა, რომელსაც მისი შემქმნელები მსოფლიოში ყველაზე პატარა პერსონალურ კომპიუტერს უწოდებენ. მისი სიმაღლე 8,5 სმ-ია, სიგანე — 5,4 სმ. სავიზიტო ბარათის სიდიდის კომპიუტერი ტაივანის სამრეწველო ტექნოლოგიის ინსტიტუტში დაამუშავეს და დაახლოებით 300 დოლარი ღირს.

*ფინანსოვიე იზვესტია №64*


ს/ს კომერციული ბანკი „ოლიმპი"
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №2
ტელ: 94-07-60; 94-07-61; ტელ/ფაქსი: 95-09-19

ბათუმი
ფარნაოზ მეფის ქ. 2
ტელეფონი: 7-50-26
ტელ/ფაქსი: 7-51-87

ბანკ „ოლიმპში" შეგიძლიათ განათავსოთ თქვენი დანაზოგები:
— შეიძინოთ ჩვეულებრივი 25 ლარიანი აქციები, ხმის უფლებით.
— მოათავსოთ ანაბარზე თქვენთვის სასურველი დროით და ხელსაყრელი პირობებით.
ჩვენ დავიბრუნებთ ბანკებისადმი დაკარგულ რწმენას

სამტრედია
შოთა რუსთაველის ქუჩა №2
ტელეფონი: 2-50-17


## გაიყიდება მსოფლიოში ყველაზე იშვიათი კონვერტი

20 ნოემბერს ციურიხში გასაყიდად გამოიტანენ კონვერტს, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი უიშვიათესი მარკა აქვს დაკრული („ფორთოხლისფერი ბენი"). ამგვარი კონვერტებით, 150 წლის წინათ მავრიკიის ბრიტანელი გუბერნატორის მეუღლე მეჯლისზე მისაწვევ ბარათებს უგზავნიდა სტუმრებს. ახლა მსოფლიოში მხოლოდ სამი ასეთი ბარათი დარჩა (აქედან — 2 ბრიტანეთის მუზეუმსა და სამეფო ოჯახს ეკუთვნის). კონვერტი ბატონი ადამსის — მავრიკიის ერთ-ერთი წარჩინებული ოჯახიშვილის ხელში იყო. მან კონვერტი 1899 წელს 17 ათას ფრანკად გაყიდა იმ პირობით, რომ კონვერტზე მის გვარს წაშლიდნენ. გვარი წაშალეს, მაგრამ ნაწილობრივ. ეს კონვერტი, ერთი ხანობა, რუმინეთის მეფე კაროლ II-ის კუთვნილება იყო, მერე მავრიკიული მარკების ყველაზე დიდი კოლექციის მფლობელს, იაპონელ ჰიროუკი კანაის ჰქონდა. 2 წლის წინათ მისი კოლექცია გაიყიდა, კონვერტი კი ანონიმმა კოლექციონერმა შეიძინა 1 მილიონ დოლარად. ახლა სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ თუ ბედმა გაუღიმათ, კონვერტში 2 მილიონსაც მიიღებენ, ყოველ შემთხვევაში, 1,7 მილიონ დოლარს მაინც.

*კომერსანტ დეილი №228*

## ნატოს ახალი წევრები „მომხმარებლები" არ იქნებიან

პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი, ნატოში შესვლის შემდეგ, ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებით, „ხარჯის ყველაზე დიდ ნაწილს" ერთმანეთში გაიყოფენ, — განაცხადა აშშ-ის სამხედრო სამსახურის შტაბის კომიტეტის მეთაურმა, გენერალმა ჰენრი შელტონმა. — ამ ქვეყნებს უნდა შეეძლოთ კოორდინირებული ოპერაციების ჩატარება ნატოს სხვა წევრ-სახელმწიფოებთან, აგრეთვე, ალიანსის მიზნების გაზიარებაცო. რაც შეეხება ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებულ აშშ-ის ხარჯებს, იგი წელიწადში 200 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ერთი მეათედი პროცენტია.

*სეგოდნია №233*

## დირიჟაბლი — ძველი ახალი ტრანსპორტი



გაზის მარაგით ყაზახეთს მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია. ცოტა ხანში ქვეყნის ქალაქებს თხევადი საწვავი მიეწოდება დირიჟაბლის საშუალებით. საუკუნის დასაწყისის ეს საჰაერო ტრანსპორტი მეტად ხელსაყრელია საბადოებიდან მეთანის გადასაზიდად. უკვე დაიდო კონტრაქტი ყაზახეთის ეროვნულ კოსმოსურ სააგენტოსა და „ტექნომარშის" კომპანიას შორის დირიჟაბლების მშენებლობის თაობაზე. კონტრაქტის ღირებულება 53 მლნ დოლარია. პროექტის ავტორია რუსეთის კოსმონავტიკის აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ოლეგ ჩემბროვსკი. დირიჟაბლის მოცულობა 60 ათასი კუბმეტრი იქნება. იგი იფრენს 2,5 კმ სიმაღლეზე, საათში 220 კმ სიჩქარით. მისი მართვა მოხდება კოსმოსურ-ნავიგაციური საშუალებებითა და თანამგზავრის კავშირგაბმულობის მეოხებით. მთელი სისტემის პროექტი 250 მლნ დოლარი დაჯდება. ეს ზღვაში წვეთია იმ შემოსავალთან შედარებით, რასაც თენგიზი — ალმა-ათის მილსადენი იძლევა — 3,5 მლრდ დოლარი.

ცივი მეთანი 130 . სიგრძის მასრებში ჩაიმუხტება, რადგან გაზი ჰაერზე მსუბუქია, მას დირიჟაბლი ძალზე იოლად წაიღებს.

*იზვესტია №203*

## დაკრძალვა ამერიკაშიც ძვირია

ამერიკელებს დაკრძალვის ცერემონია საშუალოდ 4800 დოლარი უჯდებათ. 10 წლის წინათ რიტუალური მომსახურება 1412 დოლარი ღირდა. ამიტომაც, ბევრი ამერიკელი, ვაითუ, კიდევ უფრო გაძვირდეს დაკრძალვაო, წინასწარ იხდის ფულს.

*ბუნტე*


გეპატიჟებით ირაციონალურ სამყაროში სამოგზაუროდ
ჩრდილების თეატრალიზებული შოუ-რესტორანი
"IRRATIONAL"
● პიკანტური შოუ
● მძაფრი შეგრძნებები
● სრული ინტიმური ატმოსფერო
● არაორდინარული სამზარეულო
დასაწყისი ყოველდღე, 6 საათზე
ბილეთები წინასწარი შეკვეთით
სიურპრიზი თქვენი საყვარელი მანდილოსნებისთვის!
ერთი 4 ადგილიანი მაგიდის ფასი — 50 ლარი (ბილეთების რაოდენობა შეზღუდულია — 5 მაგიდა)
შეკვეთებისა და დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 99-67-63
მის: გორგასლის №1 (ლესელიძის ბოლო, „მეიდანი")

შ.პ.ს. „აზია"-ში გაიხსნა სამთვიანი კურსები, რომელიც მის ქსელში არსებული სასტუმროებისთვის (თბილისში, ბათუმში, შოვში, ბორჯომში, ურეკში) მოამზადებს თანამშრომლებს: ადმინისტრატორი (20 ადგილი); რესტორნის მენეჯერი (10 ადგილი); ტექნიკური პერსონალის მენეჯერი (10 ადგილი); მზარეული (10 ადგილი); მზარეულის დამხმარე (10 ადგილი); მიმტანი (20 ადგილი); ბარმენი (10 ადგილი); შვეიცარი (10 ადგილი). მსმენელები შეისწავლიან: ინგლისურ ენას, ფსიქოლოგიას, სპეციალობას. კურსდამთავრებულები მიიღებენ სპეციალურ სერთიფიკატს და უზრუნველყოფილნი იქნებიან სამსახურით (მაღალი ანაზღაურებით) შ.პ.ს. „აზია"-ს ქსელში ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებში არსებულ სასტუმროებში.
სწავლების საფასურია 300 ლარი. სწავლება დაიწყება 10 ნოემბერს.
ცნობებისათვის მიმართეთ შ.პ.ს. „აზია"-ს ოფისს, კიევის ქ. №3
ტელ: 95-73-28, 96-45-42



# ძაღლური სიყვარული

ნორდი 5 წლისა იყო, როცა მაჩუქეს. ძაღლის სიცოცხლის ერთი წელი ადამიანის 7 წელს უდრის. ნორდზე ვერაფრით იტყოდი, ნამდვილი ძაღლიაო. ამ გერმანულ ნაგაზში, რატომღაც, მგლის თვისებები სჭარბობდა. დიდი თავი ჰქონდა, ჭკვიანი თვალები, მკერდზე თხელი ბეწვი, სირბილიც კი მგლური იცოდა — თავს ჩაჰკიდებდა და მიძუნძულებდა. ვერ მიეფერებოდი — საშიში იყო. თუკი ვინმე უხეშად დამელაპარაკებოდა, ან ხელს ამიქნევდა, მყისვე შეტევაზე გადადიოდა. ჩვენ მალე გავუგეთ ერთმანეთს. ნორდისა არ იყოს, მეც თავისუფალ დროს მიყვარს ტყეში ხეტიალი, სწორედ მაშინ დავმეგობრდით; ხშირად საჭმელსაც ერთი ჯამიდან ვჭამდით. როგორც ჩანს, მაშინ ჩამთვალა თავისიანად, თუმცა, ცდილობდა, მის ჭკუაზე მევლო. დავუშვათ, მე ჯდომა მინდოდა, მას კი — სეირნობა, ცხვირ-პირს სახესთან მომიტანდა და ისე მომაშტერდებოდა, რომ იძულებული ვიყავი, ავმდგარიყავი. თუ არ დავემორჩილებოდი, უთუოდ დაფლეთილი სამოსით მომიწევდა სიარული. ნელ-ნელა შევაჩვიე იმ აზრს, რომ პატრონი და მბრძანებელი მე ვიყავი.

ერთხელ, საშინელი სურდო დამემართა, მაღალი სიცხით გათანგული გაუნძრევლად ვიწექი ლოგინში. ნორდი გვერდიდან არ მომშორებია. შუბლზე რაღაც ცივი ვიგრძენი, თვალი ძლივს გავახილე, ნორდის ცხვირი იყო, შემდეგ უცბად წყლის ჭურჭლისაკენ გაიქცა, ისე ცუდად ვიყავი, რომ ძაღლის თავი არა მქონდა. თვალები ისევ დავხუჭე. უეცრად, გავარვარებული სახე დამისველდა, — იმ სულელს პირში წყალი დაეგუბებია და მასხამდა. ბალიში დამისველდა, ძალიან გავბრაზდი, წამოვუხტი და ძაღლს ჩხუბი დავუწყე. ის ძაღლური ერთგულებით მომჩერებოდა. უეცრად ამაკანკალა, საბანში ჩავძვერი. ნორდი ზემოდან დამაწვა. ასე ვიწექით 3-4 საათი. ნორდი ძალიან კმაყოფილი იყო თავისი საქციელით. მე კი სიცხემ დამიკლო.

# ჭიანჭველების ცივილიზაცია — ატა!

„ადამიანებს რომ ის ცოდნა ჰქონდეთ, რასაც პაწაწინა ჭიანჭველები მილიონი წელია ფლობენ, მაშინ უკვე რამდენიმე წელში შევძლებდით ყველაზე შორეულ ვარსკვლავსაც კი მივწვდომოდით“ — ეს წინასწარმეტყველება ცნობილ კრიპტზოოლოგ აივენ სანდერს ეკუთვნის. ადამიანს თავი სამყაროს გვირგვინად მიაჩნია, სხვა დანარჩენს კი უმცროს ძმებს უწოდებს, თუმცა, დადასტურებულია, რომ დელფინის ტვინი ბევრად უფრო რთული შედგენილობისაა, ვიდრე ადამიანისა.

რა ხდება? ნუთუ ბუნებამ გვაჯობა? ამერიკის ტროპიკებში არსებობს ჭიანჭველათა ცივილიზაცია — **ატა**. მწერთა ეს ჯგუფი დაჯილდოებულია ფენომენური თვისებებით. ატას მილიონიანი ქალაქი მიწისქვეშეთშია მოთავსებული. ხანდახან მისი სიღრმე 9 მეტრსაც აღწევს. აქაურთა ცხოვრება ძალზე რთული და საინტერესოა. ყოველ ჭიანჭველას თავისი საქმე აქვს. მუდამ ფუსფუსებენ, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ და ამასთან ერთად, ზემოთ, მიწის ზედაპირზეც ამოდიან და იქაურობას გულმოდგინედ აკვირდებიან. რასაც ახლა ვამბობთ, შეიძლება საოცრებად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს მართლაც ასეა, ატა დიდ ყურადღებას უთმობს მიწათმოქმედებას. მათ გამოჰყავთ ციცქნა სოკოს ჯიში. მიწის ზემოთ ყვავილების ფოთლებს აგროვებენ, რომლებითაც ქალაქში საწარმოებს აგებენ. არც მეცხოველეობას ჩამორჩებიან, ატყვევებენ მწერებს, რომელთაც მთელი ზამთარი თავისთან აცხოვრებენ. ამის საფასურად, მათგან რძისმაგვარ სითხეს იღებენ. ჩვენებურად რომ ვთქვათ, ძროხები ჰყავთ. დედა ჭიანჭველას ფეხმძიმობაში ძიძა უვლის, რათა ყველაფერმა კარგად ჩაიაროს და პაწაწინა ჭიანჭველა ბედნიერი მოევლინოს ქვეყანას.



დადგენილია, რომ ამ ბრმა ჭიანჭველათა შორის ინფორმაციის გადაცემა ისეთი სისწრაფით ხდება, რაც მრავალჯერ აჭარბებს მექანიკური მოძრაობის გადაცემის სიგრძეს და 5-6 კმ-ს აღწევს. როგორ ახერხებენ ეს უსინათლო ჭიანჭველები თავის გარშემო სიტუაციის შეფასებას? გზის მონაკვეთზე კონტროლის დაწესებას? როცა ჭიანჭველების ქალაქს რაიმე საშიშროება ემუქრება, ვთქვათ, ხანძარი, ან წყალდიდობა, დედა ჭიანჭველა მუშა ჭიანჭველების მიერ აგებულ ბეტონის საკანში გადაჰყავთ, რომელშიც მხოლოდ მსახური ჭიანჭველის შესასვლელია დატოვებული. თუ აქაც დედა-ჭიანჭველას რაიმე საშიშროება ელის, იგი აქაურობას ტოვებს და რამდენიმე მეტრით დაშორებულ სადგომს მიაშურებს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ატას ძალიან კარგად აქვს განვითარებული ტელეკომუნიკაციის სისტემა და ამის წყალობით ქმნის თავისი საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ნევრების ტელეპორტაციის სისტემას, რომელიც საგანგებო სისტემაში მაშინვე იწყებს მოქმედებას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ატა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ცივილიზაციაა. და თუკი ადამიანები შევძლებთ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენებას, მაშინ ატას მსგავსი ცივილიზაციის პატრონები გავხდებით, ამჟამად კი, ჩვენს ფეხქვეშ მობორიალე ატას ვერც კი ვამჩნევთ.

# კონდორი — ლეგენდა და სინამდვილე



ანდების მწვერვალების მეფე, ფრინველი-სიმბოლო, რომელიც ამშვენებს ბოლივიის, კოლუმბიის, ჩილესა და ეკვადორის ეროვნულ გერბებს, მრავალი ლეგენდის, სიმღერისა თუ თქმულების პერსონაჟი, პლანეტის ყველაზე დიდი ფრინველი — კონდორი გადაშენების პირასაა.

ჯერ კიდევ კონკისტადორების დროიდან, სამხრეთ ამერიკის მთის რაიონების მცხოვრებთა შორის შემორჩენილია თქმულება, რომ კონდორს შეუძლია გაიტაცოს ახალშობილი ბავშვი, ხბო ან კრავი. რა თქმა უნდა, ინდიელებმა კარგად იციან, რომ სინამდვილეში ეს ასე არ არის, ინდიელთა ბევრ ტომს შემთხვევით როდი მიაჩნია კონდორი წმინდა ფრინველად. სინამდვილესთან სრულიად შეუსაბამო ლეგენდებს საფუძვლად უდევს შთამბეჭდავი ფიზიკური მონაცემები, რომლითაც ბუნებამ დააჯილდოვა ეს ზვიადი ფრინველი. მოზრდილი კონდორის სიმაღლე 1,2 მ-ს აღწევს, წონა კი 12 კგ-ს. მისი გაშლილი ფრთების სიგრძე 3 მ-ია. შეუძლია ლეშის ძებნაში დიდხანს უფრინოს თავზე თავის სამფლობელოს. დღეში იგი 100 კმ-ს დაფრინავს. კონდორი სრულიად უვნებელი სანიტარი ფრინველია. მას ბრჭყალიც კი ატროფირებული აქვს. ლათინურამერიკელმა გლეხებმა კარგად იციან, როცა დოლის დროს მათ თავზე კონდორი დაფრინავს, იგი ნადირობას კი არ აპირებს, არამედ პლაცენტას ეძებს.

არც ისე დიდი ხნის წინ, კონდორს სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა მთიან რაიონში შეხვდებოდით. დღეს მისი ჭაჭანება არ არის კოლუმბიასა და ვენესუელაში, განადგურების პირასაა მისული ეკვადორში, ბოლივიაში, პერუსა, და ბრაზილიაში. კონდორების უმეტესი ნაწილი ცხოვრობს არგენტინისა და ჩილეს ტერიტორიაზე, მაგრამ ამ ქვეყნებში მცირდება მისი რიცხვი. კონდორის მოკვლა სრულებით არ არის ძნელი. ბუნებით ეს ფრინველი მეტად ცნობისმოყვარეა და არ ეშინია ადამიანთან მიახლოებისა.

ჩილეში უკვე რამდენიმე წელია, მოქმედებს კონდორებისა და იმ სხვა ფრინველთა სამკურნალო ცენტრი, რომლებიც დაშავდნენ ადამიანის ხელით ან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით.

არსებობს ანდების კონდორის გადარჩენის პროგრამა არგენტინაშიც. ბუენოს-აირესის ზოოპარკი ერთადერთია მსოფლიოში, სადაც ეს ფრინველი ინკუბატორში გამოჰყავთ. ეს აუცილებელია, თუნდაც იმ მიზეზით, რომ კონდორი მონოგამიური ფრინველია, ისინი სამუდამოდ წყვილდებიან და ორ წელიწადში ერთხელ ბარტყობენ ბუნებრივ პირობებში. ინკუბატორში გამოჩეკილი ბარტყების კვებისას იყენებენ სპეციალურ ფიტულებს, რომლებიც გამოსახავენ მშობელ ფრინველებს. სხვა შემთხვევაში, პატარა კონდორები მიეჩვევიან მომვლელ ადამიანს და დამოუკიდებლად ველარსად იცხოვრებენ ანდების იმ რაიონებში, სადაც მათ მერე უშვებენ არგენტინელი ზოოლოგები.

# გოლიათი მოლუსკები



ფილიპინების კუნძულებზე ადგილობრივმა მოსახლეობამ გაანადგურა გოლიათი ნიჟარიანი მოლუსკები, რადგან ადამიანის მკვლელები ეგონათ. მას შემდეგ ნიჟარიანთა ეს სახეობა არსად გამოჩენილა. არცთუ დიდი ხნის წინ, მეზღვაურები სოლომონის კუნძულების ახლოს წააწყდნენ გოლიათ ნიჟარებს, რომლებიც 1,40 მ-მდე იზრდება და ადამიანის სიცოცხლეს არ ემუქრება, რადგან ძალიან ნელია. მას ყბები ბოლომდე არ ეხურება, და ცხადია, ვერავის დაჭერას (მით უფრო, ადამიანისა) ვერ შესძლებს.

მეცნიერთა აზრით, ამ სახეობის ზღვის ცხოველების გამრავლება აუცილებელია, რადგან 6-7 წელიწადში 1 ჰა ზღვის ფსკერიდან 70 ტ მოლუსკის ხორცის მიღება შეიძლება.

მაგრამ კუნძულელებს კვლავინდებურად შიშის ზარს სცემს გოლიათი ნიჟარები და მათ მოშენებაზე სასტიკ უარს აცხადებენ.

# კენგურუც ეშმაკი ყოფილა

ავსტრალიის აბორიგენს, კენგურუს, მტერი თითქმის არ ჰყავდა, ვიდრე ადამიანმა არ იზრუნა ამაზე. სხვა კონტინენტებიდან ავსტრალიაში ჩაყვანილმა ძაღლმა დინგომ და მელამ საცოდავ კენგურუს დაუწყეს დევნა. ეს მშვენიერი ცხოველი, საფრთხის შემთხვევაში, თავს გაქცევით შველის ხოლმე, მაგრამ პატარებს სირბილი უჭირთ. თუ გაქცევას ვერ ახერხებს, კენგურუ უკანა ფეხებით ებრძვის მტერს და ისე მძლავრად ჩასცხებს, რომ შეუძლია თავი გაუჩეჩქვოს. ზოგჯერ ეშმაკობასაც მიმართავს. თუ ახლომახლო წყალსაცავი ეგულება, კენგურუ იქით გარბის, მდევარიც, რა თქმა უნდა, კვალში უდგას. კენგურუ წყალში ხტება, ძაღლიც თან მიჰყვება, მიახლოებულ მტერს კენგურუ წინა თათებით თავში სწვდება, წყალში აყურყუმალებს და მანამ არ მოეშვება, სანამ არ დაახრჩობს.

# მხსნელი ბეჰემოტი



აფრიკაში ბოტანიკოსთა საერთაშორისო ექსპედიციის ნავი მდინარის დინებას მიჰყვებოდა. უეცრად წყალში ნიანგები გამოჩნდნენ. ბელგიელი ანრი ბრისტენი მკვეთრად შემობრუნდა, თავი ნავის ძგიდეს ჩამოჰკრა, გონება დაკარგა და მდინარეში გადავარდა. მოულოდნელად ნიანგებმა მკვეთრად შეიცვალეს მიმართულება და უკან გაბრუნდნენ. იქ, სადაც ანრი ჩავარდა, წყალი აქაფდა, გამოჩნდა ვეება ბეჰემოტი და ანრის უსიცოცხლო სხეულისაკენ გაცურა, მოძებნა ფონი და ნავთან, ქვიშაზე, ფრთხილად დადო უგონო მსხვერპლი, თვითონ კი უკან გაცურა. როცა გონსმოსულ ანრის ყველაფერი უამბეს, იხუმრა: ბეჰემოტს, როგორც ჩანს, არ მოვეწონე და უკან გადმომაგდო, არ მწყინს, სამაგიეროდ, ცოცხალი ვარო.

# ფუტკრის ბუდეში მატრიარქატი სუფევს



დედოფლის განაყოფიერების შემდეგ მდედრი ფუტკრები მამრებს ატყვევებენ და თავით ტენიან ბუდის ცარიელ უჯრედში, საიდანაც გამოსვლას ვერ ახერხებენ და შიმშილით იღუპებიან.

ნიუ-იორკის ბიოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარების აზრით, მამრი ფუტკრების განადგურების შემდგომ, ჭუპრებს მეტი საკვები რჩებათ. ჭუპრებიდან გამოჩეკილი მდედრები დედებთან ერთად თავდაუზოგავად მუშაობენ. მამრები კი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ. ამიტომაც მდედრები მამრებს აცდიან სექსუალურ მოწიფულობამდე გაზრდას, როგორც კი მამრი თავის მოვალეობას შეასრულებს, მდედრები მაშინვე აღასრულებენ სასიკვდილო განაჩენს.

…ფრანგმა და შვედმა მკვლევარებმა ბრიტანულ სამეცნიერო ჟურნალ „ნეიჩურში“ გამოაქვეყნეს მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩერნობილის რაიონის მერცხლებმა ფერი იცვალეს და გათეთრდნენ. მეცნიერები ამ ფაქტს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარ ავარიის შედეგებს უკავშირებენ.

…ცისფერი ვეშაპი დედამიწაზე ყველაზე დიდი ცხოველია. მისი სიგრძე 33 მეტრია და წონა — 150 ტონას აღემატება, მოკლედ რომ გითხრათ, ერთად აღებულ 36 სპილოსა და 300 ძროხას უდრის. ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელაა? ახალშობილი ვეშაპი 6-7 მეტრია, დღეში დაახლოებით 5 ტონა საკვებს ნთქავს.

…ნიანგები ძალიან უცნაურები და საშიში არიან. ახალდაბადებულ ნიანგს, რომელიც ძალიან უმწეოდ გამოიყურება, შეუძლია თითი მოგაჭამოს, მაგრამ, თურმე, არსებობს ნიანგთა ერთ-ერთი ისეთი სახეობა, რომლის წარმომადგენელიც ზურგზე თუ დააწვინეთ, მაშინვე იძინებს, მაგრამ ამას ნუ შეეცდებით, სანამ ნიანგს ძილისპირულისთვის მოამზადებთ, შეიძლება შეგახრამუნოთ.

# ცხოველებსაც სცოდნიათ გრიპი

გრიპი მარტო ადამიანებს კი არა, ცხოველებსაც ემართებათ. ზუსტად ისეთი სიმპტომები აქვთ, როგორიც მათ პატრონებს. მოთენთილები არიან, ჭამის მადა ეკარგებათ, აცემინებთ, ცხვირიდან სდით. ნუ ეცდებით მათ მკურნალობას, აუცილებლად ვეტერინართან წაიყვანეთ. გახსოვდეთ, ცხოველები ზოგიერთ წამალს, მაგალითად, ასპირინს, ვერ იტანენ, ისე, შეგიძლიათ, ცხოველები დაიცვათ გრიპისაგან. თუ ოჯახში ვინმე ავადაა, ნუ მიუშვებთ მასთან ძაღლს ან კატას. ამის გარდა, ძაღლებისა და კატებისთვის არსებობს პროფილაქტიკური ვაქცინები, რომლებიც ზრდიან ვირუსის მიმართ მათი ორგანიზმის წინააღმდეგობას. გრიპსაწინააღმდეგო საშუალებებს განსაკუთრებით ეგზოტიკური ჯიშის ცხოველები საჭიროებენ.

*გვერდი მოამზადა ანი ილურიძემ*


## იაფად და ხარისხიანად!

დაგიმზადებთ:

ლითონის კარებს – 300 ლარი; „გარმოშკას“, 1კვ.მ – 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ – 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ – 50 ლარი

აგრეთვე ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ – 200 ლარი, აბაზანაში – შეკიდულ მინის ჭერს, 1კვ.მ – 120 ლარი, ფანჯრის მინის დაჭრა ბინაზე მომსახურებით.

მის: მუხიანი, მე-4 მ/რ მე-4 კორპ. ტელ: 63-67-52

## ფირმა მაქს-სერვისი

აცხადებს 4დან-12 წლამდე ასაკის ბავშვთა მიღებას სატელევიზიო პროგრამაში „მაქსი შოუ“ მონაწილეობის მისაღებად.



მის: ქ. თბილისი, შარაშიძის ქ. №2/4 (ყოფილი იაკობ ნიკოლაძის ქუჩა №9)
ტელ: 22-67-50

## თუ გსურთ სხეულის სრულყოფა

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი გთავაზობთ

ქალის მკერდისა და სახის დეფექტების (ტუჩის, ნიკაპის) კორექციას, მოცულობის გაზრდა და ფორმის შეცვლა; ცხვირტუჩისა და ცხვირშუბლის ნაოჭის გასწორება; ქვედა კიდურების (წვივისა და ბარძაყის) დეფექტების კორექციას უსისხლო მეთოდით, ბიოლოგიური ქსოვილშემცვლელის გამოყენებით. მანიპულაცია ტარდება ამბულატორიულად, უვნებელია და არ იწვევს გართულებებს. სხეულზე არ რჩება ნაწიბურები. კოსმეტიკური ეფექტი სამუდამოა. ანონიმურობა გარანტირებულია.



თბილისი, ყაზბეგის გამზ. №22, მე-4 სართ, ოთახი 2
ტელ: 39-14-69, 39-54-44

## მონაკოს პრინცესამ კვლავ მცველი შეიყვარა



კვლა დაბნეულია, ხოლო დაუოკებელი პრინცესას მამა — რენე II გაოგნებული. არც არის გასაკვირი: მხოლოდ ერთი წელი გავიდა სტეფანიასა და დანიელ დიუკრუას განქორწინებიდან. პრინცესას კი კვლავ ტრფიალების სენი შეყრია. მაგრამ ეს არ არის მთავარი. საქმე ის გახლავთ, რომ მას ახლაც თავისი მცველი შეუყვარდა. ახლობლებს ეგონათ, მწარე გაკვეთილის შემდეგ სტეფანია გაიზარდა, დაჭკვიანდა, დასერიოზულდა და თავს შვილების აღზრდას შესწირავსო, მაგრამ მისმა ჭირვეულმა ხასიათმა თავისი ქნა. მას ვერ წარმოუდგენია სიცოცხლე სიყვარულის გარეშე. ამჯერად, მისი რჩეულია ათლეტური აღნაგობის აჰმედი.

სტეფანიამ აჰმედი ზამთარში გაიცნო, პარიზში. შემდეგ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მონტე-კარლოში, გრიმალდების დინასტიის 700 წლის იუბილეზე, სადაც აჰმედი „ცისფერსისხლიანებს" იცავდა.

თუმცა, რომანი მოგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო. როგორ განვითარდება მოვლენები, არავინ იცის. თავის დროზე სტეფანიას და დიუკრუას ქორწინებას მამა — შვილიშვილების გამო დათანხმდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ სტეფანია კიდევ ერთ ან ორ შვილს გააჩენს აჰმედისგან.

ისე კი, ტყუილად არ შეარქვეს „პრინცესა-ქარიშხალი".

*ნედელია №39*

## ამერიკელებმა მსოფლიო გააცურეს?



1969 წლის 20 ივლისს მთელი მსოფლიო ტელეეკრანებზე თვალს ადევნებდა ნილ არმსტრონგის მთვარეზე ყოფნას. „როკუელ ინტერნეიშნლის" ყოფილი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობდა „მთვარის პროექტში", ამტკიცებს, რომ სინამდვილეში ეს ყველაფერი ხდებოდა გადაღებ მოედანზე, ლას ვეგასიდან 90 მილის დაშორებით. ჰოლივუდმა ნევადის შტატში შეიძინა უდაბნოსებური ნაკვეთი, შექმნეს დეკორაციები. ჩასვეს ასტრონავტები „აპოლონში" და შემდეგ უკან გადმოსვეს. ამ ხნის განმავლობაში ტელემაყურებელი ხედავდა „სატურნ-V"-ის გაფრენას ანტარქტიდის მიმართულებით (შემდეგ იგი წყალში ჩავარდა). ასტრონავტები კი თვითმფრინავით გადაიყვანეს ნევადაში, სადაც დროს საამურად ატარებდნენ კაზინოში...

„შოუს" დასასრულს, ასტრონავტები გადაიყვანეს აშშ-ის საჰაერო ძალების ბაზაზე, წყნარ ოკეანეში, მოათავსეს კაფსულში და შვეულმფრენებიდან გადაუშვეს წყნარ ოკეანეში. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მკაცრად გასაიდუმლოებული იყო.

ამის შესახებ მოთხრობილია ბილ კეიზინგის წიგნში — „მთვარეზე ჩვენ ვყოფილვართ — 30 მილიარდად ღირებული ამერიკული სიცრუე". წიგნი გამოვიდა რამდენიმე წლის წინ. ასტრონავტები კატეგორიულ უარს აცხადებენ ავტორთან პაექრობაზე. დუმილი კი თანხმობის ნიშანია.

*სკანდალი №20*

## მსუნაგი



ჯუდი ლანგრიში ოდესღაც ტანწერწეტა, თხელი და მომხიბლავი ქალიშვილი იყო და მამაკაცებს თვალს სტაცებდა. ახლა, 44 წლისაა, 120 კგ-ს იწონის, ძლივს დაბაჯბაჯებს, ვის არ მიაკითხა ჯუდიმ, მაგრამ ამაოდ, ვერავინ უშველა — ქალი ლამის, ყოველ საათს იმატებს. ამის მიზეზი კი ჯუდის უცნაური მიდრეკილებაა — ნაყინის გარდა, პირში არაფერს იკარებს. დღეში 300 დოლარის ნაყინს მიირთმევს.

„სუმოს მოჭიდავისა და ვეშაპის ნაჯვარს დავემსგავსე, რაც უფრო მზარავს ჩემი გარეგნობა, მით უფრო მეტ ნაყინს გეახლებითო, — ამბობს ჯუდი და „ტკბილ ნარკოტიკს" მსუნაგი თვალით უყურებს.

*ჟენსკიე დელა №10*

## ჩინელებს მოსწონთ პაპარაცი

ჩინეთმა დიდი ხანია, კარი ჩაუკეტა „დასავლეთის გამხრწნელ გავლენას", პარტიული პრესა ახალგაზრდობას ბურჟუაზიული იდეოლოგიისგან სრულ განწმენდას უქადაგებდა. ჩინური ლოგიკა აბსოლუტურად განსხვავდება ევროპულისგან. პაპარაცები, რომლებიც ბოლო დროს მთელმა დასავლურმა სამყარომ გაინაპირა, ჩინელთათვის სასურველნი და საყვარელნი გახდნენ. მოსწონთ მათი მუშაობის მეთოდი. უმრავლესობის აზრით, სწორედ რეპორტიორებმა აქციეს ლედი დი „სახალხო პრინცესად", მათი შემწეობით შეიტყო მსოფლიომ მისი კეთილი გულისა და არაჩვეულებრივი თვისებების ამბავი. „ჩვენთან, სამწუხაროდ, ასეთი თავისუფლება არ არის, ამიტომაც გათავხედდნენ ჩვენი მაღალჩინოსანი მოხელეები. პაპარაცები — საზოგადოების კონტროლიორები არიან, ისინი რომ არა, მოხელეები სულ დაკარგავდნენ სინდისსა და კორუფცია უფრო აყვავდებოდა", — ამბობენ ჩინელები.

პაპარაცებზე „ჩინური შეხედულება" მალე გავრცელდა პრესაში. გაზეთი „ცეფან ჟიბაო" წერს: „ჩვენი ხელმძღვანელები პარტიულ კრებებზე სიტყვით ხალხს კოშკებს უგებენ, საქმით კი თავიანთ ჭიას ახარებენ. ლიმუზინებით დაქრიან, უხვ სუფრასთან ილხენენ, ქალებს თავს დასტრიალებენ. ასეთ სიტუაციაში პაპარაცები ზნეობის მქადაგებლის როლში გამოვლენ. ისინი განსაკუთრებული „ყნოსვით" აგნებენ „მათ" — „ხალხის მსახურებს", რომლებიც ხალხის ხარჯზე მდიდრდებიან, და საჯაროდ გამოიტანენ მათ საგმირო საქციელს", — დასძენს გაზეთი.

*სეგოდნია №223*

## როგორ ვისარგებლოთ სუნამოთი

სუნამომ თქვენი გუნება-განწყობილება უნდა წარმოაჩინოს, ამ ფაქიზ საქმეში მხოლოდ თქვენი გემოვნება დაგეხმარებათ.

თქვენ პარფიუმერიის მაღაზიაში მიხვედით. იქვე უნდა გასინჯოთ სუნამო. დაიმახსოვრეთ, სუნის აღქმის 3 სპეციალური ფაზა არსებობს. პირველს მაშინვე იგრძნობთ, გახსნით თუ არა ფლაკონს, უმჯობესია, უსუნოთ სპეციალურად სუნამოწასმულ ქაღალდს ან პარალონს. მაშინ თქვენ სუნის მეორე ფაზას დაიჭერთ. ის დაგეხმარებათ ორიენტირებაში.

მესამე ფაზის მოხელთება ცოტა ძნელია. ის განსაზღვრული დროის შემდეგ აღიქმება. ზუსტად იგი ქმნის იმ ჯადოსნურ ნიშნს, რომელიც ქალს ყოველთვის უნდა ახლდეს.

სუნამოს ბევრს ნუ იპკურებთ, გამაღიზიანებელია. უმჯობესია, დღეში რამდენჯერმე ცოტა-ცოტა დაინამოთ. ყველაზე დიდხანს სუნს ინარჩუნებს საფეთქლების, ყურის ბიბილოს არე, თმა და კეფა, შალისა და ბეწვეულის ნაწარმი. ნუ შეურევთ ერთმანეთს სხვადასხვა სუნამოს.

*ტრუდი-7 №198*

## კათოლიკები შიფერს ბოიკოტს უცხადებენ



ჩილელი კათოლიკების ჯგუფი მოითხოვს, კინოფესტივალის პროგრამიდან ამოიღონ რეჟისორ ფერარას ფილმი „BLACK AOUT", რომელშიც თამაშობს სუპერმოდელი კლაუდია შიფერი. ფილმი ლესბოსურ სიყვარულს ეხება.

ამ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებმა გააფრთხილეს ფესტივალის ორგანიზატორები, რომ თუ ფილმს მაინც უჩვენებენ, ისინი, პროტესტის ნიშნად, ჩაშლიან სეანსს.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №143*

## ორთაბრძოლა სტუდიაში



სი-ბი-ეს-ის შოუში „60 წუთი" ბევრ ცნობილ ადამიანს მიუღია მონაწილეობა, ხშირად ცხარე კამათიც გამართულა, მაგრამ ბობი კენედის შვილების — ჯოს და მიქაელის მონაწილეობით, შოუ ნამდვილ ბრძოლის არენად იქცა. „60 წუთი" პირდაპირ ეთერში მიდის და მას მილიონობით ადამიანი უყურებს. აქ ყოველთვის დაუფარავად საუბრობენ იმაზე, რაც ხშირად ოჯახურ საიდუმლოებას წარმოადგენს. სწორედ ასეთმა გულახდილობამ, ჯო და მიქაელი ჯერ რესპექტაბელურ პიროვნებებად აქცია, შემდეგ კი ხულიგნებად... ისინი ეკრანის წინ ჯერ ერთმანეთს წაეკამათნენ და მერე გინების კორიანტელი დააყენეს. მიქაელმა ჯოს წამოსძახა, — 14 წლის მოსწავლეებთან გქონდა ინტიმური კავშირიო. გაცეცხლებულმა ჯომ მიქაელის საცემრად გაიწია. ისეთი გაწამაწია ატყდა, რომ ტელეწამყვანმა კამერის გამორთვა ბრძანა. ძმები ერთმანეთს რომ მართლაც სერიოზულად დაეტაკნენ, მეორე დღეს გადაღებული სურათიც ადასტურებს, სადაც ჯოს მზის სათვალე უკეთია (რომელსაც ის არასდროს ხმარობს) და მარჯვენა ხელი თაბაშირში აქვს ჩასმული.

*ნიუზუიქ, 27 ოქტომბერი*

## ნაპოვნია პაპის განძი

ლონდონში, „ქრისთის" აუქციონზე გამოტანილ ამ საგანძურს ერთი საუკუნე დაეძებდნენ. ხომალდი „გენერალი აბატუჩი" მარსელიდან ჩივიტავეკიაში (რომის მახლობლად) მიცურავდა. საფრანგეთის ეკლესია ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდა პაპ პიუს IX-ს, 70 წლისთავთან დაკავშირებით. ხომალდი, კორსიკის მახლობლად, ნორვეგიის ხომალდს დაეჯახა და ჩაიძირა. რამდენიმე ადამიანი და, მათ შორის კაპიტანი, გადარჩნენ. მათ „გენერალ აბატუჩის" ჩაძირვის ადგილი სწორად ვერ მიუთითეს. ამიტომ ხომალდს დიდხანს ამაოდ ეძებდნენ. ახლახან, აკვალანგისტებისა და თანამედროვე რობოტების შემწეობით, როგორც იქნა, მიაკვლიეს. მის პოვნას ისიც აძნელებდა, რომ ზღვის ფსკერზე, ამ რაიონში უამრავი გემია. მიუხედავად წყალში ათეულწლობით ყოფნისა, ხომალდიც და განძეულიც ხელუხლებელივითაა.

*კომსომოლსკაია პრავდა №203*

## ასოციაცია



**თარაზულად:** 3. მაიმუნი, შრომა; 6. საქმის გარჩევა, „დეზერტირები"; 8. ფურცელი, თეძო, 11. გოლი, კამერა; 12. ლაშქრობები, მცხეთა; 13. შემოდგომა, ყურძენი; 16. ჩაპაევი, მეავანაძე; 17. ფული, ბრუნვა; 18. კოლონკელიძე, განდეგილი; 19. ექსკურსია, მართვის მოწმობა; 22. დოლარი, ჟვანია; 27. წვნიანი, ტრაპეზი; 28. „კოქტეილი", ნიკოლ ქიდმანი; 29. „კასრი", თოფი; 30. მავზოლეუმი, კურანტი; 32. სასტუმრო, ილია ჭავჭავაძე; 34. ბორია, არარა.

**შვეულად:** 1. ცარცი, ტაბლო. 2. ნარიყალა, „გუბერნსკი". 4. ტორტი, ეკლესია. 5. რაიკომი, მისალები. 7. სარმა, კვანტი. 8. შხამი, მედიცინა. 9. მუშამბა, თამადა. 10. კონიაკი, ხუროთმოძღვრება. 14. რეაქცია, კოლბა. 15. პარლამენტი, პოლონეთი. 20. სითხე, პლასტმასი; 21. ბეშქენი, ბექა. 23. წყალი, ქალაქი. 24. სუფსა, ქურა. 25. პელე, რასიზმი. 26. ავიაცია, მეზღვაური. 31. მაია წყნეთელი, სახარება. 33. სეტყვა, ავლაბარი.

შემდგენელი გოგა ჩანადირი

© თბილისი, 1997

წინა ასოციაციის პასუხები:

თარაზულად: 1. პასტა. 3. წვიმა. 5. მატადორი. 8. პანტა. 9. სიონი. 11. ატომი. 12. იუნგი. 13. ნათურა . 18. „ელიზი". 19. ტაიგა. 20. ძაღლი. 22. ტაქსი. 26. ბაკულა. 27. წნევა. 29. სკალა. 31. „ისკრა" 32. ერაყი; 33. სპარტაკი. 34. ატამი. 35. აფიშა.

შვეულად: 1. პეპელა. 2. ამინდი. 3. წითელი. 4. არწივი. 6. ტრამვაი. 7. ორატორი. 8. პლომბი. 10. იანუსი. 14. თერძი. 15. სირია. 16. შტატი. 17. ცაცია. 21. ლუმელი. 23. ქოთანი. 24. ხაშლამა. 25. პლანეტა. 27. წიწილა. 28. ანკესი. 29. სტატია. 30. ანტენა.

## დავუბრუნოთ საფრანგეთს

## დაკარგული ეროვნული საგანძური

ამბობენ, ექიმმა, რომელმაც წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის გვამი გაკვეთა, ცდუნებას ვერ სძლია და ყოფილ იმპერატორს, ვითომდა, აგებულების შესასწავლად, ასო მოაჭრა. სინამდვილეში კი, თურმე, ძველი წყენის გამო, სამაგიერო გადაუხადა... ეს იშვიათი ინტიმური საგანი 1924 წელს ნიუ-იორკის აუქციონზე შეიძინა ისტორიული კურიოზების კოლექციონერმა ექიმმა ჯონ ლატიმერმა და ჟურნალ „კოლამბიაში" ასე აღწერა: „თითის სიგრძე, გამხმარი და მუმიფიცირებული". ასომ დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ცნობილი იყო ნაპოლეონის დაუდგრომლობა სასიყვარულო ურთიერთობის დროს.

ლატიმერის არაჩვეულებრივმა ექსპონატმა არა მარტო ნიუ-იორკის სამედიცინო ცენტრის უროლოგიური განყოფილების ინტერესი გამოიწვია, არამედ „საუკუნეებში გადაკარგული პენისის" — ეპოპეის შემქმნელი ჯონ ვერნონისაც.

ახლახან გარდაცვლილი ცსს-ის დირექტორი უილიამ კოლბი აღშფოთებული იყო ამერიკის მიერ ამ ფასდაუდებელი რელიკვიის მითვისებით. დროა, დაუბრუნდეს საფრანგეთს ეროვნული განძი, რომელიც კანონით ფრანგ ხალხს ეკუთვნისო, — ამბობდა იგი.

*მეგაპოლის-ექსპრესი №38*

## კანიბალები ხეებზე ცხოვრობენ



დღემდე უცნობ კაციჭამია კომბაების ტომს არავითარი კონტაქტი არ ჰქონდა გარე სამყაროსთან. ისინი სახლობენ პაპუა-ახალი გვინეის ჯუნგლებში. მათ ა.წ. ივლის-აგვისტოში წააწყდა რუს მეცნიერთა ექსპედიცია. კომბაები პალმის კენწეროებზე აგებენ საცხოვრებელს და დაცულნი არიან მტაცებელი ცხოველებისაგან. კომბაებმა სტუმართმოყვრულად მიიღეს რუსები და არც ერთი მათგანი არ შეუჭამიათ. ასე რომ, ამიერიდან კომბაებს თვით რუსეთშიც კი ეყოლებათ ნაცნობები.

*სკანდალი №20*

# ანდრეი კონჩალოვსკის ტკივილი და ნეტარება



*ცნობილმა კინორეჟისორმა ანდრეი კონჩალოვსკიმ (ნიკიტა მიხალკოვის ძმა), თავისი ტელე-სერიალის, „ოდისეას“ ათენში პრემიერის წინ ფეხი მოიტეხა. „ობშჩაია გაზეტას“ კორესპონდენტმა ისარგებლა ამ მდგომარეობით და შინ ეწვია ძალზე მოუცლელ ხელოვანს, რომელიც უცნობილესი მშობლების შვილია — დედამისი დიდი რუსი მხატვრის, სურიკოვის შვილიშვილი და მხატვარ კონჩალოვსკის ქალიშვილი იყო. (პაპამისმა, თავადმა კონჩალოვსკიმ, კატეგორიულად მოითხოვა, რომ დაბალი წარმოშობის სიძის გვარის — მიხალკოვის ნაცვლად, შვილიშვილს კონჩალოვსკის გვარი ეტარებინა). გთავაზობთ ინტერვიუდან ამონარიდს.*

**— დედა თქვენთვის ქალის იდეალი იყო?**

— ჰო, ალბათ, გაუცნობიერებლად. უმისოდ სიცოცხლე არ შემეძლო. როცა საბჭოთა კავშირი დავტოვე, მხოლოდ იმის მეშინოდა, რომ ველარასდროს ვნახავდი. ვიდრე მამაკაცს, სწორედ მამაკაცს, დედა ჰყავს, ობოლი არ არის. როცა ვხედავ ხოლმე, ჭარმაგი კაცები დედას მოწიწებით ექცევიან, სითბო მეღვრება გულში.

**— როცა საბჭოთა კავშირში არასასურველი პერსონა იყავით, მაშინაც კი დედის დაბადების დღეზე და ახალ წელს ჩამოდიოდით მოსკოვში და პაპის, პიოტრ კონჩალოვსკის მიერ 1909 წელს ნაყიდ ფეხსაცმელს იცვამდით. ჩემთვის ეს შტრიხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პათოსით ალსავსე ლაპარაკი სამშობლოს სიყვარულზე.**

— აბა, დააკვირდით, როგორ ტრანსფორმაციას განიცდის დედისადმი ბავშვის სიყვარული. როცა პატარას ეკითხებიან, რატომ გიყვარს დედაო, ის უპასუხებს, — მასზე კარგი არავინ არისო. როცა ხანი გიმატება, დედის ნაკლს ამჩნევ, მაგრამ მაინც ძველებურად გიყვარს. სამშობლოსადმიც ასეთი დამოკიდებულება მაქვს.

**— საკუთარ თავს კარგად იცნობთ?**

— არა, რას ბრძანებთ?! ვცდილობ, შევიცნო. ის კი შემიძლია გითხრათ, რომ მინდა, როგორმე თავი დავაღწიო საკუთარ პერსონაზე დიდ წარმოდგენას. როცა სხვა ქვეყანაში ცხოვრობ და მუშაობ (ა. კონჩალოვსკი, ძირითადად, ამერიკაში ცხოვრობს და იღებს ფილმებს), ხედავ, რომ იქ არავისთვის არაფერს ნიშნავ. ეს კი გაფხიზლებს და ზრდის იმპულსს გმატებს.

**— სიყვარულზე რას იტყოდით?**

— სიყვარული და სექსი სხვადასხვა რამაა. ეროტიკა უსიყვარულოდაც არსებობს. ყოველ შემთხვევაში, მამაკაცისთვის ასეა. დღეს ქორწინების ინსტიტუტი თავის ფუნქციას კარგავს, განსაკუთრებით — დასავლეთში. ალბათ, ამის მიზეზი ის არის, რომ დღეს ქალი, სამწუხაროდ, სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება.

**— სამწუხაროდ?**

— ჩემი აზრით, ქალი დამოუკიდებელი არ შეიძლება იყოს თავისი ბიოლოგიის გამო. ძუძუთა ბავშვი ყოველ ოც წამში დედის სახეს ეძებს. დედის სახის დანახვა მას სიმშვიდეს მატებს. ისიც ხომ ფაქტია, რომ არაჩვეულებრივი ფორმულით შექმნილი რძის ფხვნილიც კი — უვარგისია. ინდოეთსა და ნორვეგიაში სხვადასხვაგვარი ანტისხეულები არსებობს. ინდოელი ქალის რძე ბავშვს ქოლერისა და დიზინტერიის საწინააღმდეგო იმუნიტეტს უმუშავებს, ნორვეგიელი ქალისა კი-მზის სხივების ნაკლებობას უნაზღაურებს.

**— ბევრი ქალი გყოლიათ? ისინი გტოვებდნენ თუ თქვენ შორდებოდით?**

— ასეც იყო და ისეც. ორივეს ტკივილი მოჰქონდა, მაგრამ დრო ყველაფერს კურნავს, ერთის გარდა — შვილები. ისინი ხომ არაფერში არიან დამნაშავე.

**— ამბობენ, ნასტასია კინსკი სულ კუდში დასდევდა კონჩალოვსკისო...**

— ნასტასიასთან არასოდეს მქონია რომანი, პარიზში ძალიან დამეხმარა. მერე გადავიღე ფილმი „მარიას საყვარლები“.

**— გადასაღები მოედანი აახლოებს დამდგმელს მსახიობთან?**

— რა თქმა უნდა, ძალიან! მსახიობს რასაც მინდა, იმას გავაკეთებინებ. შესაძლოა, გარეგნულად ეს სიყვარულს ჰგავდეს. მაგრამ რომანს — არავითარ შემთხვევაში. გადასაღებ მოედანზე ხშირად ხდება ხოლმე ასე: ვთქვათ, მსახიობ ქალს მხარზე ხელს მოხვევ ან ყურში რამეს ჩასჩურჩულებ, რომ ითამაშოს, ისე როგორც გსურს... თუმცა ეს ადრე უფრო ხდებოდა. ახლა სხვაგვარად ვმუშაობ. ისე, გასაკვირი არ არის, რომ პარტნიორების ურთიერთობა გადაღებების შემდეგაც გრძელდება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის ასეა.

**— ეტყობა, ისევ ყარიბი ხართ, სიყვარულშიც...**

— დიახ, ყარიბი ვარ, მოგზაური. საქმე ის არის, რომ ჰორიზონტი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა. თუ პერსპექტივა არ არის, თანაც ყველაფერში, სიცოცხლე ჩემთვის უინტერესო ხდება. რამდენჯერმე მეგონა, რომ დავწყნარდი... მაგრამ, არა. შევნატრი ხალხს, რომლებსაც ამ მხრივ ყველაფერი მოწესრიგებული აქვთ. მაგრამ ეს იშვიათობაა.

**— ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა შირლი მაკლეინმა დიდი როლი ითამაშა თქვენს ცხოვრებაში?**

— შირლიმ გამაცნო იმ წლების ამერიკის ელიტა — ფრენკ სინატრა, კერი გრანტი, ბარბრა სტრაიზანდი... ვარსკვლავებს შორის აღმოვჩნდი, მაგრამ როგორც ეკლესიასტე ამბობს, რაც მეტი იცი, სევდაც მეტად გეძალებაო. შირლის წყალობით ბევრი ილუზია გამიქრა საკუთარ თავზე, ამერიკულ საზოგადოებაზე.

**— ტელესერიალში „ოდისეა“ ისმის სიტყვები — „ღმერთის გარეშე ადამიანი არაფერია“. ეს თქვენი აზრია?**

— დიახ. ღმერთის გარეშე ადამიანი ცხოველად იქცევა.

***ობშჩაია გაზეტა №42***

# კიმ ბესინჯერი: ჩემი ქმრისთვის მსოფლიოში ყველაზე ნაკლებ სექსუალური ქალი ვარ

არა, ალეკ ბოლდუინი არ გაგიჟებულა! ისევ თავდავიწყებით უყვარს მეუღლე და მორიგი ქათინაურიც უძღვნა. ალეკისთვის კიმი ასჯერ უფრო მშვენიერია, ვიდრე ცნობილ „ცხრანახევარ კვირაში“ იყო. ამჟამად, მათი გოგონა ორი წლისაა და კიმს კვლავ კინოში თამაში სურს. ახალ ფილმში, „L.A. CONFIDENTIAL“, რომელიც 40-იანი წლების ჰოლივუდის ტრადიციული დეტექტივების სტილის თრილერია, მან ბრწყინვალედ წარმოაჩინა ოსტატობაც და დამაბრმავებელი სილამაზეც.

კიმის აზრით, იგი სრულებითაც არ არის სექს-სიმბოლო, ეს სახელი ისეთმა ხალხმა შეარქვა, მას სრულებით რომ არ იცნობდა. კიმს ყოველთვის ხიბლავდა 30, 40 და 50-იანი წლების კინოვარსკვლავები, ოღონდ უფრო დიდებული გარეგნობის გამო და არა სექს-იმიჯისთვის. მაშინდელი მსახიობები ხომ შესანიშნავად მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მშვენიერი აქტიორები, დიდი პროფესიონალები იყვნენ. დღეს, სამწუხაროდ, მსახიობები ძალიან დაშორდნენ იმ ეპოქის იდეალებს, ქალებისათვის საოცნებო როლები იშვიათად იწერება. ახალ ფილმში კიმმა სიამოვნებით მოისმინა ძველებური „მოტორი“ და „გადაღებულია“. ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს შვილის დაბადების შემდეგ პირველ ფილმში მონაწილეობით. კიმმა გაიხსენა, რომ „ცხრანახევარი კვირა“ უკვე 11 წლისაა, მაგრამ იგი დღესაც ხიბლავს მაყურებელს. კიმი მაშინ ძალზე მოკრძალებულად ცხოვრობდა, არც ბეწვეული ჰქონდა, არც სამკაულები, მანქანა, ნახატები, სახლი. ალეკ ბოლდუინი ხშირად ეუბნება, — ქვეყანაზე ყველაზე ნაკლებად სექსუალური ქალი ხარ, ნეტავი, როგორ გითხოვეო. „ალბათ, როცა მთხოულობდა, ეგონა, მაქმანებიან საცვლებში გამოწყობილი ქალი ყოველ საღამოს დღესასწაულს გაუმართავდა, მე კი დაწოლამდე ღამის პერანგს ვიცვამ“...

17 წლის კიმი ჯორჯიის უნივერსიტეტში შევიდა, მაგრამ მხოლოდ ერთ წელს გაძლო, მერე კი მანეკენობდა, თუმცა, ახლაც არ იცის, რამდენად გონივრული იყო ეს გადაწყვეტილება. კიმი ბროდვეისთან ახლოს ცხოვრობდა, სადაც შეისწავლა სიმღერა და ცეკვა, დღესაც ოცნებობს მუსიკალურ კომედიაში მონაწილეობაზე. მაგრამ მისი ცხოვრების წესს 2 წლის აირლენდი განსაზღვრავს. კიმს კინოს ყველა როლზე მეტად, დედობა ხიბლავს. თავისი ბავშვობიდან კი კიმს უფრო ხშირად ყინულიანი ჩაი ახსენდება და დედის სიტყვები ჩაესმის: „გააკეთე რაღაცა, თუნდაც — ცუდი“.

2 წლის განმავლობაში შინ ჯდომამ დახელოვნებულ მზარეულად აქცია. თვითონაც გურმანს, ძალიან სიამოვნებს მეგობრების სადილად დაპატიჟება. ვერ იტანს ხორცს, თევზეულს კი სიამოვნებით შეექცევა. კიმი გარემოსა და ცხოველების დაცვის რამდენიმე ასოციაციის წევრია.

***პარი მატჩი №2525***

# ცოტა რამ „ებრაელ უსაქმურზე“



სტივენ ფრაი ბავშვობიდან თაყვანს სცემდა ოსკარ უაილდს და ახლა, 40 წლის მსახიობისთვის, დიდი მწერლის როლის თამაში ისეთივე ბუნებრივი და ჩვეულებრივი საქმეა, როგორც სუნთქვა. ფრაი უაილდის ზღაპრებით გაიზარდა, ზეპირად იცოდა ნაწყვეტები მისი ნაწარმოებებიდან. ამ ვიქტორიანელ დენდს განსაკუთრებით პატივს სცემდა იმ ოსტატობისათვის, რომლითაც იგი ახერხებდა იუმორით ეთქვა უფრო მეტი სიმართლე, რასაც სხვა სერიოზული ტირადებით ვერ შესძლებდა.

ლამაზი და ელეგანტური ბრაიან გილბერტის ფილმი, რომელშიც უაილდი, ერთი მხრივ, კეთილი, გულუხვი მამაა და მეორე მხრივ — ექსტრავაგანტული დენდი, რომელიც ახალგაზრდებისა და მშვენიერებისადმი ლტოლვით გამოირჩევა. ცნობილ მწერალს ყოველთვის გარს ეხვივნენ საეჭვო რეპუტაციის ჭაბუკები. საბედისწერო გამოდგა მისი დაუფარავი სიყვარული ლორდ ალფრედისადმი (ფილმში მის როლს ჯუდი ლაუ ასრულებს). ჰომოსექსუალიზმი მაშინ კანონით ისჯებოდა და 1895 წელს მწერალს 2 წლით იძულებითი სამუშაო მიუსაჯეს. ამის შემდეგ, იგი ძალიან მალე, 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. „უაილდმა თავისი დროის მორალი და ესთეტიკა ყირაზე დააყენა,“ — ამბობს ფრაი.



ფრაი სერიოზულად ეკიდება თავის როლს. მსახიობი ტანმაღალია, მაღალი შუბლი და სკოლის მოსწავლის ღიმილი აქვს. ოღონდაც ძალიან აწუხებენ „ბუზღუნა უაილდ-სპეციალისტები, რომლებიც დიდი მონდომებით მამოწმებენ, მაქვს თუ არა ზუსტად ისეთივე ვარცხნილობა, როგორც ოსკარ უაილდს ჰქონდა, მწერალივით ვილიმი თუ არა, იმავე მარკის სიგარეტს ვეწევი თუ არა, და მაპატიეთ, პიკანტური სხეულის ნაწილებითაც ვგევართ ერთმანეთს თუ არა“. მსახიობი ირწმუნება, რომ ამგვარ წერილებსაც იღებს: „საყვარელო მისტერ ფრაი, სინამდვილეში უაილდი ქალი იყო. ეს ბებიაჩემისგან ვიცი, რომელთანაც მას ლესბოსური კავშირი ჰქონდა“.

ფრაი მარტო მსახიობი კი არა, მწერალიცაა. უყვარს კომიკური სიტუაციების რომანის ფაბულად გამოყენება.

ახალგაზრდობაში ფრაი ტომპსონთან ერთად კემბრიჯის სცენაზე გამოდიოდა, სატელევიზიო სკეტჩებს დგამდა. ფრაი თავის თავს „ებრაელ უსაქმურს“ უწოდებს.

ერთხელ, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულმა, თავის მოკვლა გადაწყვიტა და ეს მშობლებს წერილით შეატყობინა. მაგრამ ხუთი დღის შემდეგ ოჯახს დაურეკა, „ნამდვილი ბრიყვი ვარ“, — უთხრა და ბოდიში მოუხადა. მერე იმკურნალა.

„ხშირად ვფიქრობ იმ აფორიზმზე, რომელსაც ერთი ხანშიშესული პროფესორი თავის ახალგაზრდა მეგობრებს ეუბნებოდა: — ნუ ცდილობთ, იყოთ ძალიან ჭკვიანები. აქ ჩვენ ყველანი ძალიან ჭკვიანები ვართ. ეცადეთ, იყოთ თავაზიანები, ოდნავ თავაზიანები“, — ამბობს სტივენ ფრაი.

***შტერნი №43***

# რუსი კლეოპატრა

თინა ორსკაია (ლიტერატურული ფსევდონიმია) ერთ-ერთ თავის ეროტიკულ ნოველაში წერს, — მივეჩვიე „ლოგინისა და მამაკაცების ცვლასო“. ეს ქალბატონი ცნობილია იმით, რომ არც ერთი საყვარელი არ შერჩენია — ყველა დაეღუპა. პეტერბურგელი მკურნალის სერგეი ლაზარევის აზრით, ეს ორსკაიას უძლიერესი ტემპერამენტის ბრალია. „თავდაპირველად, სნაიპერივით ვითვლიდი პარტნიორებს, ორ ათასს რომ მივაღწიე, თვლას თავი დავანებე“, — ყვება თინა. არ გეგონოთ, რომ ორსკაია პირველსავე შემხვედრს ნებდებოდეს, მისი კოლექცია ნატიფი და დახვეწილია. ცნობილი პოლიტიკოსი თუ მხატვარი, მწერალი თუ უცხოელი, სახელმწიფო მოღვაწე, სხვადასხვა დარგის მეცნიერი... თინასთან ვნებიანი ჩაკონების შემდეგ ბევრი მათგანის სიცოცხლე ჩაიფერფლა...



ორსკაია საინტერესო პიროვნებაა. სწავლობდა მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტში. ბრწყინვალედ ლაპარაკობს გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად და თურქულად, არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი ტანვარჯიშში, მარჯვე მოფარიკავე, მოცურავე, მოჯირითე, ნებისმიერი იარაღის ჩუბინი მსროლელი.

„მამაკაცებს არაფერი აშინებთ“, არც მისტიკური საყვარელი „კლეოპატრა“ — თინა. ორსკაიას ვნების მსხვერპლთა სიაში პირველი მოხვდა მისი მეუღლე, ცნობილი პროკურორი — ვიაჩესლავ ორსკი. მას მიჰყვნენ ანასტას მიქოიანის ვაჟი — ალექსეი, ქართველი ლიტერატორი, კრიტიკოსი გურამ ასათიანი, ცნობილი მხატვარი იური გუროვი და მრავალი სხვა. სწორედ გუროვის სიკვდილის შემდეგ დაიწყო თინამ თავისი დამღუპველი, მწველი თვისებების გაცნობიერება. ფაქტობრივად, ის და გუროვი მხოლოდ ერთი ღამის საყვარლები იყვნენ... მხატვარს მეგობრებმა სიურპრიზი მოუწყვეს, — მის გამოფენაზე გერმანიიდან თინა მოიწვიეს. ქალი ფეხაკრეფით მიუახლოვდა იურის, თვალებზე ხელი ააფარა და ნასჩურჩულა, — გამოიცანი, ვინა ვარ!.. მხატვარმა უმალ მიუგო: — „შენგან ყოველთვის საოცარი სიცივე მოქრის“.. სურათები გადაიღეს, შეხვედრაც დათქვეს...

ერთი კვირის შემდეგ თინას ტელეფონში გაისმა საბედისწერო საყვედური: „ნუთუ, არ მოგბეზრდა ახლობლების იმქვეყნად გამგზავრება? გუროვი გარდაიცვალა“. იმ წუთიდან ქალის არსებაში მოხდა რაღაც საკვირველი ცვლილება, რასაც დღეს მთელ მსოფლიოში „თინა ორსკაიას ფენომენი“ ეწოდება. იგი გრძნობდა, ურთიერთობისას, უნებლიეთ, როგორ სდებბდა პარტნიორში „სიკვდილის პროგრამას“. ორსკაიას აზრით, თუ ვინმე უნდა მომკვდარიყო და არ მოკვდა, მაშასადამე, მის ნაცვლად სხვა დაიღუპა. ამიტომ ხშირად ეკითხება ექიმებს, — მომაკვდავს ვის ხარჯზე უბრუნებთ სიცოცხლესო.

ორსკაიას გარდაცვლილი საყვარლები 40-42 წლისანი იყვნენ. ეს საბედისწერო ასაკია. ამ დროს ადამიანის ორგანიზმი ცილოვანის მაგიერ სხვა ენერგეტიკული საკვებით საზრდოობს. ეს ცვლილებები განაპირობებს იმას, რომ ადამიანები 40 წლის შემდეგ ახალ სექსუალურ პარტნიორებს ეძებენ, რასაც ხშირად გარყვნილებას მიაწერენ, სინამდვილეში კი ეს გადარჩენისთვის ბრძოლაა. ხანშიშესული მამაკაცისთვის სიყვარული სექსი კი არ არის, არამედ ენერგიის წყარო — ბიოლოგიური პარტნიორის მეშვეობით.

თინა ორსკაია საერთაშორისო ენერგოინფორმაციულ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობს. შემუშავებული აქვს უბედურების, კატასტროფის, მკვლელობის თავიდან აცილების მეთოდები, ეხმარება სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს. დასავლეთში ცნობილია ეროტიკული რომანების სერიალებით. მისი საყვარელი აფორიზმებია: — „ქალს ისეთი სამოსი უნდა ეცვას, რომ მისი გახდა სასიამოვნო იყოს“. თავისი ფენომენის საიდუმლოს ნახევრად ხუმრობით ასე ხსნის: „ჩემში უთვალავი რჩეული მამაკაცის სპერმაა არეული, დასკვნა თქვენ გააკეთეთ“.

რა არის ამის მიზეზი, არავინ იცის, მაგრამ ორსკაიას შესაძლებლობები რომ უნიკალურია, ფაქტია. იგი ერთი ხელის მოსმით „ხსნის ინფორმაციას“, ხელების განსაკუთრებული მოძრაობით და, რაც მთავარია, ახალდაკრეფილი ყვავილების მეშვეობით „წყვეტს ინფორმაციას“, ანუ ტრაგედიას არიდებს ადამიანს. „საკუთარ თავზე ვიღებ ნეგატიურ ინფორმაციას, მე შევძელი საყვარლებთან დაკავშირებული ტრაგიკული მოვლენების ჯაჭვის გაწყვეტა“, — ამბობს ორსკაია, ლიტერატორი თუ მედიუმი — ეს ჩემი ორი ნახევარია. როდესაც სექსუალურად ვკმაყოფილდები, სიყვარულზე ვიწყებ წერას. სიყვარული და სიკვდილი — ერთი მედლის ორი მხარეა, სიყვარულს მხოლოდ მცირე ხნით ვეწყმით, სიკვდილს — სამუდამოდ“.

***კომსომოლსკაია პრავდა №205***

# ქართული ფეხბურთის ამბები



მართალია, გასულ კვირაში არც ერთ ქართულ გუნდს რაიმე სერიოზულ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ჩვენი ფეხბურთისა და ფეხბურთელების გარშემო, საინტერესო ბევრი რამ მოხდა.

ყველაზე შემაშფოთებელი ცნობა მანჩესტერიდან მოვიდა. გიორგი ქინქლაძე ავარიაში მოყვა და საავადმყოფოში ამოყო თავი. „ფერარი", რომელსაც ქინქლაძე მართავდა, მანჩესტერის აეროპორტის მახლობლად, დამუხრუჭებისას მოცურდა და ძელს შეასკდა. როგორც საინფორმაციო სააგენტოებმა გადმოსცეს, მანქანა ისე დაზიანდა, რომ ფეხბურთელს ძლივს მოუხერხებია გადმოსვლა. მადლობა ღმერთს, გიოს სერიოზული არაფერი დაშავებია და უახლოეს დღეებში ვარჯიშსაც შესძლებს.

ლატვიიდან ბევრად სასიამოვნო ინფორმაცია მოვიდა. საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელი, რეზო ძოძუაშვილი ლატვიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. ძოძუაშვილი უკანასკნელი წლების განმავლობაში შედეგიანად ავარჯიშებდა ქვეყნის ჩემპიონს — რიგის „სკონტოს". ლატვიაში ფეხბურთი ალმავლობას განიცდის და ეროვნული გუნდის ჩაბარება ჩვენი მწვრთნელისათვის დიდი პატივია. ალბათ, ლატვიელებმა უფრო სწორი ნაბიჯი გადადგეს დღეს, ვიდრე რვა თვის წინ ჩვენი ფეხბურთის მესვეურებმა, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ძოძუაშვილი არ დანიშნეს.

ამასობაში, დავით ყიფიანმა და მისმა „დინამომ" შეგვახსენა თავი. პორტუგალიაში დამარცხების შემდეგ, ჩვენი ჩემპიონი ქიათურას ესტუმრა და ვერც იქ ივარგა. „მაღაროელთან" ფრეს დასჯერდა, რასაც ისე გაუცოფებია „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომ ერთ-ერთი თანამსაჯისათვის სახეში იდაყვი ჩაურტყამს და მთელი მატჩის მანძილზე უშვერი სიტყვებით უგინებია ხან მთავარი არბიტრი და მისი ამალა, ხანაც ქიათურელი მაყურებელი. მოკლედ, ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში სადმე ჩხუბი და აყალმაყალი თუ ატყდება, თორემ სხვა საინტერესო არაფერი ხდება.



ყოველივე ამის მოწმე კი, თბილისში მყოფი უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი გახლდათ. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ჩვენთან მიმდინარე საფეხბურთო მოვლენებით მაინცდამაინც არ დაინტერესებულა და როგორც თავად განაცხადა, საერთაშორისო წითელი ჯვრის პროგრამის განსახორციელებლად ჩამოვიდა საქართველოში. ამ ორგანიზაციის თანამონაწილე კი, უეფაც გახლავთ. პრესკონფერენციაზე, რომელიც „შერატონ პალასში" გაიმართა, იუჰანსონმა განაცხადა, რომ ევროპაში სულ 5-6 გუნდის მიმართ აქვს დიდი სიმპათია, მათ შორის, ჩვენი „დინამოსადმი". ეტყობა, იუჰანსონს „დინამოელთა" ბოლოდროინდელი მატჩები აღარ უნახავს.



## ყურადღება!

**მიხეილ სუმბაძის** მცენარეული ნაყენი, ღრძილების ელექსირი „მკურნალი სუმბაძე", მოთავსებულია 0,5ლ და 0,33ლ ტევადობის ჭურჭელში და დაცულია საფირმო ნიშნით.

შეგახსენებთ დანიშნულებას: ღრძილების შესიება, ჩირქისა და სისხლის დენა, უსიამოვნო გემო და სუნი პირის ღრუში, ღრძილების ანთება (გინგივიტი), პარადონტოზი, სტომატიტი, ჩირქოვანი გლანდები, ყელის კატარი, ბრონქების ანთება, ბრონქების გაწმენდა ნიკოტინის დანალექებისაგან. პრეპარატი „მკურნალი სუმბაძე" ნებადართულია ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ.

მის.: მეტრო „მარჯანიშვილი", დავით ალმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოს სიღრმეში), მწვანე აფთიაქი „ცისანა", 11-18 საათამდე, კვირის გარდა.

ყურადღებით დააკვირდით წარწერას აფთიაქზე
იკითხეთ პირადად ცისანა სუმბაძე

# ტაისონი მოტოციკლით ამოტრიალდა

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კრივში მაიკ ტაისონი ავარიაში მოჰყვა თავისივე მოტოციკლით. პატარა ქალაქ მანჩესტერში, თავის სახლის მახლობლად სეირნობისას, ტაისონი სილიან გზაზე გადავიდა, მოტოციკლი ველარ დაიმორჩილა და ამოტრიალდა. იგი მაშინვე ჰოსპიტალში მოათავსეს და დადგინდა, რომ სპორტსმენს რამდენიმე ნეკნი ჰქონდა გატეხილი. ექიმები ამტკიცებენ, რომ მისი მდგომარეობა სტაბილურია და ეს ტრავმა არანაირად ხელს არ შეუშლის მის სპორტულ კარიერას. ტაისონს, ცნობილი სკანდალის გამო, ისედაც აკრძალული აქვს რინგზე გამოსვლა, საუკეთესო შემთხვევაში, ერთი წლით მაინც.



# არიგო საკის ნიგერიელები ეპატიჟებიან

ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ მიწვევა გაუგზავნა ცნობილ იტალიელ სპეციალისტს არიგო საკის და ქვეყნის პირველი ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზა. საკიმ საკითხის გადაწყვეტისათვის რამდენიმე დღე ითხოვა. შეგახსენებთ, რომ ნიგერიელებს უკვე მოპოვებული აქვთ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური. იტალიური პრესის აზრით, „დიდი კომბინატორი" მიწვევაზე უარს განაცხადებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საკიმ ინგლისური არ იცის და ფეხბურთელებთან ურთიერთობა თარჯიმნის საშუალებით მოუწევს. გარდა ამისა, იგი ძლიერ უფრთხილდება თავის რეპუტაციას, უკვე რამდენიმე ხელსაყრელ წინადადებაზე თქვა უარი. შესაძლოა, იტალიის ნაკრებში დაბრუნებაზე ფიქრობს.

# გაიმართა პირველი მატჩები

ოთხშაბათს გაიმართა ევროპის ჯგუფებში მეორე ადგილზე გასულ გუნდთა ურთიერთშორის შეხვედრების პირველი რაუნდი. ყველაზე დიდ ინტერესს, ბუნებრივია, რუსეთ-იტალიის მატჩი იწვევდა და იმ გულშემატკივრებს, ვინც შიშობდა, ვაითუ, იტალია ჩემპიონატზე ვერ მოხვდესო, შეუძლიათ, შვებით ამოისუნთქონ, ყოველ შემთხვევაში, ორი კვირით მაინც. ფრე, რომელსაც აპენინელებმა მოსკოვში — თოვლში, ყინვასა და ქარბუქში ატალახებულ მინდორზე მიაღწიეს, მათ ნამდვილ გმირობად უნდა ჩაეთვალოთ, თანაც სტუმრად გატანილი გოლიც ბევრს ნიშნავს. საპასუხო მატჩის წინ იტალიელთა შანსები გაცილებით დიდია, ვიდრე რუსებისა, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ნაკრები საკმაოდ ამოუცნობი გუნდია და მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.



საინტერესო წყვილი იყო ხორვატია-უკრაინა. ხორვატებმა აშკარად აჯობეს იოჟეფ საბოს გუნდს. 2:0 — ეს ის შედეგია, რომელიც თავად ხორვატთა ნაკრების მწვრთნელის სიტყვებით რომ ვთქვათ, საფრანგეთში გამგზავრების გარანტიაა, თუმცა, საეჭვოა უკრაინამ უბრძოლველად დაყაროს ფარ-ხმალი. ირლანდია-ბელგიის მატჩი ბელფასტში ფრედ — 1:1 დასრულდა. საკუთარი მოედნის უპირატესობა მომავალ თამაშში „წითელ ეშმაკებს" ექნებათ. რაც შეეხება მეოთხე წყვილს, აქ ყოველგვარ შანსებზე ზედმეტია ლაპარაკი. იუგოსლავებს შეგვიძლია, ახლავე მივულოცოთ ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. სავიჩევიჩის გუნდმა სტუმრად 7:1(!) მოუგო უნგრელებს, რომელთა ასეთი დონის შეხვედრაში მონაწილეობა თავიდანვე მოულოდნელი გახლდათ.

# მშვიდობით! — ამბობს მარადონა



მსოფლიო ფეხბურთის სუპერვარსკვლავმა დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ საბოლოოდ გამოემშვიდობა სპორტს. მსგავსი განცხადება არგენტინელისათვის არც პირველია და, ალბათ, არც უკანასკნელი. აქამდე მარადონა ოთხჯერ „დაემშვიდობა" ფეხბურთს, მაგრამ შემდეგ ხან გულშემატკივრების, ხანაც ოჯახის წევრების თხოვნით ისევ გადიოდა მინდორზე. როგორც თვითონ ამბობს, მას ცხოვრებაში ხელს უშლის „შავი ხელი", რომელიც მუდამ თან სდევს. 29 ოქტომბერს მარადონას 37 წელი შეუსრულდა, მაგრამ გულშემატკივართა აზრით, იგი ბრწყინვალე ფორმაშია და მის გარეშე მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი სანახაობრივ მხარეს დაკარგავს.

# დიეგოს ზარეზიმაც მიბაძა

მილანში გაიმართა ფრანკო ბარეზის გამოსათხოვარი მატჩი, რომელშიც „მილანი" მსოფლიო ვარსკვლავთა ნაკრებს შეხვდა. „მილანმა" 5:1 მოიგო, ბარეზიმ 85-ე წუთზე დატოვა მინდორი, მაყურებელმა არნახული ოვაციები უძღვნა ვეტერანს, რომელიც მთელი საფეხბურთო კარიერის მანძილზე, მხოლოდ და მხოლოდ, „მილანის" ერთგული იყო და სხვა კლუბში არც უთამაშია. ორივე გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ როგორც თანამედროვე, ისე ახლო წარსულის ვარსკვლავები. „მილანის" შემადგენლობაში თავი შეგვახსენა ლეგენდარულმა ჰოლანდიურმა ტრიომ: გულიტი, ვან ბასტენი და რაიკარდი ძველებურად ბრწყინავდნენ, მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში ზიკომ, პაპენმა, სანჩესმა და ვიალიმ ითამაშეს.

# სასარგებლო რჩევები

**თავის ტკივილის,** სურდოს, ხველების, სიცხის, ტანში მტვრევის შემჩნევისთანავე ნახევარ ჭიქა წყალში გახსენით 5 წვეთი იოდი და დალიეთ. ფეხები დაიზილეთ არყით (თუ დასველებული გაქვთ), ჩაიცვით თბილი წინდები. დაწოლის წინ დალიეთ (ცაცხვის ყვავილის, ანწლის ან ჟოლოს) ცხელი ჩაი, თბილად ჩაწექით.

**როცა სურდოს გამონადენი** ახლავს, ძილის წინ დაისუფთავეთ ნესტოები და გამოისვით თბილი კარაქი. გაიმეორეთ ეს პროცედურა დილით. სამი დღის შემდეგ სურდო გაივლის.

**თუ ყელში ფხაჭნას** გრძნობთ, დაუყოვნებლივ მოწუწნეთ ლიმონის ნაჭერი. ერთი საათის განმავლობაში ჭამა არ შეიძლება, რათა ეთეროვანმა ზეთმა გაასუფთაოს ყელის ლორწოვანი გარსი. პროცედურა გაიმეორეთ 3-4 საათის შემდეგ.

**ანგინის დროს** მიიღეთ ხახვის წვენი 1 ჩაის კოვზი 3-4-ჯერ დღეში. კარგია, აგრეთვე, 1 ჭიქა წითელი ჭარხლის წვენისა და 1 სუფრის კოვზი ძმრის ნარევი. გამოივლეთ 5-6-ჯერ დღეში. შეიძლება ცოტა მოსვათ კიდეც.

**როცა ხველა გაწუხებთ,** 1 კვირის მანძილზე უზმოზე მიიღეთ გოგლიმოგლი, მასში აურიეთ 2 სუფრის კოვზი რომი ან არაყი. კარგია თანაბარწილად რძეში არეული ბოლოკისა ან სტაფილოს წვენი, 6-ჯერ დღეში.

*ექსპრეს-გაზეთი №40*

**ერიდეთ პლასტმასის ბოთლებს** — იგი შეიცავს ძალზე ტოქსიკურ, კანცეროგენულ ნივთიერებას — აკრილონიტრილს. მისი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე თითქმის კალიუმ-ციანიდის მაგვარია და მთელ ორგანიზმს წამლავს. რაც უფრო დიდხანს ინახება პროდუქტი პლასტმასის ჭურჭელში, მით უფრო იმატებს ნიტრილების რაოდენობა. ამერიკელი მეცნიერების ვარაუდით, ამგვარი ჭურჭლის ხშირი ხმარება სიცოცხლეს 9 წლით მაინც ამცირებს. მისი ხელმეორედ გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. განსაკუთრებით საშიშია ბოთლში ცხელი წყლის ჩასხმა, რადგან აკრილონიტრილი იხსნება ცხელ წყალში. უკიდურეს შემთხვევაში, პლასტმასის ჭურჭელი მხოლოდ ტექნიკური სითხისათვის გამოიყენეთ.


სქოლიოზები, კიფოზები (ხერხემლის გამრუდებები), რადიკულიტები, ოსტეოქონდროზები (მარილები), ვერტებრული სინდრომი (თავის ტკივილები, ყურებში შუილი, თავბრუსხვევა), მეწალისებური და ქათმისებური გულ-მკერდი.

**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით.**



მობრძანდით 15სთ- დან 19 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, კატასტროფების საავადმყოფოში, 1 სართ. ტელ: 95-46-47, 72-06-14. მკურნალობის ანაზღაურება შესაძლებელია გადარიცხვითაც.

ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური



მამაკაცებსა და ქალებს სთავაზობს

სექსუალური დარღვევების და ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკას, მკურნალობას. როგორიცაა:

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის, პირველი საქორწინო ღამის პრობლემები.
2. სქესობრივი ლტოლვის და სიამოვნების განცდის დაქვეითება ან გაქრობა.
3. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
4. მცირე ზომის სასქესო ასო (მიკროპენისი), ფიმოზი, პარაფიმოზი, მოკლე ლაგამი.
5. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
6. დეპრესია, ძილის დარღვევები, აკვიატება, შიშები, ენერგეტიკული დაქვეითება.

თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოთერაპევტები

ანონიმურობა გარანტირებულია

მიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-16 საათამდე
მიღება შეიძლება წინასწარი ჩაწერით
ტ. 29 34 39
მისამართი: თბილისი, ვაკე, ი. ქავჭავაძის გამზ. 5, ყოფ. ლენკომბინატი მე-2 სართული, კაბინეტები: 17, 18, 19

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მიერ შექმნილი და გამოცდილი საგვარეულო წამლებით, მცენარეული მალამოებით მკურნალობს:
- თმის ძირების გამაგრებას საპნითა და მცენარეებით
- კანის სოკოვან დაავადებებს
- ფეხის თითების ქავილს
- ფრჩხილების სოკოს
- ქავილს კანის სხვადასხვა ადგილებში

ეფექტი გარანტირებულია პირველივე დღიდან. კურსი 10-დღიანია
მ „მარჯანიშვილი", ალმაშენებლის პროსპ. №115
აფთიაქი „ფანასკერტელი".
იკითხეთ პირადად ლომთათიძე

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს

პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით". პროსტატის ტრანსურეთრული სტიმულაცია ევროპის კლინიკებში დანერგილი და აპრობირებული თანამედროვე მკურნალობის მეთოდია, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არა აქვს. პროცედურები უმტკივნეულოა, ხელმისაწვდომი. გამოკვლევები და კონსულტაციები უფასოა.

მეცნიერებათა აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. №21-ე (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ-მდე

ხერხემლის და გულმკერდის დეფორმაციებს, სქოლიოზებს, კიფოზებს, ქათმისებურსა და მეწალისებურ გულ-მკერდს, ტანადობის დარღვევას, ოსტეოქონდროზს, კისრისა და გავა-წელის რადიკულიტებს, სახსრების ართროზებს (მარილები), მოტეხილობის შემდგომ ნარჩენ მოვლენებს მკურნალობენ

კონსულტანტი, ევერტობროლოგი, ორთოპედი, ტრავმატოლოგი, დოცენტი გ. ალგოროვი და პროფესიონალი მანუალისტი, მასაჟისტი ფ. ლაპიცკი.



ალმაშენებლის პროსპ. №115
მიღება ყოველდღე 11-19 სთ-მდე
ტელ.: 94-06-15
შესაძლებელია ბინაზე გამოძახებაც
ანგარიშსწორება ნებისმიერი

## XX საუკუნის ჯადოქრები

ველესი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში გავიცანი, იგი XVII საუკუნის რუსულ ხელნაწერს კითხულობდა. შინ მიმიწვია. ოთახში ყველგან ეწყო უცნობი სითხით სავსე კოლბები, ქილები, ტყავგადაკრული ხელნაწერები, წიგნები, ძველებური ხატები, ათეულობით გაშავებული თავის ქალა. კარადაში მონაზვნისსამოსიანი მუმია იდო, ფანჯრებზე სქელი ფარდები იყო ჩამოფარებული, ირგვლივ სანთლები ენთო. ველესმა მითხრა, — შავ მაგიას მივდევო. მისი კლიენტებიც ვნახე. ერთი კარგად ჩაცმული შუახნის ქალი მოვიდა. მას შვილის პრობლემის მოგვარება სურდა — უკმაყოფილება ჰქონია რძალთან. მოიტანა რძლის ფოტო, თმის რამდენიმე ბეწვი და საცვლის ნაკუწი. ველესმა ეს ყველაფერი სპილენძის დიდ ტაფაზე დადო, მოასხა ბაზმა, მოაყარა ყავისფერი ფხვნილი, რაღაც წაიჩურჩულა და ასანთი გაჰკრა. ერთი წამით მომეჩვენა, რომ სურათზე ქალს რაღაც ძლიერმა ტკივილმა გადაუარა სახეზე.



მეორე კლიენტმა თავისი ქმრის მდივნის სურათი მოიტანა და უთხრა — იგი ხუთი თვის ფეხმძიმეა, არ მინდა ბავშვი ეყოლოსო. ამჯერად, ველესმა სამი ნემსი ჩაურჭო მუცელში ქალის ფოტოს, მესამემ მოღალატე შეყვარებულის დასჯა სთხოვა. ხომ არ გინდათ დაგიბრუნოთ? — ჰკითხა ველესმა. არა, მოჰკალით! — იყო პასუხი. ველესმა ვერცხლის ლანგარზე დადო ფოტო, მოასხა რაღაც სითხე. სურათი უმალ გაშავდა.

ერთი კვირის შემდეგ ქალმა ამბავი მოიტანა, — იგი თავის მანქანაში დაიწვაო და რამდენიმე ასდოლარიანი კუპიური მოუტანა. ველესმა მშვიდად აიღო გასამრჯელო.

ველესი კუბოში იძინებდა და ამბობდა, ეს უკვდავებას მანიჭებსო.

მას შემდეგ აღარ გავკარებივარ. ველესს ახლაც ვხედავ ბიბლიოთეკაში. ფურცლავს ძველ ტყავგადაკრულ ფოლიანტებს და რაღაცას იწერს სქელ რვეულში.

*სკანდალი №20*

## კუდიანი ბიჭუნა



კლინიკაში ძალიან უყვართ სალვადორ ალმადოვარი (რომელიც იქ მშობლებმა მიიყვანეს საოპერაციოდ), — იგი მომხიბლავი და საყვარელი ბიჭუნაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სიხარულისაგან კუდს აქიცინებს ხოლმე.

დაბადებისას 2,5 სმ. სიგრძის კუდი ჰქონდა, ახლა — 15 სმ-ის. ზოგმა ალმადოვარი ეშმაკისეულად მიიჩნია, მაგრამ დედამისი დარწმუნებულია, რომ მისი ბიჭუნა ნამდვილი ანგელოზია და კუდიც ღვთისაგან აქვს ნაბოძები. მამას თავდავიწყებით უყვარს შვილი და მისთვის სულ ერთია, კუდიანი იქნება თუ უკუდო. ოპერაცია კი ბიჭის მომავლისთვისაა აუცილებელი. ექიმ ემილიო არაგონის აზრით, ასეთი ატავიზმი შეინიშნება მცირე აზიაში, ჩინეთსა და ინგლისში დაბადებულ ბავშვებში. კვიპროსზე ცნობილია კუდიანების მთელი ოჯახებიც კი.

მოკვეთილი კუდი ხელახლა ნამდვილად აღარ გაეზრდება პატარა ალმადოვარს.

*სკანდალი №20*

## გენიოსების წინასწარმეტყველება თუ...

ჟიულ ვერნმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში იწინასწარმეტყველა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური ხომალდების, კინოს, ტელევიზიისა და ავიაციის შექმნა. ჰერბერტ უელსმა „დროის მანქანა" აინშტაინის მიერ თანაფარდობის თეორიის გამოქვეყნებამდე 10 წლით ადრე დაწერა. რა არის ეს — გენიოსების წინასწარმეტყველება?

შესაძლებელია! იმავე ჰერბერტ უელსმა „ექიმ მოროს კუნძულში" პლასტიკური ოპერაციები და ორგანოების გადანერგვა აღწერა მაშინ, როდესაც ჯერ არ იყო აღმოჩენილი სისხლის ჯგუფი და რეზუსფაქტორი. სირანო დე ბერჟერაკი XVII საუკუნის დასაწყისში წერდა გრავიტაციის შესახებ. ჯონათან სვიფტი „გულივერის მოგზაურობაში" ახსენებდა მარსის თანამგზავრებს, რომლებიც მხოლოდ საუკუნენახევრის შემდეგ აღმოაჩინეს. რუსმა პოეტმა ხლებნიკოვმა 1912 წელს იწინასწარმეტყველა რუსეთის დაღუპვა... ხოლო 1921 წელს დაწერა მზეზე თერმორეაქტიული რეაქციების შესახებ.

ამერიკელმა მწერალმა მორგან რობერტსონმა 1898 წელს აღწერა ტრანსატლანტიკური ლაინერი, რომელიც სიდიდით აღემატებოდა მანამდე აგებულ ყველა გემს. ეს ლაინერი დაიღუპა აპრილის ერთ-ერთ ღამეს, აისბერგთან დაჯახების შედეგად. ღირს კი იმაზე ლაპარაკი, რომ ავტორმა დეტალურად აღწერა კატასტროფა, რომელიც 14 წლის შემდეგ შეემთხვა ლეგენდარულ „ტიტანიკს"?

რა არის ეს? გენიოსების წინასწარმეტყველება თუ დამთხვევა?! თავად განსაჯეთ.

*ტრუდი-7 №198*

## მოდი და ნუ დაიჯერებ...

„...ბუნებით სკეპტიკოსი ვარ. მანამ საკუთარი თვალით არ ვნახავ და ხელით არ შევეხები, არაფრის მჯერა. არა მჯეროდა უცხოპლანეტელების არსებობისა, ექსტრასენსების საოცარი შესაძლებლობებისა და სხვა საოცრებების, ერთი სიტყვით, დიალექტიკური მატერიალიზმის სულით ვიყავი გაღლენთილი.

და აი, ჩემს ცნობიერებაში გადატრიალება მოხდა...

1990 წლის 2 დეკემბერს მე და ჩემი ორი მეგობარი — ექიმი ნაზარენკო და სკოლის დირექტორი ნოვიცკი, ნადირობიდან ვბრუნდებოდით. მზიანი დღე იყო. ცისფერ, უღრუბლო ცაზე მზე კაშკაშებდა. გზის მახლობლად, მინდორში ძროხები ბალახს ძოვდნენ. გვიანი შემოდგომა იყო. ეს წელიწადის ის დროა, როდესაც სული საოცრად დამშვიდებულია. ავტობუსის გაჩერებისკენ მალსაათით მივაბიჯებდით.

უეცრად, ხმაური შემოგვესმა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. ხმაური ციდან მოდიოდა. ავიხედეთ და, 100-150 მეტრის სიმაღლეზე ჩვენსკენ მომავალი კაშკაშა წითელი ფერის რაღაც ციური სხეული დავინახეთ. საჰაერო ხომალდი მოასფალტებულ გზაზე დაჯდა, 50-ოდე ნაბიჯი გვაცილებდა მფრინავი თეფშიდან. ჩვენ გაშეშებულები ვიდექით. მერე ოდნავ გონსმოსულებმა მისი დათვალიერება დავიწყეთ — სოფლიდან ჩვენსკენ ხალხი გამორბოდა. ხომალდიდან 4 ადამიანისმსგავსი არსება გადმოვიდა, ისინი მოთეთრო-მოვერცხლისფრო ტანსაცმელში — ჩაფხუტებსა და სკაფანდრებში იყვნენ გამოწყობილები. 2 მეტრის სიმაღლის, ათლეტურ, მჭრებგანიერ არსებებს იდაყვებსა და მუხლებზე სამოსელი გოფრირებული ჰქონდათ, რითაც შუა საუკუნეების რაინდებს მოგაგონებდნენ. ერთ-ერთ მათგანს 15-20 სმ კაშკაშა წითელი ბურთი ეჭირა, რომლიდანაც მკვეთრად ისმოდა ბაყაყის ყიყინის მსგავსი ხმები, მეორეს — ჯოხის მსგავსი ნივთი, რომელსაც ოთხივე მიმართულებით იქნევდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, უცხოპლანეტელები ხომალდში ჩასხდნენ და ცაში გაუჩინარდნენ.

ამ სანახაობით გაოგნებულნი კარგა ღონძანს ხმას ვერ ვიღებდით, ოღონდ დროდადრო ცაში ვიყურებოდით..."

*ტაისია ვლასკ №20*

## ეს ნამდვილი სასწაულია

ტორონტოში (კანადა) საშინელმა ხანძარმა მთლიანად შთანთქა 95 წლის წინ აგებული კათოლიკური ეკლესია. ყველაფერი ჩაიბუგა, მაგრამ ღვთისმშობლის ქანდაკება უვნებელი გადარჩა, პირიქით, გაიწმინდა და გაქათქათდა. ფიქრობენ, ეს სასწაული მიმანიშნებელია იმისა, რომ ეკლესია უნდა აღდგეს.

*ორაკული №19*

## რას გვეტყვით, ვარსკვლავებო..

### 3-9 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

### ვერძი




გგონია, სამსახურშიც და შინაც ყველამ პირი თქვენს წინააღმდეგ შეკრა. ასე არ არის. ნურავის გაუნაწყენდებით. თავი შეიკავეთ, თორემ შეიძლება ახლობლებს გული უმიზეზოდ ატკინოთ. სერიოზულად იფიქრეთ მემკვიდრეობასა ან მზითვზე.

### კურო




ამ კვირაში გარშემომყოფთა მიმართ უკმაყოფილებას იგრძნობთ, აქტიურად ჩაებით ყველა გეგმის შემუშავებაში. მეტოქეები თქვენს დაჩოქებას შეეცდებიან. თუ ყურადღებით იქნებით, ვერავინ დაგჯაბნით. მხოლოდ ოჯახში იგრძნობთ შვებას.

### მარჩბივი




სამუშაო პირობები უთუოდ უნდა შეიცვალოთ, მაგრამ პრივილეგიებს ნუ მოითხოვთ. შესაძლოა, სადაო გაგიხდეთ ხელფასის მომატებასთან დაკავშირებული საკითხი. ყველაფერი იოლად და კარგად მოგვარდება.

### კირჩხიბი




რა ბედნიერი ხართ, — შემოგნატრებენ ნაცნობები. ყველგან წარმატება გელით — საქმეშიც, სიყვარულშიც, შემოქმედებაშიც. ოღონდ, თავდაჯერებულობასა და ყოყოჩობას წამში შეუძლია, ყველაფერი ხელიდან გამოგაცალოთ. იყავით ფრთხილად!

### ლომი




თუ საოჯახო საქმეებზე იზრუნებთ, ძალიან გაგიმართლებთ. შეიძინეთ ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები, ოღონდ სახლის გარემონტებას ნუ მოინდომებთ — გაგიჭიანურდებათ, მაგრამ თუ მაინც მოახერხეთ, მშვენიერი გამოგივათ. გაუზიარეთ სიხარული მეგობრებს.

### ქალწული




შეიძლება დიდი ხნის სანუკვარი ოცნება აგისრულდეთ. სერიოზული საქმეები ხუთშაბათამდე გადადეთ. თავი აარიდეთ პესიმისტებთან ურთიერთობას. უქმე დღეებში ნუ დაიტვირთავთ თავს სამუშაოთი.

### სასწორი




თქვენი ცხოვრება ჩვეული გზით წავა. ოჯახური ცხოვრება მშვიდი გექნებათ. ყველაფერი უფრო კარგად იქნებოდა, ფული რომ მეტი გქონდეთ. მაგრამ საქმე გამოსწორდება, ოღონდ, პარტნიორის შერჩევაში არ მოტყუვდეთ.

### მორიელი




კვლავ საფრთხე გელით. ნუ შეეცდებით, ყველა პრობლემა ერთბაშად მოიშოროთ თავიდან. მტრებს სათითაოდ უნდა შეებრძოლოთ. ვერც წარმოიდგენთ, ბედი რა საჩუქარს გიმზადებთ. არ შედრკეთ. წარმატება ახლოსაა.

### მშვილდოსანი




ბედნიერება გელით. წელს ეს კვირა თქვენთვის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო და სიხარულის მომტანია — უფროსებიც და ახლობლებიც არაფერს დაიშურებენ თქვენი კეთილდღეობისათვის. თქვენ მოიპოვებთ აღიარებას, პატივისცემას, დიდებას, სიყვარულს და დამსახურებულადაც, სანუკვარი ოცნება აგისრულდებათ.

### თხის რქა




სწორ გზას ადგახართ, ნუ დაკმაყოფილდებით მიღწეულით, სულ წინ იარეთ. სასიამოვნო შედეგი უკვე მიიღეთ. უფროსობამაც და ახლობელმა ადამიანებმაც აღიარეს თქვენი ნიჭი და ენერგიულობა. მაგრამ გახსოვდეთ, თქვენ საყვარელ ადამიანებს უფრო სჭირდებათ თქვენი ალერსი და მოფერება. ნუ დაიშურებთ.

### მერწყული




გაფიქრებთ ფილოსოფიური კითხვა — რა ადგილი გიჭირავთ საზოგადოებაში? ეს ყოველდღიური საზრუნავიდან გაქცევას ჰგავს. დაეშვით მიწაზე. ძველი მეგობრები დიდ დახმარებას გაგიწევენ.

### თევზები




კონტრასტული პერიოდი გიდგათ — ალმაფრენას — იმედის გაცრუება მოჰყვება, მაგრამ ეს ვერ გავნებთ. ოღონდ, არ უღალატოთ თქვენს პრინციპებს. მეტი დრო დაჰყავით ბუნების წიაღში, ბავშვებთან ერთად.

გისურვებთ წარმატებებს!


ბინების, ოფისების ყიდვა-გაყიდვა-დაქირავება-დაგირავება
სწრაფი გაფორმება
ფირმა «გეგა»
ლესელიძის 4, №1 ნოტარიუსის შენობა, III სართ.
☎ 99-94-18

კერძო საბავშვო ბაღი

ინგლისური ენის შესწავლით
დიღუბე
მ. „წერეთელი"
ფასი შეთანხმებით
34-04-61

მათთვის, ვისაც გახდომა სურს!


ინფორმაცია 30-დღიანი კურსის შესახებ!
დაგვირეკეთ:
95-55-70
92-05-41 (11-17 სთ-მდე)

თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი
აცხადებს:
I. საშუალო განათლების მქონე პირთა და მე-11 კლასელთა მიღებას მოსამზადებელ კურსებზე. კურსდამთავრებულები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ინსტიტუტში. სწავლება უფასოა.
II. მიღებას ინგლისური ენის დაჩქარებული სწავლების 3-თვიან კურსებზე შემდეგი პროფილებით:
1. დამწყებთათვის — სასაუბრო ენა; 2. TOEFL; 3. ESP — ბიზნესის ენა.
დოდო აბაშიძის (ყოფილი მეჩნიკოვის) ქ. №4, მ. „მარჯანიშვილი", 37-ე საშუალო სკოლა
ტ: 95-27-07 (18 სთ-მდე); 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

☎ 30-21-70; 30-36-89 შ.პ.ს. „ჩიხურა"
877-404-279; 877-407-520
ლითონის ნაკეთობათა სამქრო

საზღვარგარეთული ტელე-ვიდეო აპარატურის, მიკროტალღოვანი ღუმელების
ბინაზე შეკეთება
გარანტიით და ხარისხიანად
97-29-29

ფირმა „ტაო"-ს
საზოგადოო აფთიაქი
გთავაზობთ
მედიკამენტების
ფართო ასორტიმენტს
შეღავათიან ფასებში
მის: წერეთლის გამზ. №12ა, მეტრო „წერეთლის" გვერდით
ტელ: 34-30-01
10-19 სთ-მდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა

„გეოკორი"

აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
ტექნიკური
და სასმელი
წყლის მისაღებად. წინასწარ
კონსულტაციებს
გაგიწევენ უმაღლესი პროფესიული კადრები
მისამართი: აკურის ქ. №8
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი (სპორტის სასახლის უკან) ოთახი 208-ე
33-26-75 38-24-02

## №56 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგში 472 მკითხველი (143 ქალბატონი და 329 მამაკაცი) მონაწილეობდა. სხვათა შორის ყველა ბარათი სწორად იყო შევსებული.

დასმული იყო კითხვა: **„ვისი ხელმძღვანელობით შესძლებდა თბილისის „დინამო" ევროტურნირებზე წარმატებით თამაშს?"**

გამოკითხვაში ვალერი ლობანოვსკის პირველი ადგილი შემთხვევითი სულაც არ არის, რადგანაც მისი ხელმძღვანელობით კიევის „დინამომ" ბოლო დროს დიდ წარმატებებს მიაღწია. მისი საშუალო ქულაა **6,33**.

ლეგენდარულ არგენტინელ მწვრთნელს ლუის სესარ მენოტის (იგი მე-2 ადგილზეა) მაქსიმალური შეფასება ლობანოვსკიზე ერთით ნაკლები აქვს, მინიმალური ქულები კი, შედარებით მეტი. ამიტომაც, მათ შორის რეიტინგში მცირედი სხვაობაა.

როგორც ჩანს, ჩვენს მკითხველს არ დავიწყნია ახალკაცის ხელმძღვანელობით თბილისის „დინამოს" ევროთასებზე წარმატებით თამაში. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ საქართველოში მოღვაწე მწვრთნელებს შორის გამოკითხვაში მას ყველაზე კარგი შედეგი აქვს.

რესპონდენტების 43% ყიფიანის მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი, რაც, ალბათ, ბუნებრივია, რადგანაც ჩვენი უპირველესი გუნდის ბოლოდროინდელი თამაში „დინამოს" გულშემატკივრებს ჯერაც ვერ მოუნელებიათ.

რეიტინგში გაზაევი ერთადერთია, რომელიც არც ერთი მაქსიმალური ქულით არ შეფასებულა.




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა ერთადერთი ბარათი-რეიტინგი, ისიც ქალბატონისა. გამარჯვებულია **მარინე ჯავახიშვილი**. იგი 39 წლისაა, თბილისელი, პროფესიით კი მათემატიკის მასწავლებელი.

სხვათა შორის, თურმე, მისი ვაჟი ალიკო ჯავახიშვილი ფეხბურთელია და თამაშობს ახალგაზრდულ ნაკრებში.

გამარჯვებულს ველით რედაქციაში სამშაბათს, 4 ნოემბერს, 17 საათზე. მას გადაეცემა პრიზი 80 ლარი

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

გამოკითხვის მონაწილეებს „მკითხველის რეიტინგში" უნდა აღენიშნათ, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ „კვირის პალიტრაში".

მკითხველებმა 50-მდე რუბრიკა დაასახელეს, რომელიც „კვირის პალიტრაში" მოსწონთ.

უმრავლესობა საუკეთესოდ **საპრიზო რეიტინგს** ასახელებს. რესპონდენტებს, აგრეთვე, გაზეთის მრავალფეროვნება მოსწონთ. მკითხველთა დიდი ნაწილი სიმპათიურად არის განწყობილი **„სამხედრო თემის"**, **„მილეთის ამბების"**, **„კრიმინალის"**, აგრეთვე, **კროსვორდების** მიმართ.

ბევრია ასეთი პასუხიც: **„ყველაფერი მომწონს"(!)**.

ყველაზე საინტერესო კი, ჩვენთვის (რედაქციისათვის) იყო მკითხველის აზრი გაზეთის სუსტ წერტილებზე. მათ ბარათებში 65 სხვადასხვა შენიშვნა და სურვილია „პალიტრის" მიმართ.

გაირკვა, რომ ბევრს (14%) არ მოსწონს **განცხადებები** და მათთვის გაზეთის ოთხი გვერდის დათმობა ენანება. კიდევ ერთი საერთო (პირობითად) აზრია, რომ აუცილებელია **სპორტს მეტი ადგილი** დაეთმოს (9%). რეკლამებიც, თურმე, ბევრ მკითხველს აღიზიანებს (4%).

იყო ორიგინალური პასუხებიც:

**„არ მომწონს, რომ ვერ ვიგებ საპრიზო რეიტინგში", „რომ გაზეთი კვირაში მხოლოდ ერთხელ გამოდის", „ლაყბობა, წერე-იკითხე", „რომ რეიტინგში მონაწილეობს ისეთი ხალხი, ვისაც მოსწონს და სიმპათიები აქვთ ჩვენი პრეზიდენტისადმი"** და ა.შ.

რედაქცია მიიჩნევს, რომ თქვენგან მიიღო მრავალი ყურადსაღები რჩევა და წინადადება, რომელთაც აუცილებლად გავითვალისწინებთ, რათა გაზეთი იყოს ისეთი, როგორიც „კვირის პალიტრის" მკითხველს სურს.

### ნომერ პირველი ფეხბურთელი

ერთი რაიონის ფეხბურთელთა გუნდი ჩემპიონატზე ძალიან ცუდად გამოდიოდა. დაუძახეს რაიკომში გუნდის მთელ შემადგენლობას. გუნდში ნომერ პირველი ფეხბურთელი რომელიაო, იკითხა მდივანმა. წამოდგა მეკარე. თქვენ, სეზონის დაწყებიდან, რამდენი ბურთი გაქვთ გატანილიო. არც ერთიო.

— შე კაი კაცო, გუნდში ნომერ პირველ ფეხბურთელს რომ არც ერთი ბურთი არ ექნება გატანილი ამდენი ხნის მანძილზე, მაშინ მე-9, მე-10 და მე-11 ნომრებს რაღა ველაპარაკო.

*ჯ. ჩხიკვაძე*

### ძვირი დაჯდა...

ოზურგეთის საავადმყოფოში გარდაიცვალა კაცი. საჭირო გახდა მისი გადასვენება სოფელში, რომელიც 2 კმ-ით იყო დაშორებული საავადმყოფოდან. მოიყვანეს დიდი მანქანა. ჭირისუფალი მძღოლს თანხაზე ურიგდება:

— რამდენს გადამახდევინებ?

— 10 მანეთს.

— რა ამბავია, შე კაცო, კაცი მკვდარია, თანაც, 2 კმ-ზე ამდენ თანხას მთხოვ?

— მკვდარი რომ არის, იმიტომ გთხოვ 10 მანეთს, თორემ ცოცხალი რომ იყოს, ავტობუსით 15 კაპიკად მისით ავიდოდა სახლშიო.

*მანანა ჯიჯეიშვილი*

შპს «რემედია»

მედიკამენტები, კოსმეტიკა, საბავშვო აქსესუარები

ყოველ 38-ეს დავასაჩუქრებთ

ლიცენზია №00179

ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №38, ტელ.: 94-10-85

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ. №3 ტელ.-ფაქსი 96-61-17, 96-61-92

## №57 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავის მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**80 ლარი**

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

© თბილისი, 1997

**თემა №57 — კურიოზები**

ქვევით შემოთავაზებულ კურიოზებს შორის საუკეთესოს დაუწერეთ 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე (გამარჯვებული კურიოზების ავტორებს გადაეცემა პრიზები 30, 20 და 15 ლარი).

**№57 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | კურიოზი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნომერ პირველი ფეხბურთელი | |
| 2 | ძვირი დაჯდა | |
| 3 | ბიბლიოთეკის დღე | |
| 4 | მომგებიანი „კოკა-კოლა" | |
| 5 | გულის ჩხვლეტა | |
| 6 | პრივატიზებული მინისტრები | |
| 7 | ცხელ-ცხელი ყვ...ბი | |
| 8 | „ცერეუს" „აგენტი" | |

**მკითხველის რეიტინგი***

დაასახელეთ თქვენი აზრით სამი საუკეთესო ქართული ფილმი

| | |
|---|---|
| I-(3ქულა) | |
| II-(2ქულა) | |
| III-(1ქულა) | |

თქვენი სახელი, გვარი

ასაკი ტელეფონი

* **„მკითხველის რეიტინგში"** თქვენი პასუხების შეჯამებით მივიღებთ შედეგებს, რომლებიც ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება. აქ, საპრიზო რეიტინგისაგან განსხვავებით, ყველაფერი თქვენს შეხედულებებზეა დამოკიდებული, ჩვენ პასუხების შესაძლო ვარიანტებს წინასწარ არ შემოგთავაზებთ.

№57 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი ძალაშია 3 ნოემბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით. „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ 6 ნოემბრის (ხუთშაბათი) 17 საათამდე (მათი ადგილმდებარეობის შესახებ იხილეთ გვ. 24).

### ბიბლიოთეკის დღე

ერთი დიდად პატივსაცემი ინსტიტუტის კათედრების თანამშრომლებს დირექციამ სამუშაოდ და ცოდნის გასაღრმავებლად ერთი თავისუფალი დღე მისცა. ამ დღეს „ბიბლიოთეკის" დღე დაარქვეს. სარედაქციო განყოფილებას ეს დღე არ არგუნეს. დიდხანს ვიბუზღუნეთ, რექტორთანაც შევედით, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბატონი კარლო ფიზიკის კათედრის თანამშრომელი იყო და გახარებული, ცეცხლზე ნავთს გვისხამდა: „რად გინდათ თქვენ „ბიბლიოთეკის" დღე, დასხდებით სახლში და ქვაბების ხეხვას მოუნდებით". ერთ დღეს ბატონი კარლო თავის ლაბორატორიაში ბრძანდებოდა, მე წყლის ასაღებად შევედი (ონკანი მის ოთახში იყო), მაგრამ ვიღაცას ესაუბრებოდა და შევჩერდი. ეს „ვიღაცა" მსმენელ-მასწავლებელი იყო და შეწუხებული სთხოვდა:

— თქვენი ნახვა მინდა, იქნებ ხვალ გამონახოთ დრო.

— ხვალ, არა, ხვალ „ბიბლიოთეკის" დღე მაქვს, — ამაყად და შეფერებულად მიუგო ბატონმა მეცნიერმა.

ქალმა ხმაში ხვეწნა გაურია:

— რომელ ბიბლიოთეკაში იქნებით, მითხარით და იქ მაინც მოვალ.

— ბიბლიოთეკაში რა მინდა, შინ ვიქნები, ქვეყნის საქმე მაქვსო, — თავი დაიძვრინა ბატონმა კარლომ.

*მარინა ჯანაშია*

### მომგებიანი „კოკა-კოლა"

ჩემმა მეგობარმა, მერაბ ზავრადაშვილმა „კოკა-კოლა" იყიდა. საცობზე ამოუვიდა მოგება „კოკა-კოლა". სატელევიზიო რეკლამაში ნანახი ჰქონდა, — თქვენ მოიგებთ 10000 „კოკა-კოლას". იფიქრა, ავშენდი და ეგ არისო. იქირავა ტრაილერი და მიადგა ქარხანას. წარუდგინა საცობი და მოითხოვა 10000 ბოთლი, მაგრამ მისცეს ერთი ბოთლი, რომელიც... მერაბის მოსასულიერებლადვე დასჭირდათ.

*თამარ ფოცხვერაშვილი*

### გულის ჩხვლეტა

სტუდენტობაში ერთი კახელი ბიჭი გვყავდა ჯგუფში. ერთხელ ძალიან შეწუხებული მოვიდა, გულში ჩხვლეტები მაქვსო. ატყდა ალიაქოთი. ზოგი რას ურჩევდა, ზოგი — რას. ათასი რჩევა-დარიგების შემდეგ, უჩუმრად გაქრა. ცოტა ხანში დაბრუნდა. ვეცით, სად იყავი, თავს როგორ გრძნობ-თქო.

— ახლა რა მიჭირს, ჭიკარტი მქონია პერანგში გაჩხერილი და ისა მჩხვლეტდაო...

*ჯ. გიგლაძე*

### პრივატიზებული მინისტრები

სტეპკო ჩულურეთში ცნობილი კაცია — თავისი ცხოვრების წესით და სიტყვა-პასუხით. ერთხელ ვორონცოვზე მინისტრებმა გაიარეს, წინ ნიკო ლეკიშვილი მიუძღოდათ. მოედანზე ფაციფუცი ატყდა.

— ვინ არიან? — დაინტერესდა სტეპკო.

— მინისტრები, — აუხსნეს, — აი, ის, „აჩკებიანი" კი, ნიკო ლეკიშვილია, სახელმწიფო მინისტრი.

— ვაა, დანარჩენები პრივატიზებულები არიან? — გაიკვირვა სტეპკომ.

*ირაკლი ზაქარიაშვილი*

### ცხელ-ცხელი ყვ...ბი

ჩვენს რაიონში (იქნებ, სხვაგანაც) დიდ დელიკატესადაა მიჩნეული, უკაცრავად და... ცხვრის ყვ...ბი, თუ ვინმე ძალიან გინდა ასიამოვნო, შემწვარ-მოხრაკული მიართვი და შენია ის კაცი...

ერთხელ, ყვიბისის რესტორანში შევედით. თან ორი სტუმარი გვახლდა. ერთს კარლო ერქვა და თავი მოიკლა, — გინდა თუ არა, მე უნდა დაგპატიჟოთო.

— აბა, — თავმომწონედ მიმართა მიმტანს, — რა გაქვთ კარგი?

— ხასიათი, ბატონო! — იყო პასუხი.

— ცხელი რა გაქვთ?

— ყვ...ბი, ბატონო!

მოკლედ, იქ ამბავი დატრიალდა; მტრისას და ავისას.

— ვის უბედავ, შე მათხოვარო? — ფეხქვეშ გაიგდო კარლომ ოფიციანტი

*გიორგი ცაბაძე*

### „ცერეუს" „აგენტი"

ამასწინათ ერთი წიგნი შევიძინე — „უცხოეთის დაზვერვა სსრკ-ის წინააღმდეგ". ეზოში რომ შევედი, ჩემი ძმა შალიკო მწვდა ხელში, — წიგნის სათაურმა დააინტერესა და... ჩაუღრმავდა. ცოტა ხნის შემდეგ ქუჩიდან მისი ვაჟი შემოვარდა — დაღლილი, გაოფლილი. მამამ მკაცრად ჰკითხა, — ამდენ ხანს სად იყავი, შინ სულ ვერ გხედავო. გიამ პასუხი არ დააყოვნა, — რას ამბობ, შინა ვარ, ცხვირი არსად გამიყვიაო.

განრისხებულმა შალიკომ წიგნი ცხვირწინ შეუთამაშა და გაგულისებულმა შესძახა, — ერთი ამას დამიხედეთ! არა, შენ როგორ უნდა მომატყუო, ვერ ხედავ „ცერეუს" საქმეებში ვარ გასული!

*ვ. ხეთურიძე*

## რეჟისორის გასაჭირი

ცნობილ ესპანელ კინორეჟისორს, ბუნიუელს, მოლაპარაკე თუთიყუში ჰყავდა, რომელსაც „პისარო" ერქვა. ერთხელ, შინ დაბრუნებულ რეჟისორს „პისარო" გალიაში არ დაუხვდა, — გაფრენილიყო.

ბუნიუელს ფრინველის დაკარგვამ ძალიან დასწყვიტა გული, მაგრამ თან შიში თავზარს სცემდა — ვაითუ „პისაროს" პოლიტიკური ჭორაობა წამოეწყო — თუთიყუში საკმაოდ მწარედ აგინებდა ფრანკოს და მის რეჟიმს. რეჟისორმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა განცხადება გაზეთში:

„ვეძებ მოწითალო ფერის თუთიყუშს, სახელად „პისაროს". იცის ლაპარაკი და სტვენა. უნდა აღვნიშნო, რომ ფრინველის პოლიტიკურ შეხედულებებს არ ვიზიარებ. იგი ერთმა უცხოელმა მაჩუქა, რომელმაც დიდი ხანია, დატოვა ესპანეთი".

•••

ფსიქოლოგების აზრით, ქალები მამაკაცებზე უკეთესი მონადირეები არიან. ნადირობისას მამაკაცი, თურმე მეტ ყურადღებას აქცევს თავის თოფ-იარაღს და, სულ ერთია, რომელ მხეცს ესვრის, — არ აინტერესებს მისი ჯიში, ასაკი, ჰყავს თუ არა შთამომავლობა და ა.შ. არტემიდეს ღირსეული მემკვიდრე კი, პირიქით, ყოველთვის ყველაფერზე ფიქრობს...



•••

დოქტორმა სტენლი კურტისმა ორ ღორს — ჰამლეტსა და ოფელიას კომპიუტერზე თამაში შეასწავლა. თავიდან კურტისი მათ შოკოლადით აჯილდოებდა, როცა ღრუტუნები კარგ სვლას გააკეთებდნენ ხოლმე. ახლა ღორები თვითონვე „კაიფობენ". ორი დღით ვინმემ კომპიუტერს რომ მოაცილოს, დეპრესია ეწყებათ.

## ნუ შეეცდებით, ვერ მოატყუებთ



თურმე, ძაღლი, გინდ ინტუიცია დაარქვით, გინდ გუმანი, შეუმცდარად გრძნობს, ადამიანს მართლა სძინავს, თუ მხოლოდ თავს იმძინარებს. ამიტომ ნუ შეეცდებით მის მოტყუებას. უბრალოდ, უხერხულია, მიხვდება, რომ მატყუარა ხართ.




საუკეთესო კროსვორდების გაზეთი


## ფოტო განწყობისათვის



— აბა, საზამთრო გაჭრაზე


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის მოსამზადებელი განყოფილება

აცხადებს საბუთების მიღებას

ცნობებისათვის: 30-01-07; 37-60-18

ან მიაკითხეთ, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, ოთახი 11-03


•••

მე-20 საუკუნის პოლიტიკოსთაგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ყველაზე მარჯვედ და ოსტატურად გამოიყენა იოზეფ ჰებელსმა. მან, გაზეთებისა და რადიოს მეშვეობით, შესძლო ნაცისტური იდეოლოგიის მიმართ მთელი ერის ერთგულებისა და პატივისცემის გაღვივება.



Joseph Goebbels

## დიდების საფასური

ერთხელ ექიმმა ჟან გაბენს კბილი ამოუღო. გავიდა რამდენიმე ხანი და მსახიობმა დანტისტისგან ბარათი და ფული მიიღო:

„თქვენი კბილი ერთ თქვენს თაყვანისმცემელ ქალს მივყიდე თილისმად, ჩემი კუთვნილი თანხა გამოგიქვითეთ, დანარჩენს კი, გიგზავნით".

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. გზის, არხის... ხაზის მიმართულება; 3. ცნობილი ჩოგბურთელი; 6. ცხენების სადგომი ნაგებობა; 11. ქართული ხალხური სიმღერა; 12. ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები; 13. სპეციალური სასწავლებელი; 15. ქალაქი სამხრეთ საქართველოში; 16. საავტომობილო ფირმა საფრანგეთში; 19. მათხოვარი ანუ ... 20. დაინახა, ეი. ... 21. კონა, შეკვრა; 23. ქვა, რომლის ზედაპირი უხეშადაა დამუშავებული ან ამობურცულია; 25. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ფირმა თბილისში; 26. დრო; 28. უზნეობაზე დამყარებული, ეი. ... 34. შეჯიბრება, მონაწილეთა შორის საუკეთესოთა გამოსავლინებლად; 35. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 36. მთავარი ქალღმერთთაგანი ძველ ეგვიპტელთა რწმენით, ღვთისმშობლის ერთ-ერთი პირველსახე; 37. მწერი-„სპორტსმენი" (სიმაღლეში და სიგრძეში მხტომელი); 38. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული არაყი, კონიაკი ან რომი.

**შვეულად:** 1. მანქანა, საიდანმე სითხის ან აირის ამოსაღებად ან რაიმეში ჩასადენად; 2. მეტისმეტად თამამი, უზრდელი ქალი (სასაუბრო სიტყვა); 4. მსახიობის სახის შესაცვლელი საშუალება; 5. დარდი, კაეშანი; 7. ქართველი მეფე — პირველი რუსთველოლოგი; 8. სოფელი ქარელის რაიონში; 9. ადგილი, სადაც დგას ვისიმე სახლ-კარი, კერა; 10. დაუმორჩილებელი, თავნება; 13. რისამე გამოყოფა რაიმე შემადგენლობიდან; 14. სადავო საკითხების გადაწყვეტა შუაკაცთა საშუალებით; 17. მფარველობა, დაცვა; 18. ნახევრადლეგალური ტერორისტული ორგანიზაცია კუნძულ სიცილიაზე; 22. ბუფეტი სასადილო ჭურჭლისათვის; 24. ვისიმე დაბადების ადგილი; 27. პროფესიონალი მხედარი, დოღის მონაწილე; 29. შავი ნადები ღუმლებისა და საკვამლეების შიგნით; 30. მ. გორბაჩოვის მეუღლის სახელი; 31. ზოგი ცხოველის ნაშიერი; 32. მსუბუქი ძილი, თვლემა; 33. ლეო ქაჩელის პოპულარული ნაწარმოების პერსონაჟი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. კეხი; 5. ფსტა; 7. ფოლკლორი; 9. კანცლერი; 11. არახამია; 13. დელეგატი; 15. „მიპქრის"; 16. ნიაგარა; 18. ამება; 20. ხმალი; 24. გრანატა; 25. იმერეთი; 26. ამბარი; 27. სხვიტორი; 29. აერობიკა; 33. საბაბი; 34. ნადირი; 35. ბანანი; 36. ტრავმა.

**შვეულად:** 1. კაკალი; 2. კვარცი; 4. ხერთვისი; 6. სპარსეთი; 8. ლამარია; 10. ესკადრა; 12. ალქიმია; 14. ენგელსი; 17. მინდია; 19. ასამი; 20. ხეირი; 21. ხარება; 22. კრახი; 23. ეთიკა; 28. რაბინი; 30. ელიავა; 31. უბანი; 32. ჰაერი.


რეკლამა 987-444

„კვირის პალიტრაში"



სხვადასხვა შინაარსის განცხადებებს უფასოდ ვაქვეყნებთ „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში "სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება განცხადებები მხოლოდ ბინების გაყიდვა-გაქირავების შესახებ, დანარჩენი სახის განცხადებები გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ფასიანი განცხადების ქვითრებით, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 1,5 ლარი).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში 6 ნოემბრის (ხუთშაბათი) 17 სთ-მდე. ყუთები განთავსებულია მეტროების — „მარჯანიშვილი", „ვაგზლის მოედანი", „თავისუფლების მოედანი", „რუსთაველი", „ახმეტელი", „ვარკეთილი", „ახმეტელის თეატრი" „პოლიტექნიკური", — მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გაზეთების ჯიხურებზე, მეტრო „გოცირიძესთან" — სანტექნიკის მაღაზიის წინ, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან), დოლიძის ქუჩის კუთხეში, დიდუბის ავტოსადგურთან, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან, დიდუბეში — „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან, ალმაშენებელზე, მუსკომედიის წინ, გაჩერებაზე, თამარ მეფისა და ალმაშენებლის გამზირების გადაკვეთაზე (შემნახველი სალაროს წინ).

სხვა სახით (გარდა „კვირის პალიტრის" ბოლო ნომრიდან ამოჭრილი „უფასო განცხადების ქვითრისა") შემოსული განცხადება არ გამოქვეყნდება.

44 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

gთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 20 (მისამართის გარდა)

P.S. №44-ის ქვითარი ძალაშია 3-დან 6 ნოემბრის ჩათვლით. „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 6 ნოემბრის (ხუთშაბათი) 17.00 სთ-მდე


•••



მარომ სიზმარში ნახა, ვითომ ლუის-დავიდი მოკვდა. შეშფოთებული ლოგინზე წამოჯდა, ვერ ისვენებს, მიხოსკენ გადაბრუნდა სიზმრის მოსაყოლად და რას ხედავს — მიხო მკვდარია.

მარომ პირჯვარი გადაიწერა, კიდევ კარგი ამაზე ამიხდაო.

•••

რეკავენ რადიოში:

— თქვენ ხომ ადგენთ კონცერტს დაკვეთით... გთხოვთ, ჩემს ვაჟს ძალიან უყვარს „მენდელსონის მარში", სამწუხაროდ, არ ვიცი, ვისია...

•••

კაცი ყიდულობს რევოლვერს.

— ექვსვაზნიანი გნებავთ თუ რვავაზნიანი?

— მომითმინეთ!.. რეკავს ტელეფონზე.

— ბანკია? მიბრძანეთ ერთი, რამდენი თანამშრომელი გყავთ?

•••

ექიმი პაციენტს ეუბნება:

— მიჭირს თქვენთვის დიაგნოზის დასმა. ვფიქრობ, ეს ალკოჰოლის ბრალია.

— კარგით, ექიმო. სხვა დროს მოვალ, როცა გამოფხიზლდებით!

•••

— ჩემი მეგობრის ცოლმა რვა შვილი გააჩინა და ყველას ერთი და იგივე სახელი დაარქვა.

— როგორ ასხვავებს?

— მამის სახელით.

•••

— ჩაიში ვერცხლის კოვზს იმიტომ გიდებ, რომ ვერცხლისგან ყველა მიკრობი იღუპება.

— მერე მკვდარ მიკრობებს მასმევ, ქალო?

•••

ნამთვრალევმა ჭიანჭველამ გამოიღვიძა და აღმოაჩინა, რომ უზარმაზარი ტანკის ქვეშ იწვა:



— ეჰ, რას არ აიკიდებს კაცი სიმთვრალეში, — ამოიხვნეშა და გვერდი იცვალა.


სამუშაოდ ვიწვევთ ახალგაზრდა, ნიჭიერ, ერუდირებულ ჟურნალისტებს.

დაგვირეკეთ: ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს 11.00 სთ-დან 21 სთ-მდე

გომონდი

ტელ.: 33-44-91



დაიჯესტის რედაქცია პასუხს არ აგებს სხვა გაზეთიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების სიზუსტეზე, პუბლიკაციათა სტილი დაცულია. რიგ შემთხვევაში, მასალა შემოკლებით იბეჭდება.

შესაძლოა, რედაქციის აზრი არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

სარედაქციო კოლეგია

მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან) ტელ. 33-39-54

palitra@access.sanet.ge

სარეგისტრაციო № 1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".